# ლელო

№171 (12 241)

23 ივლისი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი




## გზის დალოცვა

BELGRADE 2007

ბელგრადში წუხელ საზეიმოდ გაიხსნა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი. გამგზავრების წინ, ტრადიციულად, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაცილების ცერემონიალი მოეწყო.

დელეგაციას სიტყვით მიმართა სეოკ-ის პრეზიდენტმა **ბადრი პატარკაციშვილმა**, რომელიც იმ დღეს სპეციალურად დაბრუნდა თბილისში. *"ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ თქვენზე, როგორც ქართული სპორტის ღირსეულ მემკვიდრეებზე და მომავალ ოლიმპიელებზე. გისურვებთ წარმატებას და შინ მაღალი ჯილდოებით დაბრუნებას."* - თქვა სეოკ-ის პრეზიდენტმა.

ქართველ სპორტსმენებს გზა სეოკ-ის პრეზიდენტის რეზიდენციაში დაულოცეს. სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა **ემზარ ზენაიშვილმა** შთამბეჭდავად მიმოიხილა ამ ღონისძიების ისტორია და ჩვენი ათლეტების მიერ მიღწეული წარმატებები, დამსწრეთ გააცნო ასპარეზობის პროგრამა და საქართველოდან დელეგაციის შემადგენლობა.

თანატოლ სპორტსმენთა სახელით საზეიმოდ ფიცი დადო საერთაშორისო სარბიელზე უკვე საკმაოდ ცნობილმა მძლეოსანმა **გიორგი ბედოშვილმა**, რის შემდეგ ყველა სპორტსმენმა მოაწერა ხელი ფიცის ტექსტს. შეკრებილთ მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა **რობერტ შავლაყაძემ** და **რაფაელ ჩიმიშკიანმა**, მსოფლიოს ჩემპიონთა **რუსუდან სიხარულიძემ**, სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტმა **ჯანსულ ბაგრატიონმა**. დავძენთ, რომ 1993 წლიდან დღემდე ამ ასპარეზობებზე საქართველოდან 150-ზე მეტმა სპორტსმენმა იასპარეზა. მოპოვებულია სამივე სინჯის 35 მედალი, აქედან 31 მედალი ძიუდოზე მოდის, 2 მძლეოსნობაზე და 2 ფეხბურთზე. ბელგრადი 2007-ის ყველა საჭირო თანხები საქართველოს ოლიმპიურმა ფონდმა გაიღო.


**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის, კახა ბერიძის პირველი რეპორტაჟი იხილეთ მე-11 გვერდზე**


# აშვეთია და ანჟი ვერ შეთანხმდნენ

## მოსკვა, სატურნი, თუ ისევ კარლ ცაისი?

დავით ცაბაძე

*"საქართველოს ნაკრების ფორვარდი მიხეილ აშვეთია მახაჭყალაში იმყოფება. ამ თავდამსხმელით გაძლიერება ომარ თეთრაძის გუნდს სურს. როგორც ჩანს, მხარეებს შორის შეთანხმება მალე მოხდება და აშვეთია "ანჟისთან" კონტრაქტს გააფორმებს. შეგახსენებთ, რომ აშვეთიას, რომელსაც რუსულ პრემიერლიგაში, "ალანიაში", "რუბინში", "როსტოვსა" და მოსკოვის "ლოკომოტივში" აქვს ნათამაშები, ბოლოს გერმანულ "კარლ ცაისში" ასპარეზობდა",* - ეს ცნობა გუშინ რუსულმა წყაროებმა გაავრცელეს.

ჩვენ მიერ მოძიებულ ცნობათა თანახმად კი მიხეილ აშვეთიასთან მიმართებაში მკვეთრად განსხვავებული ვითარებაა. როგორც შევიტყვეთ, "ანჟი" და აშვეთია კონტრაქტის პირობებზე ვერ მორიგდნენ. სხვათა შორის, ეს ცნობა ფეხბურთელთან დაახლოებულმა წყარომაც დაგვიდასტურა. უფრო მეტიც გვითხრა, მისი თქმით, მახაჭყალელებთან პირობებზე შეუთანხმებლობის შემდეგ, მიხეილ აშვეთიამ მოსკოვს მიაშურა. როგორც ირკვევა, მისით რუსეთის პრემიერლიგის ორი კლუბი, "მოსკვა" და "სატურნია" დაინტერესებული. ამასთანავე აშვეთიას ისევ დაუკავშირდა იენის "კარლ ცაისი" და დაბრუნება შესთავაზა. მოსკოვში მყოფი აშვეთია "მოსკვასთან" და "სატურნთან" ამ დღეებში წარმართავს მოლაპარაკებებს და მისი მომავალი კლუბის ვინაობაც მალე გაირკვევა.



სად ითამაშებს მიხეილ აშვეთია?

# ისევ ჩემპიონატი, საკუთარი თავი და დინამო

დავით თავართქილაძე



გიორგი დავითნიძეს (მარჯვნივ) ბელხატოვის ძლევისა სჯერა

შარშან თბილისის "ამერმა" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა და მერე დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა ბერლინის "ჰერტასთან". ამერელთა შარშანდელი ევროგამოსვლა იმის იმედს იძლეოდა, რომ წლეულს **გიორგი ჩიხრაძის** გუნდი უფრო მეტს მიაღწევდა, თუმცა "ამერმა" რიხით ვერ დაიწყო წლევანდელი ევროსეზონი - პოლონეთის ვიცე-ჩემპიონ "ბელხატოვთან" 0:2 დამარცხდა. ამერულ ამბებზე გუნდის კაპიტან **გიორგი დავითნიძეს** ვესაუბრეთ.

- საკმაოდ ძლიერ მეტოქეს ვეთამაშეთ, შეიძლება ითქვას, "ბელხატოვი" საშუალო ევროპული დონის გუნდია. წასაგები თამაში არ იყო, მაგრამ ჩვენივე უყურადღებობის გამო დავისაჯეთ. პოლონელებმა სტანდარტული სიტუაციებიდან გაგვიტანეს გოლები. ეს მათ კარგად ეხერხებათ და ბურთსაც ჩვენზე მარჯვედ აკონტროლებდნენ. ისიც სათქმელია, რომ "ბელხატოვი" უკეთეს ჩემპიონატში თამაშობს.


3


კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი U16

# ადგილი შენარჩუნებულია

21 ივლისი

**იტალია-საქართველო 86:56**

30:17, 9:9, 27:11, 22:19

| საქართველო | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაძრაძე | 13 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| შენგელია | 25 | 17 | 6 | 3 | 1 | 0 | 3 |
| თავართქილაძე | 31 | 8 | 0 | 1 | 2 | 2 | 5 |
| იოსელიანი | 15 | 3 | 5 | 0 | 1 | 0 | 3 |
| დვალიშვილი | 23 | 4 | 6 | 1 | 2 | 0 | 2 |
| მაღლაკელიძე | 12 | 0 | 3 | 5 | 3 | 0 | 3 |
| ჩიკვილაძე | 19 | 6 | 6 | 0 | 4 | 0 | 2 |
| ბოქოლიშვილი | 8 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ხეთაგური | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ჭოხონელიძე | 8 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ელანიძე | 25 | 12 | 4 | 0 | 0 | 0 | 1 |
| სულაბერიძე | 17 | 0 | 3 | 0 | 2 | 0 | 2 |

**ესპანეთი-სლოვენია 81:72**

22 ივლისი

**საქართველო - სლოვენია 100:70**

25:21, 21:18, 23:16, 31:15

| საქართველო | ნთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაძრაძე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მაღლაკელიძე | 14 | 7 | 0 | 2 | 1 | 0 | 2 |
| ჩიკვილაძე | 32 | 34 | 4 | 2 | 4 | 0 | 2 |
| შენგელია | 30 | 11 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 |
| თავართქილაძე | 39 | 19 | 6 | 7 | 3 | 0 | 5 |
| ბოქოლიშვილი | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| იოსელიანი | 28 | 9 | 4 | 4 | 3 | 1 | 2 |
| ხეთაგური | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჭოხონელიძე | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ელანიძე | 13 | 6 | 4 | 0 | 0 | 0 | 1 |
| დვალიშვილი | 29 | 12 | 11 | 0 | 2 | 2 | 1 |
| სულაბერიძე | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

**იტალია - ესპანეთი 63:74**

ესპანეთი - 3 მოგება, იტალია - 2, საქართველო - 1 / სლოვენია - 0

ევროპის 16-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა პროგრამა-მინიმუმი, უძლიერესთან ჯგუფში დარჩენა, შეასრულა. ამისათვის საკმარისი იყო პირველ ეტაპზე ჯგუფში ბოლო ადგილისთვის აგვერიდებინა თავი, რაც გუშინ, სლოვენიის ნაკრების დამარცხებით შესრულდა.

შაბათს, იტალია გვყავდა გამომცდელად. სამწუხაროდ, გამოცდას მხოლოდ საწყის წუთებზე გავუძელით, როდესაც 4:0 დავწინაურდით. თუმცა მერე ჭაბუკმა "აძურიმ" ნელ-ნელა უმატა ტემპს და შავი დღე გვაყარა. საწყისი ჩამორჩენის შემდეგ, მათ ორწუთიანი მონაკვეთი 15:0 მოგვიგეს, 19:7 დაწინაურდნენ და ამის შემდეგ, დაწევის იოტისოდენა შანსიც კი არ მოგვცეს.

ყველაზე საინტერესო, რაც ამ მატჩში მოხდა, მეორე პერიოდი იყო. დროის ამ ათწუთიან მონაკვეთში, ქართველი და იტალიელი კალათბურთელები, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შეცდომების დაშვებაში. შესაბამისად, მეოთხედი უჩვეულოდ მწირქულიანი გამოდგა და 9:9 დასრულდა. დარჩენილ ოც წუთში კი, ჩვენზე გაცილებით კარგად იტალიელებმა გაისწორეს სამიზნე, რაც საბოლოო ანგარიშითაც ნათლად ჩანს. ერთადერთი, რაშიც აპენინელებს ვაჯობეთ, მათზე ორით მეტი მოხსნაა...

ამრიგად, ელიტაში დარჩენის ყველაზე მარტივ გზად რჩებოდა გუშინდელი მატჩის მოგება სლოვენიასთან. ასეთ შემთხვევაში, პირველ ეტაპს ვასრულებდით ჯგუფში მესამე ადგილით, რითაც მომდევნო რაუნდში გავდიოდით და საგაისოდ, ავტომატურად ვრჩებოდით გრანდთა მარაქაში. წაგების შემთხვევაში კი A დივიზიონში დასარჩენად უნდა გვეზრუნა.

მატჩი დვალიშვილის ორქულიანით გაიხსნა და მთელი პირველი მეოთხედი, მდევრის როლში იყვნენ სლოვენიელები. მაქსიმუმი, რაც მათ საწყის ათ წუთში მოახერხეს, იყო ის, რომ სამჯერ გაათანაბრეს ანგარიში. თუმცა პერიოდი მაინც **მიხეილ კობეშავიძის** შეგირდებმა მოიგეს - 25:21.

სიტუაცია დიდად არც მომდევნო ათწუთეულში შეცვლილა. შენგელია, თავართქილაძე, დვალიშვილი და ჩიკვილაძე, მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალებას არ აძლევდნენ და სხვაობა 4-5 ქულას შორის მერყეობდა. შესვენებაზე, ჩვენი ჭაბუკები შვიდქულიანი ფორით გავიდნენ.

მესამე პერიოდის საწყის ხუთწუთნახევარში, ჩვენებურებმა 12:3 სპურტი მოაწყვეს და დასკვნითი მეოთხედის წინ, ტაბლოზე 69:55 ენთო...

ბოლო მეოთხედიც წინამორბედივით დაიწყო. საქართველოს ნაკრები ოცდაათი ქულით დაწინაურდა და ბოლო წუთები ფორმალობადღა აქცია. მიუხედავად იმისა, რომ ელანიძე და დვალიშვილი ხუთ-ხუთი პერსონალურით, ნაადრევად გავიდნენ მოედნიდან, ანგარიში მაინც ფარხმალდაყრილი სლოვენიელებისთვის კატასტროფულად იზრდებოდა. საბოლოოდ, 100:70!

ამრიგად, ახალგაზრდული ნაკრების მსგავსად, ჩვენი ჭაბუკებიც ელიტაში დარჩნენ, რაც უკვე დიდი წარმატებაა. მომდევნო ეტაპზე, ჯგუფში მოვხვდით ესპანეთთან, იტალიასთან, სერბეთთან, საფრანგეთსა და ისრაელთან. ესპანელებს და იტალიელებს აღარ ვეთამაშებით. მეორე ჯგუფის პირველ მატჩს, ხვალ ჩავატარებთ სერბეთის წინაალმდეგ.

**კობა ხატისაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

კლუბები ახალი სეზონის წინ


დავით ოდიკაძესა (მარცხნივ) და დინამოს ხვალ სიმურგი გამოცდის

# მგლებმა სიონსაც სძლია

**სიონი–მგლები 1:2**

0:1 კრასოვსკი (60), 0:2 ჭედია (73), 1:2 რეხვიაშვილი (84)

სიონი: ბობღიაშვილი, ბოიომო, სვანიძე, ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი, ვამაკიძე, პაპუაშვილი, ბაჯელიძე, ბუცხრიკიძე, ქარდავა, ჩასემი.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: გ. იაშვილი, კვიციანი, რეხვიაშვილი, თავბერიძე.

მგლები: დევაძე, ექონია, მაჭავარიანი, ფარულავა, კაკაბაძე, დ. ქირია, ვართაგავა, ჯოჯუა, წურწუმია, კრასოვსკი, ჭედია.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ივარდავა, კუტალია.

ბოლნისის შემდეგ "სიონმა" მოსამზადებელი შეკრება ურეკში გააგრძელა. ქვემოქართლელებმა შავიზღვისპირეთს გასულ უქმეებზე მიაშურეს და ერთი საკონტროლო მატჩის გამართვა უკვე მოასწრეს. ბოლნისელთა კლუბის გენერალური მენეჯერის **ჯემალ ჭიპაშვილის** თქმით, "სიონმა" ურეკში მზადების დაწყების მეორე დღეს უმაღლესი ლიგის დებიუტანტ ზუგდიდის "მგლებთან" მოსინჯა ძალები. სხვათა შორის, ზუგდიდელებმა უკვე დაამთავრეს ურეკში მზადება და "სიონამდე" თბილისის "მერანი" 3:2 დაამარცხეს.

გუნდებმა პირველ ტაიმში ძირითადი შემადგენლობები ათამაშეს, რომელიც უგოლოდ დასრულდა. შესვენების შემდეგ კი მწვრთნელებმა **ნოდარ აკობიამ** და **ბესიკ შეროზიამ** სარეზერვო შემადგენლობა და ტესტირებაზე მყოფი ფეხბურთელები ათამაშეს. ამ პერიოდში "მგლებმა" იძალა და **კრასოვსკისა** და **ჭედიას** გოლებით დაწინაურდა. მატჩის მიწურულს კი **რეხვიაშვილმა**, რომელიც ერთი ხანობა იტალიის ერთ-ერთ ქვედალიგოსან გუნდში ასპარეზობდა, ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო.

ნოდარ აკობია ურეკში გამართული ტესტმატჩით მეტნაკლებად კმაყოფილი დარჩა. გუნდს შეკრება ახალი დაწყებული აქვს და ბუნებრივია საკონტროლო თამაშში ბოლნისელებს ხარვეზები ჰქონდათ. ჭიპაშვილის თქმით, აკობიამ შეკრებიდან დაითხოვა ნახევარმცველი **კვიციანი** და ურეკში გამოიძახა ასევე ნახევარმცველი **გიორგი კვიტაიშვილი**. მორიგ ამხანაგურ მატჩს, "სიონი" 24 ივლისს გამართავს. ბოლნისელები ურეკში მყოფ "მერანს" გაეჯიბრებიან.

დაბოლოს, "მგლებზეც" ვთქვათ, ბესიკ შეროზიას გუნდი ურეკიდან ზუგდიდში დაბრუნდა და მშობლიურ ქალაქში გააგრძელებს წვრთნას. როგორც მან გვითხრა, ახალი სეზონის დაწყებამდე, "მგლები" კიდევ ორ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს, ერთ ძლიერ და ერთ შედარებით სუსტ მეტოქესთან, თუმცა მათი ვინაობა ჯერჯერობით გარკვეული არაა.

**დავით ცაბაძე**


ნოდარ აკობია

# დინამო სიმურგთან ითამაშებს

ლიხტენშტაინის "ვადუცთან" შინ 2:0 მოგების შემდეგ, "დინამო" საპასუხო მატჩისთვის მზადებას განაგრძობს. **დუშან უჰრინის** გუნდი მშობლიურ ბაზაზე ვარჯიშობს. როგორც შევიტყვეთ, "დინამო" ხვალ ამხანაგურ მატჩს გამართავს. უჰრინის გუნდი თბილისში შეკრებაზე მყოფ აზერბაიჯანულ "სიმურგს" დაუპირისპირდება. სავარაუდოდ ეს მატჩი, დიღმის ბაზაზე 18:30 სთ-ზე დაიწყება.

"დინამოსთან" დაკავშირებით ერთსაც გეტყვით. მეკარე **ზვიად სტურუა** და მცველი **ლევან აკობია** განათხოვრების წესით, "ბორჯომში" გააგრძელებენ კარიერას.

დაბოლოს, კიდევ ერთ ფეხბურთელზე გამცნობთ, რომელიც კონტრაქტით "დინამოს" ეკუთვნის. **გიორგი ნერგაძე** ყაზახეთში, ადგილობრივი "ალმათის" მიწვევით იმყოფებოდა, მაგრამ ვარჯიშებზე ფეხი იტკინა და უკან მოუწია დაბრუნება.

*"ყაზახეთში ჩავედი და ორიოდე დღეში ტრავმა მივიღე. არადა დაშავების წინა დღეს, ვარჯიშზე ორმხრივი თამაშისას, ორი გოლი გავიტანე და მწვრთნელებს მოვწონდი. ტრავმა რომ არ მიმეღო, ახლა კონტრაქტიც გაფორმებული მექნებოდა...*

*ფეხი ახლა კარგად მაქვს, ტკივილი აღარ მაწუხებს. დუშან უჰრინს კი უნდოდა ჩემი დატოვება, მაგრამ მას ჯერ კიდევ გერმანული შეკრების დაწყებამდე ვუთხარი, რომ სხვა გუნდში ვაპირებდი კარიერის გაგრძელებას.*

*ამჟამად კიდევ ერთ უცხოურ ვარიანტს ველოდები. გალეგიონერება მინდა... ზაფხულის სატრანსფერო პერიოდისას თუ მოვასწარი ხომ კარგი, თუ არა და, უკიდურეს ვარიანტში, "დინამოს" ხელმძღვანელობას ვთხოვ, პირველ წრეში რომელიმე ქართულ გუნდში გამანათხოვროს"*, - აღნიშნა ლელოსთან" საუბარში გიორგი ნერგაძემ.

**დავით ცაბაძე**


მამუკა რუსია

# ცხინვალი მესხეთს ვერ ეყო

**მესხეთი–ცხინვალი 2:0**

1:0 თაყაძე (10), 2:0 რუსია (20).

მესხეთი: სომხიშვილი, აკოფიანი, ნადირაშვილი, ჟვანია, ლეკიშვილი, მამუკაშვილი, თაყაძე, აფრიამაშვილი, კაიდარაშვილი, შ. ჯიქია, რუსია.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ძამუნაშვილი, გვირჯიშვილი, ინასარიძე, ზ. სუდაძე, გ. სუდაძე.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა "მესხეთმა" გორის "დილისა" და "ბორჯომის" ორგზის ძლევის შემდეგ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. **კობა თედიაშვილის** გუნდი **კობა ჟორჟიკაშვილის** "ცხინვალს" გაეჯიბრა და 2:0 მოუგო. ახალციხელებმა თამაშის სტარტზევე მოინდომეს და გარჯაც დაუფასდათ. **მიხეილ თაყაძისა** და უბერებელი **მამუკა რუსიას** გოლების წყალობით "მესხეთმა" ფორა შეიქმნა. თამაში შემდეგაც საინტერესოდ გაგრძელდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

"მესხეთი" საკონტროლო მატჩების სერიას განაგრძობს. ახალციხელები მშობლიურ ქალაქში ემზადებიან და დღეს, 23 ივლისს საგურამოს ბაზაზე "ამერთან" მოსინჯავენ ძალებს.

**დავით ცაბაძე**

# ვიტ ჯორჯია ტიტანს შემოემარცხა

მეხუთე დღეა თბილისის "ვიტ ჯორჯია" უკრაინულ კრიმტეპლიცაშია. სიმფეროპოლთან ახლოს მდებარე ამ პატარა ქალაქში ვიტელები შარშანაც იყვნენ შეკრებაზე. "ვიტ ჯორჯია" იქ სასტუმრო "მესამე ტაიმში" ცხოვრობს, რაც იმევდროულად კლუბ "კრიმტეპლიცას" სამყოფელიცაა.

გასულ უქმეებზე **ნესტორ მუმლაძის** გუნდმა უკრაინაში პირველი საკონტროლო მატჩი გამართა იქაურ მესამე ლიგის "ტიტან არმეისკისთან" და 3:4 დამარცხდა. 22-ე წუთისთვის ვიტელები უკვე 0:2-ს აგებდნენ. ტაიმის მიწურულს **ლუკა რაზმაძემ** ერთი ბურთი გაქვითა, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისში **გიგა ბეჟვაიამ** გამთანაბრებელი შეაგდო. ამით შეგულიანებული "ვიტ ჯორჯია" დაწინაურდა კიდეც - **გიორგი ბერიშვილმა** ეფექტური გოლი გაიტანა. ვიტელთა პრესსამსახური იმასაც იტყობინება, რომ ამის შემდეგ გუნდი მოდუნდა და შეხვედრის მიწურულს ორი ბურთი გაუშვა.

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ადამაძე, ლომაია, მელქაძე, რაზმაძე (86. მაისაშვილი), კლიმიაშვილი (27. სახოკია), გ. დათუნაიშვილი, კვალინიძე (16. ინჯგია), ბეჟვაია (55. კიკნაძე), ლუჭაშვილი (46. ბერიაშვილი).

მორიგ ტესტმატჩს "ვიტ ჯორჯია" დღეს გამართავს ასევე მესამელიგელ "კრიმტეპლიცასთან".

**დავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ყაზახეთში ოლიმპს ბოდრი ჯილდასი (18) ვერ დაეხმარება

ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. ასტანა-ოლიმპი. საპასუხო მატჩი

# კოსტანაიში 16 ფეხბურთელით

"ოლიმპი" ყაზახეთისკენ დღეს დილას, 9 საათზე უნდა გაფრენილიყო თბილისი-კოსტანაის ჩარტერული ავიერეისით. როგორც იცით, ყაზახეთის დედაქალაქში სტადიონი უეფას მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და ამიტომაც, "ასტანა" "ოლიმპს" ქართველთათვის უკვე კარგად ნაცნობ კოსტანაიში უმასპინძლებს. იმედია, "ზესტაფონისგან" განსხვავებით, "ოლიმპის" ამ ქალაქში სტუმრობა წარმატებით დასრულდება.

განაცხადის სრულად შევსება ვერ ხერხდება, რუსთაველთა მთავარი მწვრთნელის, **ვარლამ კილასონიას** განკარგულებაში მხოლოდ 16 ფეხბურთელია. ვერაფრით მოხერხდა **ბოდრი ჯილდასისთვის** ყაზახეთის ვიზის გახერხება, ამ ქვეყნის საკონსულომ კონგოელის ქვეყანაში შეშვებაზე უარი განაცხადა. "ოლიმპს" ვერც **გელა ხუბუა** დაეხმარება, რომელმაც კლუბი დატოვა. სამაგიეროდ რუსთაველებს ყაზახეთში **ლაშა ქებაძე** დაეხმარება, რომელმაც პირველი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა.

*"გუნდი ნორმალურადაა მომზადებული, ბოლო დღეების განმავლობაში კიდევ უფრო შევთამაშდით. ერთი შეხედვით, პირველი მატჩის შემდეგ წყვილის ფავორიტად, შესაძლოა, "ასტანა" მოჩანდეს, მაგრამ, ვფიქრობ, ასე არაა. დარწმუნებული ვარ, კოსტანაიში გაცილებით უკეთეს თამაშს ვაჩვენებთ. ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი, მეორე წრეში გასასვლელად ყველაფერს ვილონებთ"*, - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა **ვარლამ კილასონიამ**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ყაზახებს რუსთავის სტადიონი მოეწონათ

ყაზახეთის ჩემპიონ "ასტანის" ხელმძღვანელობას, ეტყობა, ცრურწმენების ძალიან სჯერა. გუნდის ოფიციალური ვებ გვერდზე საინტერესო ფრაზები ამოვიკითხეთ, თუ რატომ დაბინავდა გუნდი რუსთავის ნაცვლად, თბილისში.

თურმე, იმავე სასტუმროში ორი წლის წინათ ყაზახეთის ახალგაზრდული ნაკრები დაბანაკებულა, რომელმაც ბოლნისში საქართველოს ახალგაზრდულს მოუგო და, რადგან ეს კარგის ნიშანი იყო, ჩვენც იგივე სასტუმრო ამოვირჩიეთო.

"ასტანის" ფეხბურთელებს რუსთავის სტადიონი და მოედნის საფარი ძალიან მოეწონათ. *"ეგაა მხოლოდ, რომ ჩვენი სტადიონი რუსთავისას აშკარად სჯობია. ამიტომაც გაუგებარია, მასზე ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის ჩატარების უფლება არ მისცეს, ქართული გუნდი კი დაუშვეს"*, - აშკარა გალიზიანება იგრძნობა ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციაში.

**მერაბ მამულაშვილი**

21-წლამდელთა ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# ბრაზილიასთან მოლაპარაკებები გრძელდება

პარასკევს ვწერდით საქართველოსა და ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრებების შესაძლო ამხანაგურ მატჩზე. მხარეებს შორის მოლაპარაკებებში მონაწილე **ნიკო პატარქალიშვილის** მტკიცებით, ბრაზილიის ნაკრები თანახმაა 15 აგვისტოს, თბილისში ჩვენს 21-წლამდელთა ნაკრებს გაეჯიბროს.

*"ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას შევხვდი და ამ საკითხზე მოლაპარაკებები გრძელდება. ბრაზილიური მხარე ჩქარობს და მოკლე ხანში ელის თბილისიდან პასუხს. ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობა ყველაფერს კარგად აწონ-დაწონის და საბოლოო გადაწყვეტილებას მერე მიიღებს. იმედია, ბრაზილიასთან შეთანხმების მიღწევა არ გაგვიჭირდება"*, - გვითხრა ნიკო პატარქალიშვილმა.

როგორც შევიტყვეთ, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებში ჩაერთო. ნიკო პატარქალიშვილის მტკიცებით, ბრაზილიურმა მხარემ განაცხადა, საქართველო-ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის ტელეტრანსლაციაზე ექსკლუზიური უფლებას, ბრაზილიის ტერიტორიის გარდა, ქართულ მხარეს მივცემთო.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ ჩვენმა 21-წლამდელთა ნაკრებმა 5 ივნისის ესპანეთთან საშინაო მატჩით (0:1) ევროპის ჩემპიონატის ახალი შესარჩევი ციკლი დაიწყო. **პეტარ სეგრტის** გუნდს, მომდევნო ტურის მატჩი 22 აგვისტოს პოლონეთში ელის. პოლონეთამდე კი სეგრტის გუნდს შანსი აქვს ძლიერ ნაკრებთან მოსინჯოს ძალები.

**დავით ცაბაძე**

# არველაძე 16 წლით გაახალგაზრდავეს



"ლევანტეში" გადასული 34 წლის **შოთა არველაძისთვის** ჯერ ნომერი არ მიუციათ და ვალენსიელებს არც საკონტროლო მატჩი უთამაშიათ. კლუბის წარმომადგენელმა **ლუის მანუელ რუბიალესმა** კი ესპანურ პრესაში ზოგადად გუნდზე ისაუბრა და კონკრეტულად არველაძეზეც.

- მას საგულდაგულოდ დავაკვირდი ვარჯიშზე და შევამჩნიე, რომ 18 წლის ბავშვის ილუზიებითაა შემართული. პირველივე ვარჯიშზე მივხვდი, რომ ყოველ მიღებულ ბურთზე იმას ფიქრობს, საუკეთესო გზა მოძებნოს მისი კარში გადაგზავნისთვის - უთქვამს რუბიალესს.

ინტერვიუ გიორგი დავითნიძესთან

# ისევ ჩემპიონატი, საკუთარი თავი და დინამო

*პირველი გვერდიდან*

**- სტანდარტულების დროს მაინც რა მოხდა, ბურთს უყურებდით თუ მეტოქე ფეხბურთელებს - როგორი იყო დავალება?**

- ყველას თავისი კაცი გვყავდა ამოსაკეტი. "ბელხატოვს" ბევრი ტანმაღალი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ რომ არა ჩვენი უყურადღებობა, ალბათ გოლებს არ გავუშვებდით. გოლების გარდა "ბელხატოვმა" მხოლოდ ერთი სახიფათო მომენტი შექმნა ჩვენს კართან.

**- "ბელხატოვი" ისეთ გუნდად მიგაჩნია, რომელსაც "ამერი" ორბურთიან ჩამორჩენას ამოუქაჩავს?**

- ჩვენ შინ 2:0-ც გვაწყობს. "ბელხატოვის" დამარცხება "ამერს" შეუძლია. "მიხეილ მესხზე" ვითამაშებთ და ეს სტადიონი კარგად გვაქვს დაცდილი. ფსიქოლოგიური ტვირთიც დიდი არ გვექნება, მოედანზე თავს თავისუფლად ვიგრძნობთ, დასაკარგი ხომ არაფერი გვაქვს.

**- შარშან უეფას თასზე "ამერმა" პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე "ბანანცი" დაამარცხა. წლეულს გაცილებით ძლიერი მეტოქე გერგოთ, თუმცა ალბათ "ამერისგანაც" შარშანდელზე მეტს ითხოვენ...**

- სეზონში ეს ჩვენი პირველი ოფიციალური თამაში იყო, თანაც სტუმრად. თუმცა მარცხის მიზეზი ისევ საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. ისე, მოსამზადებელ პერიოდში ჩეხურ "სპარტას" რომ ვეთამაშეთ, "ბელხატოვზე" უფრო ძლიერი გუნდი ჩანდა, თუმც საკონტროლო მატჩი სულ სხვაა...

**- წლევანდელ ევროტურნირზე "ამერმა" რა მიზანი დაისახა?**

- რაც შეიძლება მეტი ეტაპის გადალახვა. თუ "ბელხატოვს" გავივლით, უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზეც შეიძლება ფიქრი. "ბელხატოვს" შემდეგ ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი აქვს, მაგრამ უიმედოდ როდი ვართ, უბრძოლველად არაფერს დავთმობთ.

**- ეროვნულ ჩემპიონატში კი "ამერს" ალბათ კონკრეტული მიზანი აქვს.**

- მასეა, ჩემპიონობა გვინდა, თასიც და სუპერთასიც. "დინამო", "ოლიმპი" და "ზესტაფონი" - ისინი იქნებიან ჩვენი კონკურენტები. მათგან "დინამოს" გამოვარჩევდი, თუმც ამ გუნდთან "ამერს" დადებითი ბალანსი აქვს და ალბათ ჩვენ უფრო შეკრული გუნდი ვართ.

ლეგიონერი

# ასათიანი ნახევარდაცვას უახლოვდება

**"ლოკომოტივისა" და ცსკა-ს უპრინციპულეს დერბიში მალხაზ ასათიანს მონაწილეობა არ მიუღია. რატომღაც რკინიგზელთა მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა საქართველოს ნაკრების ლიდერი სათადარიგოთა სკამზე დატოვა. არადა, მატჩამდე რუსული პრესა ვარაუდობდა, რომ მალხაზი ამ თამაშის ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე იქნებოდა. მოლოდინს ისიც ამძაფრებდა, რომ წინა ტურში, "ხიმკისთან" შეხვედრაში ასათიანმა შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა. "სპორტ-ექსპრესში" გამოქვეყნებული მისი ინტერვიუ უინტერესო არ უნდა იყოს.**





**- როდის შეიტყვეთ, რომ პოზიციას შეიცვლიდით?**

- მხოლოდ მატჩისწინა მოთელვისას. ისე კი, ეს ჩემთვის ნამდვილად არაა ახალი როლი. ნაკრებში ხომ ყოველთვის ეს ფუნქცია მაკისრია. მწვრთნელმა თავდამსხმელების უკან თამაში დამავალა, თანაც მითხრა, დაცვის დახმარებაზე ბევრს ნუ იფიქრებო.

**- ბოლოს როდის ითამაშეთ ამ პოზიციაზე "ლოკომოტივის" შემადგენლობაში?**

- 2005 წელს, უეფას თასზე, "ესპანიოლთან", რუსეთის ჩემპიონატში კი "ტერეკთან". "ხიმკისთან" მატჩს რაც შეეხება, საგოლე პასი კი გავაკეთე, მაგრამ საკუთარი თამაშით ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ.

**- ტრავმა ხომ არ გახსენებთ თავს?**

- არა, მადლობა ღმერთს, არაფერი მტკივა, ერთადერთი, ფიზიკურად მინდა მოვძლიერდე.

**- მართალია, რომ ბიშოვეცი ავსტრიულ შეკრებაზე საყრდენად გათამაშებდათ?**

- მართალია. საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა ფუნქციების შესრულება შემიძლია.

**- "ლოკომოტივმა" რუსეთის ჩემპიონატის პირველი წრე არასახარბიელოდ ჩაატარა. რისი იმედი შეიძლება ჰქონდეთ თქვენი კლუბის გულშემატკივრებს?**

- როგორც ყოველთვის, ჩემპიონობისვის ვიბრძვით. იმედია, დარჩენილ ტურებში ქულებს ნაკლებად დავკარგავთ.

*P.S. ასათიანის ნახევარდაცვაში გადაყვანას "ლოკომოტივის" წამყვანმა ფორვარდმა* **დმიტრი სიჩოვმა** *გაუკეთა კომენტარი:* **"დმიტრი ლოსკოვთან** *შესანიშნავად ვიყავი შეთამაშებული, მაგრამ იგი ახლა სხვა კლუბში თამაშობს. "ლოკომოტივს" რამდენიმე ძლიერი შემტევი ნახევარმცველი ჰყავს, ასათიანი მათ შორის გამორჩეულია. სავარაუდოდ, მოკლე პერიოდში იგი ჩვენი ვუნდის ახალ ფლეიმეიქერად ჩამოყალიბდება".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ინტერვიუ გიორგი დემეტრაძესთან

# ნობელის პრემია მას, ვინც ნაკრების წარუმატებლობას ახსნის

**კიევის "არსენალში" გადასვლის შემდეგ, გიორგი დემეტრაძეს პირველი ინტერვიუ უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" ჩამოართვა. ბუნებრივია, მთავარი თემა ქართველი ლეგიონერის "მეთოფეთა" ბანაკში გადაბარგება გახლდათ. გთავაზობთ ამ ინტერვიუს ყველაზე საინტერესო ნაწილს.**

- კიეველთა ინტერესის შესახებ "მეტალურგის" ხელმძღვანელისგან შევიტყვე, შევხვდი "არსენალის" მეპატრონეს და დავრწმუნდი, რომ სერიოზული კლუბი ყალიბდებოდა, რომელსაც მომავალში გრანდებთან კონკურენცია შეეძლებოდა. მეც ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე.

**- ანუ, ეს უკანგადადგმული ნაბიჯი არაა?**

- რა თქმა უნდა, არა! ასე რომ, მეფიქრა, ახალ კლუბში არც გადავიდოდი. მერწმუნეთ, "არსენალს" ამბიციური პრეზიდენტი ჰყავს, რომელიც სერიოზულ მიზნებს ისახავს.

**- ბოლო ნახევარი წელიწადი გუნდში არ თამაშობდით, ნაკრებში კი რეგულარულად გამოდიოდით. რა იყო ამის მიზეზი?**

- თავად მიკვირდა. ნაკრებში ყველა შეხვედრა ჩავატარე, კლუბში კი ნაკლებად მენდობოდნენ. კო ადრიაანსე ეჭვით მიყურებდა. ჰოლანდიელთან უფრო ვწვალობდი, ვიდრე ვთამაშობდი... თუმცა "მეტალურგში" დრო უქმად არ გამიცდენია. ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი იყო და მხოლოდ სასიამოვნო მოგონებები დამრჩა. რომც მკითხოთ, ცუდს ვერ გავიხსენებ.

**- გადასვლამდე, "არსენალის" ყოფილ ქართველ მოთამაშეებს ხომ არ მოეთათბირეთ?**

- არა, თუმცა ლაშა ჯაკობია ალექსანდრე ზავაროვს ყოველთვის ძალიან კარგად მიხასიათებდა, ისევე როგორც "არსენალში" გასინჯვაზე მყოფი ოთარ მარცვალაძე.

**- "არსენალში" ბევრი ახალწვეულია. საერთო ენა ყველასთან გამონახეთ?**

- რა თქმა უნდა! სიმონენკოსთან "ალანიაში" ვთამაშობდი, ზაკარლიუკა "მეტალურგში"გავიცანი. სხვებთანაც მალე დავახლოვდი. "არსენალში" მეგობრული გუნდი ჩამოყალიბდა, რაც წარმატებაში ხელს შეგვიწყობს. პოტენციალით ექვსეულში მოხვედრის შანსი გაგვაჩნია. პრეზიდენტი კი წლეულსვე ევროთასებისთვის ბრძოლას გვთხოვს.

**- "არსენალის" მეპატრონე ვადიმ რაბინოვიჩმა თქვა, "არსენალი" რაც უფრო მაღალ ადგილს დაიკავებს, მით მეტ პრემიებს მიიღებენ ფეხბურთელები.**

- ასეთი პრაქტიკა ბევრ კლუბშია დანერგილი. იქნებ, უეფას თასზე მოვხვდეთ. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, ხელმძღვანელობა ფეხბურთელებს არ გაანაწყენებს.

**- "მეტალურგში" უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდი. "არსენალში" რეალური გეჩვენებათ ამ მიღწევის გამეორება?**

- ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი გუნდური წარმატებაა და არა პიროვნული. რა ხეირი, მე რომ ბომბარდირი გავხდე, მაგრამ "არსენალმა" ვერაფერს მიაღწიოს?

**- 2001 წელს, "სოსიედადში" გადასვლისას წარმოიდგენდი, რომ კიევში კიდევ დაბრუნდებოდი?**

- არავინ იცის, ხვალ სად აღმოჩნდება. კიევში გაცილებით კარგი ცხოვრებაა, ვიდრე პერიფერიაში. მშვენიერი ევროპული ქალაქია და უზომოდ ბედნიერი ვარ, ისევ აქ რომ ვიცხოვრებ. სხვათა შორის, ესპანეთში გადასვლისთანავე კიევში ბინა ვიყიდე. მსურდა, ამ ქალაქთან რაიმე დამაკავშირებელი მქონოდა.

**- კახა კალაძე კარიერის შემდეგ კიევში აპირებს დასახლებას.**

- მეც ასე მსურს. სხვათა შორის, ჩემი ბინა ადრე კახას ეკუთვნოდა, მანამდე კი კონსტანტინე მელაძეს. ვფიქრობ, ამით ბინის მეპატრონის ცვლილება დასრულდება. არც კიევიდან ვაპირებ წასვლას და არც სახლის გაყიდვას.

**- საქართველოს ნაკრებზეც უნდა გკითხოთ. რატომაა, რომ ევროპაში ძლიერი მოთამაშეები გყავთ, მაგრამ შესარჩევ ეტაპებს მიყოლებით აგდებთ?**

- ამას ვერავინ გეტყვით! და თუკი ვინმე მიზეზს ახსნის, მას ნობელის პრემია უნდა მიანიჭონ. თავადაც არ მესმის, რა ხდება. ჩვენ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს, მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერია. მისი ძმა ახალგაზრდულ და იუნიორთა ნაკრებში მუშაობს, მაგრამ შედეგი არა და არაა! იქნებ, უკრაინასთან შემოდგომის მატჩისთვის მაინც განვეწყოთ საჭირო დონეზე.

**- ეს შეხვედრა ხომ საქართველოსთვის უკვე აღარაფერს წყვეტს?**

- უპირველესად, ეს ქვეყნისთვის პრესტიჟის საქმეა. ამიტომაც ყველა მატჩში ვიომებთ. თუკი ქულებს უკრაინას ავართმევთ, იმავეს თქვენს კონკურენტ იტალიასთანაც შევეცდებით.

**- შესარჩევი ციკლის დაწყებამდე შოთა არველაძემ თქვა, რომ ფავორიტები საფრანგეთი, იტალია და უკრაინა არიანო. ეთანხმებით?**

- აბსოლუტურად! შოტლანდიას სერიოზულად ვერც აღვიქვამ. მართალია, ახლა მესამე ადგილზეა, მაგრამ ჩემი აზრით, მას ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის ძალიან მცირე შანსი აქვს. დღემდე ვერ ვივიწყებ, გლაზგოდან ქულა მაინც როგორც ვერ წამოვიღეთ...

პირადად მე, როგორც ქართველს, მსურს შვეიცარია-ავსტრიაში უკრაინამ ითამაშოს. ვფიქრობ, თქვენი კონკურენტი იტალიაა. საფრანგეთი ამ ორივე ნაკრებზე ერთი თავით ძლიერია. შოტლანდია კი არანაირად არაა საქართველოზე ძლიერი.

მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

# ქართული ტრანსფერები

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ | გეგმები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | ძოძუაშვილი (მწვრთნელი), რ. გოცირიძე (ამერი), ჩხარტიშვილი, ბერუაშვილი, ძამსაშვილი გ. ონიანი (კარლ ცაისი), სეთურიძე (კარლ ცაისი), ხუბუა | ვ. კილასონია (მთავარი მწვრთნელი გახდა), ქასრაშვილი (მწვრთნელი), აკუასაგა, სილაგაძე (სიონი), კოშკაძე (ბორჯომი), ჟივკოვიჩი, დვალი (ჩიხურა), რ. ჯიქია (არენდით მგლებიდან), ჯილდასი | შეკრება ურეკში, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი |
| დინამო | იაშვილი (თუნი), შაშიაშვილი (შტურმი), სირბილაძე (GMFF შვედეთი) | გველესიანი (ვიტ ჯორჯია), გონჩაროვი (დილა), ოვონო, აკირემი, ვუკუე, დობეში, ლობჟანიძე (ბათუმი) | შეკრება ბაკურიანსა და გერმანიაში. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი |
| ამერი | სევასტოპულო (მერანი), ნაჭყეპია (კარიერა დაასრულა), | კობაური (სიონი), ბ. ცხადაძე (სიონი), ა. ალავიძე (სიონი), შალამბერიძე (ბათუმი), რ. გოცირიძე (ოლიმპი), ვარდოსანიძე (დილა) | შეკრება ჩეხეთში. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი |
| ზესტაფონი | ბ. ნოზაძე (მერანი), გ. ჭელიძე, ბ. გოცირიძე, ლეანდრო, პარამონოვი, დოლონაძე | — | შეკრება ურეკსა და ანკარაში |
| ვიტ ჯორჯია | გელაშვილი (ბრიუგე), გველესიანი (დინამო), თ. კობიაშვილი (ბორჯომი), ა. კვახაძე (სატურნი) | — | შეკრება ყირიმში |
| სიონი | კ. ცხადაძე, ბ. კვარაცხელია (მწვრთნელები), კობაური (ამერი), ბ. ცხადაძე (ამერი), ა. ალავიძე (ამერი), დარასელია, სილაგაძე (ოლიმპი), მამალაძე, ბაბუნაშვილი, ექონია (მგლები), ლ. კორღალიძე, ორბელაძე (ოლიმპი) | აკობია (მწვრთნელი), გ. იაშვილი (კახეთი), რეხვიაშვილი | შეკრება ბოლნისში შეკრება ურეკში |
| ტორპედო | ჭედია (მგლები), ლაღაძე (ლოკომოტივი), გურული (ჟეტისუ, ყაზახეთი) | — | შეკრება ქუთაისში |
| ლოკომოტივი | გოჩაშვილი, სოსელია, ჩომახიძე | გ. ყიფიანი (დინამო), გ. მიქაძე (ჩიხურა), ხოხონიშვილი (ბათუმი), ლაღაძე (ტორპედო) | შეკრება ურეკში |
| ბათუმი | ლობჟანიძე (დინამო), შალამბერიძე (ამერი), ხოხონიშვილი (ლოკომოტივი), ვ. კვარაცხელია, სომხიშვილი (მესხეთი), ნერგაძე, კერესელიძე, თურმანიძე | — | შეკრება არ დაწყებულა |
| ბორჯომი | კაიდარაშვილი (მესხეთი) შ. ჯიქია (მესხეთი), კოშკაძე (ოლიმპი), ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, კოდალაევი, ნადირაშვილი, ავალიანი | ვ. ხორგუაშვილი (ტირასპოლი), პ. ხორგუაშვილი (შერიფი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | შეკრება ბორჯომში |
| მერანი | ბალაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, გაგუა (ცხინვალი), გლუნჩაძე (ცხინვალი) | კოსტავა (მწვრთნელი, ნ/დინამო), მამარდაშვილი (მეკარეთა მწვრთნელი), თევდორაძე (დილა), ავალიანი (მეშაქრე), სევასტოპულო (ამერი), ბ. ნოზაძე (ზესტაფონი), მგალობლიშვილი (გაგრა), ტყეშელაშვილი (გაგრა), ბოკუჩავა (ნ/დინამო), ლოლაძე (ნ/დინამო), ქობალია (ნ/დინამო), ტორონჯაძე (ნ/დინამო), ქემუხტაშვილი (ნ/დინამო), ლობჟანიძე (ნ/დინამო) | შეკრება კოჯორსა და ურეკში |
| ცხინვალი | — | ჟორჟიკაშვილი (მწვრთნელი) | — |
| მგლები | გ. თოდუა (მტზ-რიპო), რ. ჯიქია (არენდით ოლიმპი) | ექონია (სიონი), ჭედია (ტორპედო) | შეკრება ზუგდიდში |
| მესხეთი | მუშკუდიანი, კუკულაძე, გამცემლიძე (მაღაროელი), ილურიძე (მაღაროელი), მგელაძე, ა. ჩომახიძე (სამტრედია) | აფრიამაშვილი (გაგრა), მამუკაშვილი (გაგრა), კაიდარაშვილი (ბორჯომი), სომხიშვილი (ბათუმი) შ. ჯიქია (ბორჯომი) | შეკრება ახალციხეში |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერები

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



# იაშვილის დებიუტი სეტყვამ გადადო



კობიაშვილი (მარცხნივ) და იაშვილი ერთმანეთის პირისპირ

**სანდრო იაშვილის** ევროპულ დებიუტს ცოტა კიდევ უნდა დაველოდოთ - შვეიცარიის ლიგის პირველი ტურის მატჩი სანდროს ახალ კლუბ "თუნსა" და "სიონს" შორის გადაიდო. თამაშის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ჭექა-ქუხილს ძლიერი სეტყვა მოჰყვა და მოედანი რამდენიმე წუთში თამაშისთვის უვარგისი გახდა. აი, მის სეხნია (გვარით და სახელითაც) ევროპაში უფრო ცნობილი **ალექსანდრე იაშვილის** დებიუტი "კარლსრუეს" ფორმით კი შედგა - გერმანიის ლიგის თასის პირველ მატჩში ის **ლევან კობიაშვილის** "შალკესთან" დამარცხდა - 0:1. ქართველთა დუელიც შედგა.

ჩვენს რუსულ ლეგიონს გაუჭირდა, შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა რუსეთში აღიარებულ ქართველ ვარსკვლავებსაც გაუჩნდათ, მორიგ ტურში სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ **დავით მუჯირი** და **მალხაზ ასათიანი**. სამაგიეროდ **ლევან გვაზავამ** რუსეთის მოქალაქეობის მიღებით სასტარტოში ადგილი დაიბევა. უკრაინაში **ოთარ მარცვალაძის** დებიუტი შედგა "ზაკარპატიეს" რიგებში. ვენაში კი კლუბი **ლაშა სალუქვაძემ** დაალალატა.

## მუჯირი მწვრთნელს შემოსწყრა

რუსულ პრემიერლიგაში მე-17 ტურის მატჩები გაიმართა. "სატურნი" "ტომს" 0:0 დაუზავდა, მასპინძელთა ქართველი ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა** ჯერ კიდევ ტრავმირებულია. "კრილია სოვეტოვი" "მოსკვას" ესტუმრა და 1:3 დამარცხდა. მოულოდნელად, სასტარტო შემადგენლობაში არ დააყენეს სამარელთა ქართველი კაპიტანი **დავით მუჯირი**. ის 72-ე წუთზე შევიდა **ბობიორის** ნაცვლად. რვა წუთში მუჯირმა ყვითელი ბარათი მიიღო. მატჩის შემდეგ ქართველმა უკმაყოფილება ვერ დამალა მთავარი მწვრთნელის **სერგეი ობორინის** გადაწყვეტილებით: *"ყოველ თამაშში მცვლის, ახლა საერთოდ არ დამაყენა შემადგენლობაში, ჩანს, რომ მისი "ლიუბიმჩიკი" არ ვარ"*. თავად ობორინმა მუჯირის სათადარიგოთა სკამზე დასმა ასე განმარტა: *"ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო, დავითს ბოლო წუთებში შეტევა უნდა გაეძლიერებინა"*.

სათადარიგოთა სკამზე გაამწესეს **მალხაზ ასათიანიც**, "ლოკომოტივი" შინ 1:2 დამარცხდა ცსკა-სთან. მუჯირისგან განსხვავებით ასათიანს მოედანზე საერთოდ არ შესულა. მატჩის შემდეგ **ანატოლი ბიშოვეცმა** ასათიანის უთამაშებლობა ასე ახსნა: *"ასათიანი არ არის ჯერ მზად ითამაშოს ისე, როგორც ასათიანს შეეფერება"*.

ნალჩიკში "სპარტაკმა" ჩრდილოკავკასიურ დერბიში "ყუბანი" 1:0 დაამარცხა, **ლევან გვაზავამ** და **ალეკო ამისულაშვილმა** სასტარტოში დაიწყეს, ლევანი 66-ე წუთზე შეცვალეს. გვაზავამ რუსული პასპორტი მიიღო და საკუთარი პრობლემებიც გადაწყვიტა, სასტარტო შემადგენლობაში თამაშიც დაიწყო და "სპარტაკმა" იჯარის ვადაც, რომელიც აგვისტოში იწურებოდა, გაუხანგრძლივა. ქართველთა გუნდებს რუსეთის პრემიერლიგის ცხრილის შუა ადგილები უკავიათ მიჯრით: "ლოკომოტივი" 23 ქულით მეექვსეა, "კრილია" 22 ქულით მეშვიდეა, "სპარტაკი" 21 ქულით მერვეა, ხოლო "რუბინი" 20 ქულით - მეცხრე.

## მარცვალაძის დებიუტი, კვირკველიას საგოლე

უკრაინის ვიშა ლიგაში მეორე ტურის მატჩები გაიმართა. "ზარიამ" უხვგოლიან მატჩში ხარკოვის "მეტალისტი" დაამარცხა - 3:2. **ლადო ბურდული** 76-ე წუთზე შეცვალეს. სტუმართა რიგებში არ უთამაშია **ლაშა ჯაკობიას**, რომელიც წინა დღით "მეტალისტის" დუბლებს გოლით შეეწია. **ვასილ გიგიაძემ** ვერაფერი დააკლო "შახტარს", მისი "ნეფტიანიკი" შინ 0:3 დამარცხდა.

**დავით კვირკველიას** ზაპოროჟიეს "მეტალურგმა" სტუმრად 1:0 მოუგო "კრივბასს". 38-ე წუთზე ერთადერთი გოლი **ტარას სტეპანენკომ** ქართველის ჩაწოდების შემდეგ გაიტანა. **ირაკლი მოდებაძემ** წინა დღით დუბლებში ითამაშა.

"ხარკოვს" გასვლითი შეხვედრა მოუგო **ჯაბა კანკავას** "დნეპრმა", 64-ე წუთზე ანგარიში 2:1 გახდა და პროტასოვმაც ორ წუთში მოედანზე ჯაბა შეუშვა. ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა. უჟგოროდში **ოთარ მარცვალაძის** დებიუტი შედგა "ზაკარპატიეს" შემადგენლობაში, ადგილობრივმა კლუბმა "ვორსკლას" ვერ მოუგო - 0:0. ოთარი მოედანზე 76-ე წუთზე გამოჩნდა. კიევური დერბი სენსაციური ანგარიშით დასრულდა, "არსენალმა" ჩემპიონს ქულები დააკარგვინა - 2:2. **გიორგი დემეტრაძე** ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მოედანზე 77-ე წუთზე გამოჩნდა. მას გოლი არ გაუტანია.

## მეკარეც მოატყუა, მაგრამ..

ლიგის თასის პირველ ეტაპზე "შალკემ" 1:0 მოუგო "კარლსრუეს" და გათამაშებიდან გამოთიშა. გამარჯვებულთაგან 90 წუთი ითამაშა ლევან კობიაშვილმა, დამარცხებულთა რიგებში 61-ე წუთზე შეცვალეს ალექსანდრე იაშვილი. იაშვილს ერთი საგოლე მომენტი ჰქონდა - ერთ-ერთზე გასულმა მეკარეც მოატყუა, თუმცა **კრსტაიჩმა** ბოლო მომენტში შეძლო გუნდის გადარჩენა. "ბილდმა" ორივე ჩვენებური ოთხიანით შეაფასა.

## კიდევ კარგი არ ითამაშა

როგორც ჩანს, დანიის პირველობას მოუმზადებელი შეხვდა **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგი". მეორე მარცხი კლუბმა შინ "ესბერგთან" განიცადა - 0:5. ქართველ მცველს არ უთამაშია და შესაბამისად ბრალიც არაფერში მიუძღვის.

## სალუქვაძე-შოუ

ვენაში ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპის პირველ მატჩში რუსული "რუბინი" "რაპიდთან" 1:3 დამარცხდა. **ნუკრი რევიშვილს** არ უთამაშია, მეორე ტაიმში (1:1-ზე) "რუბინი" ათი კაცის შემადგენლობით დარჩა, მწვრთნელმაც დაცვის გაძლიერება **ლაშა სალუქვაძის** შეყვანით გადაწყვიტა, მაგრამ ორ წუთში ლაშამაც დაალალატა გუნდი, საკუთარ საჯარიმოში მეტოქე მოცელა. ქართველი მცველი გააძევეს, ავსტრიელებმა პენალტი გაიტანეს და ცხრაკაციან "რუბინს" მატჩის მიწურულს კიდევ ერთხელ გაუტანეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერლიგა, XVII ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი-ტომი | 0:0 | არ უთამაშია, ტრავმა | 10 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | რაპიდი-რუბინი | 3:1 | ინტერტოტო: არ უთამაშია | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რაპიდი-რუბინი | 3:1 | ინტერ: 2 წთ (შეცვლაზე), გაძძ. | 4 თ, 0 გ. |
| დავით მუჯირი | მოსკვა-კრილია სოვეტოვი | 3:1 | 18 წთ. (შეცვლაზე), გააფრთხ. | 16 თ, 4 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი-ცსკა | 1:2 | არ უთამაშია, სათადარიგო | 4 თ, 0 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-ყუბანი | 1:0 | 90 წუთი | 17 თ, 2 გ. |
| ლევან გვაზავა | სპარტაკი ნ.-ყუბანი | 1:0 | 66 წთ. (შეცვალეს) | 14 თ, 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, II ტური | | | | |
| დავით კვირკველია | კრივბასი-მეტალურგი ზ. | 0:1 | 90 წუთი, საგოლე პასი | 2 თ, 0 გ. |
| ირაკლი მოდებაძე | კრივბასი-მეტალურგი ზ. | 0:1 | არ უთამაშია, დუბლები | 0 თ, 0 გ. |
| ლაშა ჯაკობია | ზარია-მეტალისტი | 3:2 | არ უთამაშია, დუბლები | 0 თ, 0 გ. |
| ვასილ გიგიაძე | ნეფტიანიკი-შახტარი | 0:3 | 90 წუთი | 2 თ, 0 გ. |
| ლადო ბურდული | ზარია-მეტალისტი | 3:2 | 76 წთ. (შეცვალეს) | 2 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო-არსენალი | 2:2 | 13 წთ. (შეცვლაზე) | 2 თ, 0 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | ზაკარპატიე-ვორსკლა | 0:0 | 14 წთ. (შეცვლაზე) | 1 თ, 0 გ. |
| კახა მჟავანაძე | მეტალურგი დ.-ჩერნომორეცი | - | 25 ივლისი | 0 თ, 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | ხარკოვი-დნიპრო | 1:2 | 24 წთ. (შეცვლაზე) | 1 თ, 0 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა, III ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი-ლასკი | 4:0 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 3 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, II ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი-ესბერგი | 0:5 | არ უთამაშია, სათადარიგო | 1 თ, 0 გ. |

# მელქაძე არ მიდის



**ყარაღანდის** "შახტიორის" ოფიციალურ ვებგვერდზე ორი დღის განმავლობაში სატრანსფერო სიახლეებს ვეცნობოდით. ინფორმაციები ურთიერთგამომრიცხავი გახლდათ. 18 ივლისს დაიწერა, რომ **გიორგი გაბიდაური** და **ლევან მელქაძე** ტრანსფერზე დააყენეს. მეორე დღის ცნობებში კი ვკითხულობთ: "ხმები კი გავრცელდა, თითქოს გაბიდაური მიდიოდა, მაგრამ ის "შახტიორში" დარჩება". ისე ეწერა, თითქოს ყაზახებს თავად ამ ინფორმაციასთან კავშირი არ ჰქონდათ.

როგორც შევიტყვეთ, ლევან მელქაძეც გუნდში რჩება. მას დასავლეთი ევროპის ერთ-ერთ კლუბში გადასვლის იმედი ჰქონდა, მაგრამ ეს ვარიანტი გამოირიცხა. ლევანი ამჟამად გუნდთან ერთად შეკრებაზეა."შახტიორის" ოფიციალური ვებგვერდი იუწყებოდა, რომ გასასინჯად სამ ქართველს ელოდა. ერთ-ერთი მათგანი, ქუთაისის "ტორპედოს" მცველი **გია გურული** ორი კვირაა ყაზახებთან ერთად ვარჯიშობს. მას მწვრთნელი კიდევ აკვირდება. ყარალანდელებთან ვარჯიშობს თბილისის "დინამოს" ნახევარმცველი **ლაშა ნოზაძეც**, მაგრამ მას კონტრაქტი არ გაუფორმებია. შევიტყვეთ მესამე ქართველის ვინაობაც - იგი ბორჯომელი ახალგაზრდაა, გვარად **ხაჩიძე**. ერთადერთი რაც ვიცით ისაა, რომ ის "ქუჩის ბიჭების" წევრის, **პაატა ხაჩიძის** ძმაა. ასაკი, პოზიცია და აქამდე სად თამაშობდა, ჩვენთვის უცნობია.

სხვათა შორის, "შახტიორისა" და ყაზახეთის ნაკრების მეკარე **დავით ლორია** ჰოლანდიის გრანდ "ეინდჰოვენში" ისინჯება. თუკი მამამისს, "შახტიორის" პრეზიდენტ **გრიგოლ ლორიას** ვენდობით, 25 წლის მეკარის შეძენა გერმანიის, ინგლისის, საბერძნეთისა და რუსეთის კლუბებს სურდათ. ყაზანის "რუბინს" კი გამზადებულ კონტრაქტზე უარი უთხრა და ჰოლანდია ამჯობინა.

ეს ის მეკარეა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ საჯაროდ იხვეწებოდა, იქნებ საქართველოში მათამაშოთო. აბა, ჩვენ როგორ გვეკადრებოდა თანხმობის მიცემა...

**მერაბ მამულაშვილი**

# ბრძოლა ამისულაშვილისთვის

**ნალჩიკის** "სპარტაკის" ხელმძღვანელობა ერთი თვეა კიევის "დინამოსგან" ერთ საკითხზე თანხმობას ელის. მოლაპარაკების ობიექტი ქართველი მცველი **ალეკო ამისულაშვილია**, რომელმაც პრემიერლიგაში პირველი წრე ჩინებულად ჩაატარა.

კიეველებმა საიჯარო თანხა გაზარდეს, ნალჩიკელები ნაკლებს იხდიან, ამისულაშვილი კი ისევ გაურკვევლობაშია და დაილალა კიეველთა მუდმივად დიდი მადით.

"სპარტაკის" მწვრთნელმა **იური კრასნოჟანმა** სააგენტო "ჩემპიონატს" გაუმხილა, რომ მოლაპარაკების წარმატებით დასრულებისა და საკითხის ორიოდე დღეში დასრულების იმედი აქვს.

*"ჩვენ გვჯერა, რომ ქართველი ლეგიონერის დატოვებას მაინც მოვახერხებთ"*, - განაცხადა კრასნოჟანმა.

**მერაბ მამულაშვილი**

# გიგაური ბაქოშია, ცინაძე ამერიკაში

## წერეთელმა კარიერა დაასრულა

**დავით გიგაური** კიდევ ერთი ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელია, რომელიც აზერბაიჯანში წავიდა. 21 წლის მცველი თბილისის "დინამოს"ეკუთვნის და ზაფხულში რუსთავის "ოლიმპთან" ერთად, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადებოდა. პირადი, სამწლიანი ხელშეკრულებაც გააფორმა გუნდთან, მაგრამ საბოლოოდ, "ოლიმპმა" "დინამოს" წამოყენებული პირობები ვერ შეასრულა და ფეხბურთელი უგუნდოდ დარჩა. თუმცა მცირე ხნით.

დათო ამჟამად ბაქოშია და ექსჩემპიონ "ბაქიში" ვარჯიშობს.

საქართველოდან უცხოეთში წავიდა 23 წლის მეკარე **გიორგი ცინაძეც**, რომელიც წინა ციკლში ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი იყო. გიორგი ამჟამად ამერიკაშია და იმედოვნებს, რომ ჯერ ფილადელფიის მოყვარულთა გუნდში ჩაირიცხება, შემდეგ კი პროფესიონალებშიც გადავა.

27 წლის ასაკში კარიერა დაასრულა საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა მცველმა **მამუკა წერეთელმა**. ფეხში დაჭრის შემდეგ, მამუკამ ვერა და ვერ მოახერხა ფორმის აღდგენა და გვითხრა, რომ ბუცების ჩამოკიდება გადაწყვიტა.

წერეთელმა ხელი სამენეჯერო საქმიანობას მოჰკიდა და იმედოვნებს, რომ ამ სფეროში მაინც გაუმართლებს.

დასანანია ეს ყოველივე - ნიჭიერი მცველი საქართველოში ვერ შევინარჩუნეთ, უმეკარეო ქვეყანაში პერსპექტიული ცინაძე უგუნდოდ დატოვეს, 17 წლისა ნაკრებში ნათამაშები წერეთელი კი ფეხბურთს ხუთი წლის წინანდელი ყაჩაღური თავდასხმის მიზეზით ჩამოშორდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამეფო კლუბის პირველი შეკრება

რეალი

# 100 ბოთლი ღვინო შუსტერის მოთხოვნით

21 ივლისს **ფაბიო კაპელოს** წასვლის შემდეგ სამეფო კლუბმა პირველად ივარჯიშა. **ბერნდ შუსტერის** განკარგულებაში 24 ფეხბურთელი იყო. მიმომხილველებმა უმალ შევნიშნეთ, რომ გერმანელი სპეციალისტი იტალიელი კოლეგისგან განსხვავებით, ბურთთან მუშაობას გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს. ამავდროულად, სრულიად სამართლიანად ვაცხადებთ, რომ დასკვნების გამოტანა ძალიან ადრეა. მართლაც, ერთი ვარჯიში ყველაზე კვალიფიციურ სპეციალისტსაც არ მისცემს იმის საშუალებას, უტყუარი შთაბეჭდილება შეიქმნას, თუმცა ისიც აშკარა ფაქტია, რომ შუსტერი **რამონ კალდერონმა და პრედრაგ მიატოვიჩმა** სანახაობრივი ფეხბურთისთვის მოიყვანეს. ანუ, გერმანელს ის დაევალა, რაც კაპელომ ვერ გააკეთა. აქედან გამომდინარე, ჰერ ბერნდი იძულებულია, ბურთს მართლაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, შუსტერის ვარჯიშებზე ტექნიკური ილეთების, კომბინაციებისა და შეტევასთან დაკავშირებული ელემენტების დახვეწაზე ყველაზე ბევრს იმუშავებენ. "რეალის" დამრიგებელს ჩვენთან საუბარში არაერთხელ უთქვამს: *"სამეფო კლუბის ფეხბურთელები ყველასგან განსხვავდებიან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ მთავარ მწვრთნელთან კარგი ურთიერთობის, საკუთარი პროფესიული მოვალეობების პირნათლად შესრულების მოტივაცია ჰქონდეთ. ამ მოტივაციის ამაღლების ერთადერთი გზა კი ბურთთან მათი ხშირი კონტაქტია. სხვაგვარად შეუძლებელია, მულტიმილიონერ ადამიანს ყოველდღე სავარჯიშოდ გასვლა და თამაში უხაროდეს."*

და მაინც, ფიზიკურ მომზადებას შუსტერი გვერდს ვერ აუვლის. ამ საქმეში მას **ხორდი გარსია** ეხმარება. გუშინ მწვრთნელებმა გუნდი ორად გაყვეს და საკმაოდ ბევრი არბენინეს. დაახლოებით ნახევარსაათიანი კროსის განმავლობაში ბიჭებმა მხოლოდ სამჯერ დაისვენეს. ისიც რამდენიმე წუთით. ამის შემდეგ რამდენიმე სავარჯიშო შეასრულეს, ბოლოს კი ბიჭებმა ნანატრი ფეხბურთი გააჩაღეს.

გუშინ საღამოს სამეფო კლუბი ავსტრიაში გაფრინდა. ამით მორიგი ტურნე დაიწყო. გუნდი მე-12 საუკუნის ციხესიმაგრეში დაბინავდა. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, შუსტერის მოთხოვნით, მზარეულებმა ავსტრიაში 100 ბოთლი წითელი ღვინო და 50 ლიტრი ზეითუნის ზეთი წაიღეს. გერმანელი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ცოტაოდენი ღვინო და მაღალი ხარისხის ზეითუნის ზეთი ფეხბურთელებს ტონუსს აუმაღლებს. სხვათა შორის, ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ ღვინის უმთავრესი მომხმარებელი თავად შუსტერია.

ისე კი, თუ "რეალის" პრეტემპორადის გრაფიკს გავითვალისწინებთ, აღმოვაჩენთ, რომ შუსტერს დრო არა თუ დასალევად, არამედ თავის მოსაფხანადაც არ ექნება. მის გუნდს ბოლო წლებში ყველაზე გადატვირთული გრაფიკი ექნება. თავად განსაჯეთ, მადრიდული გრანდი ერთბაშად 10 ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ყველაზე მეტ ინტერესს მოსკოვური ტურნირი იწვევს. რუსეთის დედაქალაქში სამეფო კლუბი ოთხთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. შუსტერის ბიჭები ადგილობრივ "ლოკომოტივს" თუ გაუსწორდებიან, ფინალში "მილანისა" და "ეინდჰოვენის" წყვილში გამარჯვებულს დაუპირისპირდებიან. მოკლედ, "რეალს" წინ დიდი თავგადასავლები ელის.

**მარტინ მორალესი**
დიარიო ასი

ბარსელონა. სამი მეგობარი

# ტიერი ანრი მტერი არ არის

## კატალონიური გრანდის ვარსკვლავები მას დახმარებასა და თანადგომას ჰპირდებიან

გუშინ "ბარსელონა" მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. ბაზაზე მისულმა გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა დიდი ხნის ნანატრი სურათი იხილეს. **ტიერი ანრი, რონალდინიო** და **სამუელ ეტოო** ერთმანეთის მხარდამხარ ვარჯიშობდნენ. ჩვენმა კოლეგებმა შენიშნეს, რომ ვარსკვლავურ ტრიოს შესანიშნავი ურთიერთობა აკავშირებს. სამივეს გულწრფელად ეტყობა რომ ერთმანეთის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. მოგვიანებით ეს ამბავი თავად ფეხბურთელებმა დაადასტურეს. თავდაპირველად თქვენს სამსჯავროზე ტიერი ანრის განცხადებას გამოვიტანთ: *"ბარსელონელებმა ძმასავით თბილად მიმიღეს. დღეს რონალდინიოსთან და ეტოოსთან ერთად მხედავთ. ბევრს ეგონა, ვარსკვლავები ერთმენეთს ვერ აიტანენ და დაერევიაბო. გულწრფელად ვამბობ, საამისო საფრთხე არ არსებობს. ჩემმა თანაგუნდელებმა მართლაც ფანტასტიკურად მიმიღეს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, შორს ვარ ოპტიმალური ფორმისგან, მაგრამ მჯერა, დროთა განმავლობაში თამაშის ხარისხს ერთი-ორად გავაუმჯობესებ. მთავარია, ისეთი გენიალური ფეხბურთელების მხარდამხარ ვიასპარეზებ, როგორებიც ლეო მესი, რონალდინიო, სამუელ ეტოო, ჩავი, აბიდალი და სხვები არიან."*



რონალდინიო, ტიერი ანრი და სამულ ეტოო

ფრანგ ვარსკვლავს რონალდინიო მაქსიმალურ დახმარებას ჰპირდება: *"ჩვენ არ ვართ ეგოიზმით დაბრმავებული ადამანები. ანრი, რა თქმა უნდა, უძლიერეს კონკურენტად შეიძლება მოგვევლინოს, მაგრამ ახლა ამაზე არავინ ფიქრობს. თუ საჭირო გახდება, ტიერის ყოველმხრივ დავეხმარები. ეჭვი არ მეპარება, მისი მოსვლის შემდეგ "ბარსელონის" შემტევი პოტენციალი საგრძნობლად გაძლიერდება. ამაზე მნიშვნელოვანი კი არაფერია. დარწმუნებული გახლავართ, მალე დავმეგობრდებით. ბედნიერი ვარ, რომ ანრი ჩემი თანაკლუბელია."*

კეთილი სიტყვები ეტოომაც არ დაიშურა: *"ტიერი გენიოსია, ნამდვილი გენიოსი. სასიხარულოა, რომ ის "ბარსელონაში" ითამაშებს და არა რომელიმე სხვა გუნდში. ერთად ბევრ დიდ საქმეს გავაკეთებთ. ვინც მისი ტრანსფერი გაჩარხა, ნამდვილი გმირია. ბეგირისტაინი ძალიან ამაყი უნდა იყოს. სწორედ გენერალური დირექტორი უძღვებოდა მოლაპარაკებებს. ნურავის ჰგონია, რომ ანრის ვინმე ეჭვიანად მოეპყრობა, პირიქით, მას ყველა მხარში ამოუდგება."*

## ვერდერი ანელკათი დაინტერესდა

ბრემენის "ვერდერმა" ფრანგი ფორვარდის, **ნიკოლა ანელკას** ტრანსფერის თაობაზე "ბოლტონთან" დაიწყო მოლაპარკებები. **მიროსლავ კლოზეს** "ბაიერნში" წასვლის შემდეგ, "მუსიკოსები" შეტევითი პოტენციალის გასაძლიერებლად მაღალი კლასის თავდამსხმელს ეძებენ.

ამ ინფორმაციამდე ცოტა ხნით ადრე, "ბოლტონის" მენეჯერმა **სემი ლიმ** განაცხადა, რომ თუ ფრანგი ფეხბურთელი სხვაგან გადასვლას მოისურვებს, კლუბი მას არანაირ პრობლემას არ შეუქმნის. ასე რომ, "ვერდერს" "ბოლტონის" მხრიდან გზა ხსნილი აქვს.

## ლიუნგბერგმა ფლორენციას ვესტ ჰემი ამჯობინა

"არსენალის" ნახევარმცველმა **ფრედი ლიუნგბერგმა** უარჰყო "ფიორენტინას" წინადადება და "ვესტ ჰემთან" დაიწყო მოლაპარაკებები.

Tuttomercato-ს ცნობით, შვედი ფეხბურთელის ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა ლონდონელთა მხრიდან შეთავაზებული პირობები - "ვესტ ჰემი" ლიუნგბერს წელიწადში 3 მილიონ ფუნტს სთავაზობს.

## ვილტორი რენში მიდის

"ევროსპორტის" ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, თითქმის გადაწყვეტილია **სილვენ ვილტორის** "რენში" გადასვლის საკითხი. საფრანგეთის ნაკრების ფორვარდს სწორედ "რენის" შემადგენლობაში ჰქონდა დებიუტი ქვეყნის უმაღლეს დივიზიონში. ვილტორი ამ გუნდში 1992-95 წლებში თამაშობდა.

*"ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას "რენთან"*, - დაადასტურა ინფორმაცია ვილტორის ამჟამინდელი კლუბის, "ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან-მიშელ ოლამ**. ამ უკანასკნელის სიტყვებით, 33 წლის ფეხბურთელს "რენთან" პირადი კონტრაქტის დეტალები აქვს შესათანხმებელი.

## დიეგო ტრისტანი ლუკარელის ნაცვლად

გაზეთ "მარკას" ცნობით, "ლივორნომ" იპოვნა დონეცკის "შახტიორში" გადასული **კრისტიან ლუკარელის** შემცვლელი. ამ ფორვარდს იტალიურ კლუბში 31 წლის **დიეგო ტრისტანი** ჩაენაცვლება.

ტრისტანმა გასული სეზონი "მალიორკას" შემადგენლობაში გაატარა. ესპანეთის ჩემპიონატში მან მხოლოდ 13 მატჩი ჩაატარა და ვერცერთი გოლი ვერ გაიტანა.

ესპანელმა თავდამსხმელმა "ლივორნოსთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## რეიესი ლიონსაც მოუნდა

საფრანგეთის ჩემპიონი "ლიონი" "არსენალის" ფორვარდ **ხოსე ანტონიო რეიესით** არის დაინტერესებული.

როგორც იცით, ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელმა გასული სეზონი არენდის წესით "რეალში" გაატარა და პრიმერაში, 30 მატჩში 6 გოლი გაიტანა. რეიესის კონტრაქტის გამოსყიდვით, ყველაზე მეტად სწორედ "სამეფო კლუბია" დაინტერესებული, მაგრამ ახლა მას, "ლიონის"სახით კონკურენტი გამოუჩნდა.

## კაიზერმა შვედი ფორვარდი შეიძინა

სააგენტო "როიტერი" იტყობინება, რომ "ფულჰემის" თავდამსხმელი **ბიორნ რუნსტრიომი** ერთი წლით "კაიზერსლაუტერნში" გადავიდა.

მთელი გასული სეზონი შვედმა ფეხბურთელმა ინგლისური კლუბის სათადარიგოთა სკამზე გაატარა. 23 წლის რუნსტრიომმა პრემიერლიგაში მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა.

## დეფო ტოტენჰემიდან არ წავა

როგორც ჩანს, მომავალი სეზონისთვის "ტოტენჰემი" თავის წამყვან ფორვარდებს შეინარჩუნებს. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ლონდონურმა კლუბმა უკვე შეათანხმა ახალი კონტრაქტის დეტალები ბულგარელ **დიმიტარ ბერბატოვთან**.

გარდა ამისა, ინგლისის ნაკრების თავდამსხმელმა **ჯერმეინ ჯეფომ** დაადასტურა, რომ ის არ აპირებს "ტოტენჰემის" დატოვებას. შეგახსენებთ, რომ დეფოს შეძენით "პორტსმუთი" იყო დაინტერესებული.

*"მე მიყვარს ეს კლუბი. აქ თამაშობენ ჩემი მეგობრები და "ტოტენჰემში" დიდხანს დარჩენასა და ბევრი გოლის გატანას ვაპირებ"*, - ამბობს დეფო.

გასულ სეზონში, 24 წლის ფეხბურთელმა ინგლისის ჩემპიონატში 34 მატჩი ჩაატარა და 10 გოლი გაიტანა.

## ფაულერმა კარდიფი გადაწყვიტა

უახლოეს ხანებში მოგვარდება "ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი ფორვარდის, **რობი ფაულერის** ტრანსფერის საკითხი. ფეხბურთელი, რომელიც ერთდროულად რამდენიმე კლუბთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, საბოლოოდ "კარდიფ სიტის" მოურიგდა და ამ გუნდთან 2-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

შარშან, 32 წლის ფაულერმა 10-ჯერ მოირგო "ლივერპულის" მაისურა და 7 გოლი გაიტანა. "კარდიფის" გარდა, რობის თავის რიგებში "ლესტერი" და ავსტრალიური "სიდნეი" იწვევდნენ.

## ბაიანო ლევანტეში გადადის

სეგუნდა დივიზიონში გავარდნილი "სელტას" რიგებს მისი საუკეთესო ფორვარდი დატოვებს.

ვიგოელთა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **ფერნანდო ბაიანომ** განაცხადა, რომ მომავალ სეზონს ის "ლევანტეში" გაატარებს. ბაიანო ესპანეთის შარშანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარიდირი იყო.

## ალვარესი დეპორტივოში

ლა-კორუნიას "დეპორტივომ" ახალგაზრდა **ხაირ ალვარესით** გააძლიერა შემადგენობა.

21 წლის ფეხბურთელი შარშან ხიხონის "სპორტინგში" თამაშობდა, კარიერას კი, "ოვიედოში" იწყებდა.

სხვათა შორის, 2010-2012 წლებში, "დეპორტივომ" სწორედ "ოვიედოს" უნდა გადაუხადოს წელიწადში 300 ათასი ევრო იმ შემთხვევაში, თუ ალვარესი კვლავაც მის შემადგენლობაში იქნება.

## დუშერმა რასინგი აირჩია

"დეპორტივოს" ნახევარმცველმა **ალდო დუშერმა** ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა სანტანდერის "რასინგთან.

28 წლის არგენტინელმა ლა კორუნიაში 7 სეზონი ითამაშა. უკანასკნელ სეზონში დუშერმა პრიმერაში 15 მატჩი ჩაატარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# ადრიანომ ლოთობა აღიარა

## ბრაზილიელმა თქვა, მეტს აღარ ვიზამო

"ინტერის" ფორვარდმა **ადრიანომ** გაამხილა მიზეზი იმისა, თუ რატომ ჩაავდო მან 2006-07 წლების სეზონი. როგორც ირკვევა, შარშან ბრაზილიელი ზედმეტად მიეძალა ალკოჰოლს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თავდამსხმელს ახალი არაფერი უთქვამს - მან მხოლოდ დაადასტურა ის ფაქტი, რაც ისედაც ყველამ კარგად იცოდა. ბრაზილიური და იტალიური პრესა ხშირად წერდა ადრიანოს "გმირობების" შესახებ, როცა ბრაზილიელი ღამის ბარებში უცნობ გოგონებთან ერთობოდა და არც ისე სახარბიელოდ გამოიყურებოდა.

ახლა კი, ადრიანო ირწმუნება, რომ მსგავსი არასოდეს განმეორდება და მომავალ სეზონში მხოლოდ ფეხბურთსა და "ინტერზე" იფიქრებს.

*"მამის გარდაცვალებისა და დანიელასთან დაშორების შემდეგ, ალკოჰოლს მივეტანე. ძალიან ბევრს ვსვამდი. მინდა მადლობა ვუთხრა "ინტერის" პრეზიდენტს, რომელმაც მიუხედავად ყველაფრისა, ჩემზე უარი არ თქვა და გუნდიდან არ გამაგდო"*, - ამბობს ადრიანო "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

იმედი ვიქონიოთ, რომ ბრაზილიელი თავდამსხმელი ამ მავნე ჩვევას მოიშორებს და "ინტერისა" და ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობებში დაბრუნდება. ბოლოს და ბოლოს, სტატისტიკის მიხედვით, ადრიანო ბრაზილიელთა რიგებში, საშუალოდ მატჩში 0.7 გოლს იტანს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.



ადრიანო

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ანუ შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ადრიანო მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა ბრაზილიის ნაკრებში - ეს მოხდა თებერვალში ერთ-ერთი ამხანაგური მატჩის დროს.



ბერნი ექლსტოუნი

არსენალი

# ექლსტოუნი ფეხბურთით დაინტერესდა

## ფორმულა 1-ის მფლობელი არსენალის ყიდვას აპირებს

ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერს **ბერნი ექლსტოუნს** ლონდონის "არსენალის" ყიდვა აქვს განზრახული. ბრიტანული პრესის ინფორმაციით, ინგლისური კლუბის შესაძენად ექლსტოუნს ბრძოლა მოუწევს ამერიკელ ბიზნესმენ **სტენ კრონკესთან**.

ძნელია ამ ბრძოლაში ვინმესთვის უპირატესობის მინიჭება. ერთის მხრივ, კრონკე უკვე ფლობს ლონდონური კლუბის აქციათა 12.2 პროცენტს, მაგრამ მეორეს მხრივ, ამერიკელის რესურსები არაფერია ექლსტოუნის 3-მილიარდიან ქონებასთან შედარებით. ამიტომაც, პრესა მცირედ უპირატესობას ფორმულა 1-ის მფლობელს ანიჭებს.

ექლსტოუნის სასარგებლოდ კიდევ ერთი ფაქტი მეტყველებს. გუნდში მისი მისვლის შემთხვევაში, უფრო მეტი იქნება იმის შანსი, რომ "არსენალის" მთავარ მწვრთნელად **არსენ ვენგერი** დარჩება. ფრანგ სპეციალისტს ხშირად უთქვამს, რომ თუ ლონდონურ კლუბს უცხოელი შეიძენს, ის გუნდში აღარ დარჩება.

უნდა ითქვას, რომ თავად ექლსტოუნი არ ჩქარობს თავისი გეგმების გამხელას და არ ადასტურებს "არსენალთან" მოლაპარაკებების ფაქტს. *"ნუ დაუჯერებთ ყველაფერს, რასაც გაზეთებში წერენ"*, - ასე უპასუხა ექლსტოუნმა ჟურნალისტის შეკითხვას "არსენალის" სავარაუდო შეძენის შესახებ.

დაპირისპირება

# შახტარი სარაგოსას ფიფაში უჩივის

## მათუსალემი არაგონელებმა კანონდარღვევით შეიძინეს?

ორი დღის წინ გამცნეთ, რომ "სარაგოსამ" **ფრანსელინიო მათუსალემს** სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. რომ არა ერთი ფრიად სკანდალური გარემოება, ეს ჩვეულებრივი საფეხბურთო მოვლენა იქნებოდა. საქმე ის არის, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველის ყოფილი კლუბი არაგონელების წინააღმდეგ ფიფაში ჩივილს აპირებს. დონეცკის "შახტარის" მესვეურთა მტკიცებით, "სარაგოსამ" ტრანსფერის განხორციელებისას უმაღლესი საფეხბურთო ორგანოს მიერ დადგენილი წესები დაარღვია და მათუსალემი მათი ნების წინააღმდეგ ჩაიგდო ხელში. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, უკრაინული კლუბის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებას გაგაცნობთ: *"ფეხბურთელმა, მისმა აგენტმა და "სარაგოსამ" ყველა კანონი ფეხქვეშ გათელეს. მხარეებმა ერთმანეთში ჩვენი მონაწილეობის გარეშე მოილაპარაკეს და ბოლოს ფაქტის წინაშე დაგვაყენეს. ბუნებრივია, ამ შემთხვევას არაფერი აქვს საერთო "ფეარ ფლეისთან. ისლა დაგვრჩენია, "შახტარის" უფლებები ფიფაში დავიცვათ. უახლოეს დღეებში სარჩელს მოვამზადებთ და ყველას დავუმტკიცებთ, რომ ესპანელებმა ბრაზილიელი ნახევარმცველი წესების დარღვევით ჩაიგდეს ხელში."*

"სარაგოსის" პრესსამსახური ბრალდებას უარყოფს და აცხადებს: *"ჩვენ არაფერი დაგვიშავებია. ფეხბურთელი თანახმაა, კარიერა გაცილებით უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში გააგრძელოს. მათუსალემი პრიმერა დივიზიონს სულაც პლანეტის საუკეთესო ლიგად მიიჩნევს. მას შემდეგ, რაც ბრაზილიელ ნახევარმცველთან შევთანხმდით, "შახტარის" ბიუჯეტში თავად უკრაინელების მიერ დასახელებული თანხა გადავრიცხეთ. ასე რომ, კანონის დარღვევაზე საუბარს გამართლებულად ვერ მივიჩნევთ."*

ასეა თუ ისე, მტყუან-მართალს ფიფა გაარკვევს. საფეხბურთო მაღალჩინოსნები ორივე მხარის არგუმენტებს მოისმენს და შესაბამის გადაწყვეტილებასაც გამოიტანენ. დაუწერელი კანონებით, რომელიმე ფეხბურთელით დაინტერესებული კლუბი ვალდებულია, პირველ ყოვლისა, მისი გუნდის ხელმძღვანელობას დაუკავშირდეს და საქმის კურსში ჩააყენოს.



ფრანსელინიო მათუსალემი

ბეტისი

# ასუნსაო რჩება, რობერტი მიდის

"ბეტისის" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **მარკოს ასუნსაომ** განაცხადა, რომ მან უარყო "ბეშიქთაშის" სარფიანი წინადადება და სევილიურ კლუბში კონტრაქტის ბოლომდე დარჩენა ისურვა.

*"ჩემი ოჯახი ესპანეთში თავს კარგად გრძნობს და აქედან სხვაგან გამგ ზავრების სურვილი არ გვაქვს. მიყვარს "ბეტისი" და თუ მოვახერხებ, აქ დავასრულებ საფეხბურთო კარიერას"*, - ამბობს ასუნსაო.

ამასობაში ირკვევა, რომ "ბეტისის" დატოვება მოუწევს კიდევ ერთ ბრაზილიელს, ფორვარდ **რობერტს**. თავის დროზე, ეს თავდამსხმელი სევილიელებმა არენდის წესით "ეინდჰოვენიდან" აიყვანეს, შემდეგ კი, მისი კონტრაქტიც გამოისყიდეს. მაგრამ ახლა, "ბეტისის" შეფობას რობერტის გაშვება სურს, მაგრამ "ეინდჰოვენში" აცხადებენ, რომ ბრაზილიელს აღარ დაიბრუნებენ.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები რობერტის გასხვისების თაობაზე. როგორც ირკვევა, ფორვარდით რამდენიმე მექსიკური კლუბია დაინტერესებული.

## იანგი მიდლსბროში, რომედალი აიაქსში

პრემიერლიგიდან გავარდნილი "ჩარლტონის" რიგები ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. ესენი არიან მცველი **ლუკ იანგი** და ნახევარმცველი **დენის რომედალი**.

28 წლის იანგი "მიდლსბროში" 3.7 მილიონ ევროდ გადავიდა და ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. შარშან, იანგმა ინგლისის ჩემპიონატში 29 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა.

რაც შეეხება დანიის ნაკრების წევრ რომედალს, ის ჰოლანდიაში გადაბარგდა. განაპირა ნახევარმცველმა ამსტერდამელებთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

## მიდო ბირმინგემს შეუთანხმდა

"ბირმინგემს" ეგვიპტელი **აჰმედ მიდოს** შეძენა აქვს გადაწყვეტილი. მან თითქმის მიაღწია შეთანხმებას "ტოტენჰემთან" და მზად არის, თავდამსხმელში 6 მილიონი ფუნტი გადაიხადოს.

მიდოსთვის "ბირმინგემი" მეშვიდე ევროპული გუნდი იქნება. "ტოტენჰემამდე" ის "რომაში", "მარსელში", "აიაქსში", "სელტასა" და "გენტში" თამაშობდა.

შარშან, ეგვიპტელმა პრემიერლიგაში 12 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა.

## ეინდჰოვენმა რაიკოვიჩი ითხოვა

"ეინდჰოვენმა" სერბეთის ოფკ-დან თავდამსხმელი **სლობოდან რაიკოვიჩი** დაიმატა. ამ თავდამსხმელის კონტრაქტი ლონდონის "ჩელსიმ" გამოისყიდა და ინგლისელებმა ის მაშინვე ჰოლანდიაში გაუშვეს. მომდევნო სეზონს რაიკოვიჩი "ეინდჰოვენში" გაატარებს, ხოლო თუ თავს გამოიჩენს, მომავალში "ჩელსიში" გააგრძელებს კარიერას.

## ინძაგი არენდით პარმაში გადავიდა

"პარმა" შეტევის გასაძლიერებლად ზრუნავს და ამ მიზნით "ლაციოდან" არენდით ვეტერანი ფორვარდი **სიმონე ინძაგი** აიყვანა. ეს უკანასკნელი უკმაყოფილო იყო რომაულ კლუბში არასაკმარისი სათამაშო პრაქტიკის გამო და ამიტომაც ამ ტრანსფერის გამო კმაყოფილება გამოთქვა.

სამაგიეროდ, უკმაყოფილო დარჩნენ "პარმას" გულშემატკივრები, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ მათი საყვარელი კლუბი უფრო მაღალი დონის ფორვარდით გააძლიერებდა შემადგენლობას.

გარდა ამისა, "პარმა" "მანჩესტერ იუნაიტედთან" აწარმოებდა მოლაპარაკებებს იტალიელი თავდამსხმელის, **როსის** ტრანსფერის თაობაზე, მაგრამ ეს გარიგება აღარ შედგება და ახლა პარმელები მოსკოვის ცსკა-ს ბრაზილიელი ფორვარდის, **ჟოს** შეძენით დაინტერესდნენ.

## ჩემპიონთა თასი სურინამში

ჰოლანდიისნაკრების ნახევარმცველმა **კლარენს ზეედორფმა**, "მილანთან" ერთად მოპოვებული ჩემპიონთა თასი თავის ისტორიულ სამშობლოში - სურინამში ჩაიტანა, სადაც ამ პრიზის ოფიციალური პრეზენტაცია მოაწყო.

ზეედორფს სურინამში გრანდიოზული შეხვედრა მოუწყვეს. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა ოთხჯერ მოიგო, თანაც სამი სხვადასხვა კლუბის შემადგენლობაში.

## ზეიმი მსხვერპლის თანხლებით

შაბათს, ერაყის ნაკრებმა ვიეტნამი დაამარცხა და აზიის თასის ნახევარფინალში გავიდა. გუნდის ეს წარმატება ძვირად დაუჯდა მის რამდენიმე გულშემატკივარს.

გამარჯვების აღსანიშნავად, ბაღდადის ქუჩებში ფანებმა უმისამართო სროლა დაიწყეს, რასაც სამი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. კიდევ 50 გულშემატკივარი მძიმედ დაიჭრა.

მოკლულებიცა და დაჭრილებიც უაზროდ ატეხილი სროლის მსხვერპლნი გახდნენ. პოლიცია არ განიხილავს წინასწარ განზრახული მკვლელობის ვერსიას. მატჩის დასრულების შემდეგ, ფანატები ქუჩებში გამოეფინენ და ავტომატებით ჰაერში სროლა დაიწყეს.

## ოუენის ახალი ტრავმა

"ნიუკასლის" ფორვარდმა **მაიკლ ოუენმა** მორიგი ტრავმა მიიღო. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელმა ვარჯიშზე ბარძაყი დაიზიანა.

ექიმების ვარაუდით, ინგლისელის აღდგენითი პროცესი 10 დღეს გასტანს. ასე რომ, ოუენი თითქმის მთლიანად გამოტოვებს "ნიუკასლის" წინასასეზონო მზადების დასკვნით ციკლს.

შეგახსენებთ, რომ შარშან, ოუენს ტრავმის გამო მთელი სეზონი გაუცდა.

## კასტილიო იუვენტუსში?

"ცრვენა ზვეზდას" ნახევარმცველმა **სეგუნდო კასტილიომ** მოულოდნელი განცხადება გააკეთა. ეკვადორელი ფეხბურთელის თქმით, ის მომავალ სეზონში "იუვენტუსში" ითამაშებს. ეს განცხადება ყველას გაუკვირდა, ვინაიდან 25 წლის მოთამაშის ტურინში სავარაუდო გადაბარგებაზე, აქამდე ერთი სიტყვაც არ დაწერილა.

*"წლეულს "იუვენტუსში" ვიქნები. მომავალ ოთხშაბათს "ბიანკონერისთან" ოთხწლიან კონტრაქტს მოვაწერ ხელს"*, - განაცახდა კასტილიომ.

## რადემ ფეხბურთს თავი დაანება

ფრანგმა ფეხბურთელმა **ჟოან რადემ** ამ სეზონის წინ "ოსერი" დატოვა და "სტრასბურში" აპირებდა კარიერის გაგრძელებას, მაგრამ მას ფეხბურთისთვის თავის დანებება მოუწია. ამის მიზეზი გახდა სამედიცინო გამოკვლევა, რომელმაც დაადგინა, რომ ფეხბურთელს გულთან დაკავშირებული პრობლემები აქვს.

*"სტრასბურში" გადასვლა მინდოდა, რათა საკუთარი სიამოვნებისთვის მეთამაშა. ახალ კლუბში ძალიან კარგად მიმიღეს. მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ამგვარი პრობლემა მაწუხებს. კიდევ კარგი, ეს არც ისე გვიან აღმოაჩინეს. მე ოჯახი და შვილები მყავს, ასე რომ, ფეხბურთის შემდეგ ცხოვრება გრძელდება"*, - განაცხადა რადემ.

## ლანსს კალუს იმედი აქვს

ორი ახალი ამბავი, რომელიც საფრანგეთის "ლანსს" უკავშირდება. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლოა ამ გუნდის მეკარე **შარლ იტანჯე** "ასტონ ვილაში" გადავიდეს. 24 წლის კამერუნელ გოლკიპერს, დიდი ხანია გარემოს შეცვლა სურს და პრემიერლიგა მისი პრიორიტეტი ყოფილა.

რაც შეეხება მეორე ახალ ამბავს, მას "ლანსის" მთავარი მწვრთნელი **გი რუ** გვატყობინებს. ვეტერანი დამრიგებლის თქმით, უახლოეს დღეებში პსჟ-დან "ლანსში" გადავა კოტდივუარელი ფორვარდი **ბონავენტურ კალუ**.

*"მოლაპარაკებებში პროგრესი შეიმჩნევა. ეს უფრო რთულია, ვიდრე თავად კალუს დარწმუნება. ის ფიქრებით უკვე "ლანსშია", უბრალოდ, გარკვეული პრობლემებია მოსაგვარებელი პარიზულ მხარესთან"*, - ამბობს გი რუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ლიგის თასი

# სუპერ-ბაიერნი და უსახური შალკე

## ჰიონესმა და ალოფსმა პირდაპირ ეთერში იჩხუბეს...

გერმანიაში სეზონი შაბათს, ლიგის თასის გათამაშებით დაიწყო - ტურნირით, რომელშიც ექვსი გუნდი მონაწილეობს: გასულ სეზონში პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდები, მეორე ბუნდესლიგის გამარჯვებული და გერმანიის თასის მფლობელი. პირველი წრის ორივე შეხვედრა შაბათს, დიუსელდორფის LTU არენაზე ჩატარდა: **ლევან კობიაშვილის** "შალკემ" **ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუეს" მინიმალური ანგარიშით მოუგო, "ბაიერნმა" კი "ვერდერი" 4:1 გაანადგურა. ყურადღების ცენტრში ბრემენიდან მიუნხენში გადაბარგებული **მიროსლავ კლოზე** გახლდათ მოქცეული - მას გოლი არ გაუტანია.

**შალკე-კარლსრუე 1:0**

**შალკე:** ნოიერი, ბოენიში, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ფ. ერნსტი, კობიაშვილი, რაკიტიჩი (64. აზაუაგი), ასამოა (77. ბაირამოვიჩი), ლოვენკრანდსი, ჰალილ ალთინთოფი (85. ჯონსი).

**კარლსრუე:** მ. მილერი, გიორლიტცი, ეგიმანი, ფრანცი, აიხნერი, მუტცელი (79. ფრაისი), ადუბე (70. შტაფელდი), იაშვილი (62. ტიმი), ჰაინალი, კარნელი, კაპლანი.

**გოლი:** 1:0 ჰალილ ალთინთოფი (35).

მე-6 წუთზე ჰაინალმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე).

**გაფრთხილება:** 1-1.

**მაყურებელი:** 51 300 (LTU არენა; დიუსელდორფი).

სეზონი კობისა და იაშკას "დუელმა" გახსნა. დაახლოებით ორთვიანი პაუზის შემდეგ, გერმანიაში ბურთი ისევ გაგორდა, ოღონდ, პირველმა მატჩმა, როგორც ყოველთვის, მოლოდინი არ გაამართლა. დიუსელდორფის არენა კი შეივსო, მაგრამ 52 000-მდე მაყურებელმა ერთობ უსახური მატჩი იხილა ვიცე-ჩემპიონ "შალკესა" და მეორე ბუნდესლიგის გამარჯვებულ "კარლსრუეს" შესრულებით. თუმცა ახალმა დაპირისპირებამ სეზონის პირველი გამარჯვებული გამოავლინა და ეს "შალკე" გახლავთ.

მაგრამ **კობიაშვილის** გუნდის ერთადერთი ნათელი წერტილი თურქი თავდამსხმელი **ჰალილ ალთინთოფი** იყო, რომელმაც ამ შეხვედრაში დისკვალიფიცირებული **კევინ კურანი** შეცვალა. გამარჯვების გოლი სწორედ ჰალილის ანგარიშზეა და გარდა ამისა, "ბაიერნში" გადასული ჰამითის ტყუპისცალი მთელი მატჩის განმავლობაში საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით სხვა შალკელებზე. გელზენკირხენელებმა შეხვედრა კლასის ხარჯზე მოიგეს, თორემ KSC-ს უფრო მეტი საგოლე მომენტი შეექმნა. ოდნავ მეტი იღბალი და იაშვილის გუნდი სენსაციას გამოაცხობდა.

მე-6 წუთზე **მარსელო ბორდონმა** ბადენელთა მთავარმეგოლე **ედმონდ კაპლანი** საჯარიმოში დასცა და პენალტი წამოიკიდა, რომელიც ექს-შალკელმა **ტამას ჰაინალმა** გოლად ვერ აქცია - მის წინააღმდეგ გელზენკირხენელთა კარის დარაჯმა **მანუელ ნოიერმა** იმარჯვა. ჰაინალს პირველი ტაიმის მიწურულსაც შეეძლო გატანა, მაგრამ ნოიერმა ისევ იყოჩაღა და 6 მეტრიდან დარტყმული აული. ცოტა ხანში, უკვე **ეგიმანს** მართებდა ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ 4 მეტრიდან ცარიელ კარს ააცილა. მერე კი იაშვილსაც ჰქონდა მომენტი, როცა ნოიერთან პირისპირ გასულმა მეკარე კი მოატყუა, მაგრამ მერე **კრსტაიჩი** წამოეწია...

რაც შეეხება გოლს: ჰალილმა KSC-ს მცველ ეგიმანის შეცდომით ისარგებლა. ამ უკანასკნელმა ბურთი უხეიროდ მიაწოდა მეკარე **მილერს**, რომელმაც ბურთი პირდაპირ ალთინთოფს დაუგდო, ამ უკანასკნელს კი გატანა არ გასჭირვებია.

"შალკეს" ქომაგებმა საქმეში პირველად იხილეს 5-მილიონიანი შენაძენი **ივან რაკიტიჩი** (ბაზელიდან), რომელმაც **ლინკოლნი** უნდა შეცვალოს. პირველი შთაბეჭდილებებით თუ ვიმსჯელებთ, ეს შვეიცარიელი ფლეიმეიქერი ათნომრიან მაისურას ნამდვილად არ იმსახურებს. "*ივანი ძალიან ნერვიულობდა და ამიტომაც ვერ ითამაშა ისე, როგორც შეუძლია. დარწმუნებული ვარ, რომ თავის შესაძლებლობებს აუცილებლად გამოავლენს,*" - რაკიტიჩის ადვოკატობა იკისრა **მირკო სლომკამ**. ერთი სიტყვით, ბუნდესლიგის დაწყებამდე სამ კვირაზე ნაკლებია დარჩენილი და ფაქტია, რომ "შალკეს" მწვრთნელს ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვს.



გოლი ვერდერის კარში

**ვერდერი-ბაიერნი 1:4**

**ვერდერი:** ვიზე, ფრიტცი, მერტეზაკერი, ბაუმანი, ვომე, ლ. ანდრეასენი (74. ნიმაიერი), ვრანიეში (46. შულცი), ფრინგსი (74. ლიონინგი), ბოროვსკი, შინდლერი, როზენბერგი.

**ბაიერნი:** კანი, ლამი, ლუსიო, დემიკელისი, იანსენი, ჰამით ალთინთოფი, ვან ბომელი (66. ოტლი), ზე რობერტო, რიბერი (81. ვაგნერი), შვაინშტაიგერი (84. ლელი), კლოზე.

**გოლები:** 1:0 ბოროვსკი (9), 1:1 შვაინშტაიგერი (23), 1:2 ჰამით ალთინთოფი (27), 1:3 რიბერი (35), 1:4 რიბერი (54-პენ).

**გაფრთხილება:** 3-2.

**მაყურებელი:** 52 000 (LTU არენა; დიუსელდორფი).

"შალკესა" და "კარლსრუეს" მატჩის შემდეგ კი, LTU არენა დიდი ჯახის მოლოდინში გაიტრუნა. **მიროსლავ კლოზეს** ფაქტორმა მატჩს ინტრიგა გაუათმაგა და როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ბრემენელმა ფანებმა მიროს ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყვეს. გამოვიდა თუ არა კლოზე მოედანზე, "ვერდერის" გულშემატკივრებმა შემდეგი სიტყვების სკანდირება დაიწყეს: Klose, du Arschloch! და ალბათ შეხსენებას აღარ საჭიროებს ის ფაქტი, რომ Arschloch, რბილად რომ ვთქვათ, უკანალის ხვრელს ნიშნავს. მერე კი, მიროს ბურთთან შეხებას გამაყრუებელი სტვენით ხვდებოდნენ.

ასევე რბილი ნათქვამი იქნება ის, რომ რეკორდმაისტერმა "მუსიკოსებს" შანსი არ დაუტოვა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან "ვერდერი" იგებდა (**ბოროვსკი**), ბავარიელებმა საბოლოოდ მაინც ძალიან იოლად გაიმარჯვეს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდი ჯაფა არ დასდგომიათ. ვერ ვიტყვით, რომ **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდმა გრანდიოზული ფეხბურთი აჩვენა, მაგრამ ფაქტია, რომ "ბაიერნმა" ძალიან დაჩაგრა მეტოქე. თავისი სამწყსოს უნიათო თამაში **თომას შააფმა** ასე ახსნა: "*ბიჭები ძალიან გადაღლილები ჩანდნენ. თითქოს ეს სეზონის პირველი კი არა, უკანასკნელი მატჩი იყო.*"

შესვენებაზე ტელეკომპანია "პრემიერის" კორესპონდენტმა "ვერდერის" მენეჯერი **კლაუს ალოფსი** და მისი ბაიერნელი კოლეგა **ული ჰიონესმა** ერთმანეთს გვერდიგვერდ ამოუყენა და მათ მიკროფონები გადასცა. მართალია, ყველამ იცის, რომ ულისა და კლაუსს ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ, მაგრამ იმას მაინც არავინ ელოდა, რომ პირდაპირ ეთერში ჩხუბს დაიწყებდნენ. ჰიონესმა ალოფსს უთხრა, ის, რაც კლოზეს გარშემო ხდება, მხოლოდ და მხოლოდ, შენი ბრალიაო და იქვე უსაყვედურა, ფანები რატომ არ დაამშვიდეო. ალოფსის პასუხი ასეთი გახლდათ: "*სიტყვა Arschloch მეც არ მომეწონა, მაგრამ "ვერდერის" ფანებს ვერ გავამტყუნებ!*"

ბოროვსკის გოლი მიუნხენელებმა სულ რაღაც 12 წუთში გააცამტვერეს. ჯერ იყო და, **შვაინშტაიგერმა** ანგარიში გაათანაბრა (თავით), მერე **ჰამით ალთინთოფმა**, რომელმაც, სხვათა შორის, შესანიშნავი თამაში ჩაატარა, 22 მეტრიდან ულამაზესი გოლი შეაგდო, 35-ე წუთზე კი **ფრანკ რიბერი** აღმოჩნდა ჩინებულ პოზიციაში და სხვაობა ორამდე გაზარდა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ წინ მთელი მეორე ტაიმი იყო, ბრემენელებს ლირებული არაფერი გაუკეთებიათ და არც არაფერს ცდილობდნენ, თითქოს ნაადრევად დანებდნენ მეტოქეს. მეოთხე გოლი რიბერიმ 54-ე წუთზე, პენალტის ნიშნულიდან გაიტანა.

"მუსიკოსებს" ძალიან ეტყობოდათ **დიეგოს** არყოფნა. და აქვე ისიც უნდა შევახსენოთ, რომ შააფმა ვერც **ნალდო, კარლოს ალბერტო, ჰანტი, ოვომოიელა, ალმეიდა** და **იენსენი** დაიხმარა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ "ბაიერნსაც" არაერთი წამყვანი ფიგურა აკლდა, მათ შორის **ტონი, სოსა, პოდოლსკი** და **სანიოლი**.

**ნახევარფინალი**

24 ივლისი

**ნიურნბერგი-შალკე**

25 ივლისი

**შტუტგარტი-ბაიერნი**

**გოტფრიდ ლენცი**



იაშვილი ახალ გარემოში

კარლსრუე. სეზონის წინ

# იაშვილისა და კაპლანის იმედად

## ბადენელები წესით, ელიტაში უნდა დარჩნენ!

9-წლიანი ლოდინის შემდეგ, "კარლსრუეს" ფანებს ოცნება აუხდათ: მათი საყვარელი გუნდი ისევ ელიტაშია. KSC, როგორც ამ კლუბს შემოკლებით ეძახიან, ანუ, Karlsruher Sport Club (კარლსრუეს სპორტული კლუბი), ჩვენთვის ორმაგად საინტერესოა, რადგან საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი **ალექსანდრე იაშვილი** ივნისიდან ამ გუნდის წევრი გახლავთ. და ქართველმა გულშემატკივარმაც, იაშკას გუნდის შესახებ, ალბათ, უფრო მეტი უნდა იცოდეს - მაგალითად, რა ტაქტიკით თამაშობს, რა პერსპექტივაზე შეიძლება საუბარი, რისი იმედი აქვთ ფანებს და ა.შ. დღეს KSC მიზანში სწორედ ამიტომ ამოვიღეთ...

### წინათქმა

შარშან ამ გუნდს ბუნდესლიგაში გადასვლამდე ძალიან ცოტა დააკლდა და ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ ბადენელებმა ელიტის საგზური ბოლო ტურში დაკარგეს. სამაგიეროდ, "კარლსრუემ" გასულ სეზონში იფრინა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველი ბუნდესლიგის საგზური უპრობლემოდ მოიპოვა. თავად განსაჯეთ: **ედმუნდ ბეკერის** სამწყსო მთელი სეზონის განმავლობაში მეორე ადგილზე ქვემოთ არ ყოფილა და ესეც არ იყოს, მეორე წრეში ლიდერობა ერთხელაც არ დაუკარგავს. შესაბამისად, გუნდის შესანიშნავმა თამაშმა კარლსრუეში დაახლოებით ისეთივე ეიფორია გამოიწვია, როგორც 1993/94 წლების სეზონში, როცა **ედგარ შმიდტმა** KSC უეფას თასის ნახევარფინალში გაიყვანა.

გუნდის ხელმძღვანელების ფილოსოფია ძალიან ჰგავს "შტუტგარტის" ბოსების გეგმას. ბეკერი და მენეჯერი **როლფ დომენი** ფსონს მეტწილად "კარლსრუეს" მიერ აღზრდილ ფეხბურთელებზე ჩადიან. ამასთან, გუნდში რამდენიმე გამოცდილი მოთამაშეა, მათ შორის გუნდის ერთ-ერთი ბომბარდირი, ალბანელი ფორვარდი **ედმონდ კაპლანი**, რომელიც მეორე ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გავიდა (ჩამორჩა რა მხოლოდ თანაგუნდელ **ფედერიკოს**, რომელმაც დორტმუნდის "ბორუსიას" მიაშურა) და ჩვენებური იაშვილი, რომელიც გასულ სეზონში გოლი პლუს პასის რეიტინგში მეორე ადგილზე გავიდა. ახალი სეზონის წინ ფანების მხრიდან ინტერესი უდიდესია - თავად განსაჯეთ, "ვილდპარკშტადიონზე" 17 000 სეზონური აბონემენტი უკვე გაყიდულია.

### ტრანსფერები

ელიტაში დაბრუნების უმთავრესი გარანტი იტალიური წარმოშობის ნახევარმცველი ჯოვანი ფედერიკო გახლდათ, რომელიც, როგორც გითხარით, მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (19 გოლი). ფედერიკოს სახით, გუნდმა არა მხოლოდ გოლეადორი, არამედ საუკეთესო მეპასეც დაკარგა - ამ უკანასკნელის ანგარიშზე 11 საგოლე გადაცემა გახლდათ. ჩვენი გერმანელი კოლეგები პირდაპირ წერენ, რომ ფედერიკო იაშვილმა (10 გოლი, 15 პასი) უნდა შეცვალოს. ხმაურიანი შენაძენია ექს-ფიურტელი **კრისტიან ტიმიც** (12 გოლი, 4 პასი). ამას ემატება **ანდრეას გიორლიტცი**, მარჯვენა მცველი, რომელიც ბადენელებმა "ბაიერნიდან" ინათხოვრეს. ფლეიმეიქერის ფუნქციების შესრულება კი **ტამას ჰაინალს** დაევალება, მოთამაშეს, რომელიც "კარლსრუემ" "კაიზერსლაუტერნიდან" გადაიბირა. იაშვილის თანაგუნდელები გახდნენ "უნტერჰახინგის" საყრდენი ნახევარმცველი **შტეფან ბუკი** და ექს-აინტრახტელი მარცხენა მცველი **კრისტოფერ რაინჰარდიც**.

### ტაქტიკა

KSC ელიტაში 4-4-2 სისტემის ტაქტიკამ დააბრუნა, მაგრამ რაკი გუნდმა ფედერიკო დაკარგა - ფეხბურთელი, რომელიც ერთდროულად მეორე ფორვარდიც იყო და ფლეიმეიქერიც, ბეკერი ტაქტიკას სავარაუდოდ შეცვლის. ბადენელებმა გასულ სეზონში 41 გოლი გაუშვეს და დიდი შანსია, რომ პირველ ბუნდესლიგაში ბეკერმა გუნდი უფრო დაცვითი ტაქტიკით ათამაშოს.

ძლიერი და სუსტი მხარეები

"კარლსრუეს" ძლიერი მხარე, პირველ რიგში, კოლექტიურობა და ერთსულოვნებაა. ამ გუნდმა წარმატებას სწორედ იმით მიაღწია, რომ მთელი სეზონის განმავლობაში ერთ მუშტად იყო შეკრული. ექსპერტები ბეკერს განსაკუთრებით ნახევარდაცვასა და თავდასხმას უქებენ. ფეხბურთელების უდიდეს ნაწილს სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია ასპარეზობა და ესეც უდიდესი პლუსი გახლავთ. პირველ ბუნდესლიგაში თამაშის გამოცდილება იაშვილისა და გიორლიტცის გარდა, **ადუბესა** და **ბრედლი კარნელს** აქვთ. და აღსანიშნავია, რომ ამ ორი მოთამაშის გარდა, "კარლსრუეს" ყველა ფეხბურთელი 30 წელზე მცირე ასაკისაა.

გასულ სეზონში გუნდის უსუსტესი წერტილი დაცვა იყო. ბეკერს გიორლიტცის იმედი აქვს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დაცვას მხოლოდ ეს უკანასკნელი ვერ გააძლიერებს. დაცვაში თამაში კარნელსაც შეუძლია, მაგრამ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ბეკერი მას ნახევარდაცვაში ათამაშებს. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, გიორლიტცი, ადუბე, იაშვილი ან კაპლანი რომ დაშავდნენ, გუნდს ძალიან გაუჭირდებაო.

### პროგნოზი

გუნდი გამოუცდელი, მაგრამ იმდენად მოტივირებულია და იმდენად დიდია ეიფორია, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგები იაშვილსა და კომპანიას ელიტაში ადგილის შენარჩუნებას უწინასწარმეტყველებენ. ექსპერტების აზრით, "კარლსრუე" სავარაუდოდ, მე-13, მე-14 ან მე-15 ადგილს დაიკავებს.

იდეალური სასტარტო შემადგენლობა

მილერი, გიორლიტცი, ფრანცი, ეგიმანი, აიხნერი (ან კარნელი), ადუბე, ბუკი, ტიმი, ჰაინალი (პორცელო), იაშვილი, კაპლანი.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინტერტოტოს თასი

### III რაუნდი. I მატჩები

**ჩერნო მორე (ბულგარეთი)-სამპდორია (იტალია) 0:1**

სამპდორია: ლ. კასტელაცი, ლუკინი (47. კამპანარო), სალა, აკარდი, ჰაჯო, ვოლპი, პალომბო, პიერი, კომანი (62. ციგლერი), ბელუჩი, კარაჩოლო (90+3. ფოტი).

გოლი: 0:1 დიმოვი (45-საკ. კარში)

**გლორია (რუმინეთი)-ატლეტიკო (ესპანეთი) 2:1**

ატლეტიკო: ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, პერეა, ელერი, ანტონიო ლოპესი, მანიშე, მაქსი როდრიგესი, რაულ გარსია, ლუქსენი (77. კოშტინია), პეტროვი (64. ხურადო), მისტა (61. ბრაულიო).

გოლები: 1:0 ზახარია (7), 2:0 ტილინკა (39), 2:1 სეიტარიდისი (56)

**ოცელული (რუმინეთი)-ტრაბზონი (თურქეთი) 2:1**

გოლები: 1:0 სტანი (26), 1:1 ერსემი (85), 2:1 პარაშივი (86)

**დაჩია (მოლდოვა)-ჰამბურგი (გერმანია) 1:1**

ჰამბურგი: როსტი, დემელი, კომპანი, მატიისენი, ლაასი, დე იონგი (72. ბენჯამინი), იაროლიმი, ტროხოვსკი (72. ზიდანი), ვან დერ ვაარტი, ოლიჩი, სანოგო.

გოლები: 1:0 ბოიჩენკო (7), 1:1 ვან დერ ვაარტი (70-პენ)

**ჩერნომორეცი (უკრაინა)-ლანსი (საფრანგეთი) 0:0**

ლანსი: რუნიე, დემონი, ად. კულიბალი, ჰილტონი, რამოსი (46. ობეი), საბლე, კოვაჩევიჩი, კარიერი, აკალე, მონტერუბიო, დ. კუზენი.

**რაპიდი(ავსტრია)-რუბინი (რუსეთი) 3:1**

გოლები: 0:1 რიაზანცევი (30), 1:1 ჰოფმანი (69), 2:1 ბილიჩი (80-პენ), 3:1 ჰოფმანი (90)

**გენკი (ბელგია)-ოლბორგი (დანია) 1:1**

გოლები: 1:0 ოლუფადე (48-პენ), 1:1 ნომვეტე (56)

**პაიდუკი (სერბეთი)-ლეირია (პორტუგალია) 1:0**

გოლი: 1:0 პერიჩი (42)

**ტობოლი (ყაზახეთი)-ოფი (საბერძნეთი) 1:0**

გოლი: 1:0 ბალტიევი (27)

**ვეტრა (ლიტვა)-ბლექბერნი (ინგლისი) 0:2**

ბლექბერნი: ფრიდელი, ოოიერი, უორნოკი, სამბა, თუგაი (46. მოკოენა), ნელსენი, სევიჯი, მაკარტი (65. რიგტერსი), ბენტლი (65. დერბიშირი), პედერსენი, რობერტსი.

გოლები: 0:1 მაკარტი (29), 0:2 დერბიშირი (80)

**ჰამარბიუ (შვედეთი)-უტრეხტი (ჰოლანდია) 0:0**

*საპასუხო მატჩები 28/29 ივლისს გაიმართება*

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| მოზერველი-მილუოლი | 1:1 |
| სპარტა-დენ ბოში | 2:0 |
| გრონინგენი-უენსდი | 1:1 |
| იგლზი-აიაქსი | 0:1 *შეწყდა* |
| კაიზერ ჩიფსი-ტოტენჰემი | 1:2 |
| კაიზერი-შტუტგარტი | 0:0 |
| სკანთორპი-სანდერლენდი | 1:0 |
| ნიიმეგენი-ბრაგა | 1:2 |
| ფალკირკი-რეინჯერსი | 1:1 |
| ბარნეტი-კრ. პალასი | 2:3 |
| ბარნსლი-მიდლსბრო | 1:1 |
| კარლაილი-ნიუკასლი | 1:1 |
| კარლსტადი-მანჩესტერ სიტი | 0:4 |
| ჰელმონდი-ლოკერენი | 0:1 |
| უტა არად-რუზელარე | 5:0 |
| მუსკრონი-ტურნე | 3:1 |
| ლე მანი-სტანდარდი | 2:0 |
| კაენი-ლორიანი | 2:2 |
| ნანსი-მონსი | 1:1 |
| ვარეგემი-ვილემი | 1:0 |
| ბოხუმი-გალათასარაი | 2:1 |
| ჰერენვეენი-შივასი | 3:3 |
| ბორდო-ნიცა | 0:1 |
| ვალანსი-ბეერსხოტი | 0:0 |
| სედანი-შარლერუა | 0:0 |
| სპარტა-ფენერბაჩე | 0:1 |
| პსვ-არისი | 1:0 |
| მარსელი-ანდერლეხტი | 4:2 |
| პორტუ-მონაკო | 2:1 |
| სპორტინგი-ლილი | 3:0 |
| ჩელსი-ლოს ანჯელესი | 1:0 |
| ლიონი-ბოლტონი | 1:0 |
| კლუჟი-ბენფიკა | 2:2 |
| ლაციო-ვესტ ჰემი | 2:0 |
| ლევერკუზენი-ალკმაარი | 4:0 |
| ბოლესლავი-ვოლფსბურგი | 1:1 |
| კიოლნი-გენჩლერი | 0:0 |
| გენკი-მეცი | 1:1 |
| დორტმუნდი-რომა | 4:0 |
| ეუპენი-სტ. ტრუიდენი | 1:3 |
| ნანსი-ზამალეკი | 0:0 |

## აზიის თასი

### 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| იაპონია-ავსტრალია | 1:1 პენ. 4:3 |
| ერაყი-ვიეტნამი | 2:0 |
| ირანი-ს. კორეა | 0:0 პენ. 2:4 |
| ს. არაბეთი-უზბეკეთი | 2:1 |

### 1/2 ფინალი

ერაყი-ს. კორეა

იაპონია-ს. არაბეთი

## ირლანდია

XIX ტური

| | |
|---|---|
| გალვეი-ბრეი | 0:1 |
| უოტერფორდი-სლიგო | 1:2 |
| ბოჰემიანსი-დერი | 0:0 |
| ლონგფორდი-დუბლინი | 1:0 |
| კორკი-დროგედა | 0:0 |
| შემროკი-სტ. პატსი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დროგედა | 18 | 11 | 5 | 2 | 27-14 | 38 |
| 2. სტ. პატსი | 18 | 11 | 3 | 4 | 30-16 | 36 |
| 3. შემროკი | 18 | 10 | 4 | 4 | 22-8 | 34 |
| 4. ბოჰემიანსი | 19 | 8 | 7 | 4 | 18-8 | 31 |
| 5. კორკი | 17 | 8 | 6 | 3 | 21-15 | 30 |
| 6. სლიგო | 19 | 8 | 2 | 9 | 20-28 | 26 |
| 7. დერი | 18 | 5 | 7 | 6 | 16-16 | 22 |
| 8. ბრეი | 17 | 6 | 3 | 8 | 14-21 | 21 |
| 9. დუბლინი | 18 | 4 | 6 | 8 | 17-19 | 18 |
| 10. გალვეი | 18 | 3 | 7 | 8 | 14-18 | 16 |
| 11. უოტერფორ | 19 | 4 | 3 | 12 | 13-28 | 15 |
| 12. ლონგფორდ | 19 | 2 | 5 | 12 | 13-34 | 11 |

## სლოვაკეთი

II ტური

| | |
|---|---|
| შენეცი-ნიტრა | 0:1 |
| ტრენჩინი-ბისტრიცა | 0:3 |
| დუბნიცა-რუჟომბეროკი | 0:0 |
| ტრნავა-კოშიცე | 5:1 |
| მორავცე-სლოვანი | 1:0 |
| ჟილინა-არტმედია | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჟილინა | 2 | 2 | 0 | 0 | 8-1 | 6 |
| 2. ნიტრა | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 3. რუჟომბეროკ | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 4. არტმედია | 2 | 1 | 0 | 1 | 5-1 | 3 |
| 5. ტრნავა | 2 | 1 | 0 | 1 | 5-3 | 3 |
| 6. სლოვანი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 7. ბისტრიცა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 8. მორავცე | 2 | 1 | 0 | 1 | 1-5 | 3 |
| 9. შენეცი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 10. დუბნიცა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 11. კოშიცე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| 12. ტრენჩინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-10 | 0 |

## ჩილე

I ტური

| | |
|---|---|
| ნუბლენსე-პუერტო მონტი | 2:1 |
| პალესტინო-ლოტა | 2:2 |
| უნ. კონსეპსიონი-უნ. ჩილე | 1:1 |
| ო'ჰიგინსი-ევერტონი | 2:0 |
| ლა სერენა-უნ. ესპანიოლა | 2:1 |
| უაჩიპატო-კოკიმბო | 2:1 |
| ანტოფაგას-კობრელ | *გვ. დასრულდა* |
| სანტიაგო-უნ. კატოლ | *გვ. დასრულდა* |

## ფინეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| იარო-ვაასა | 0:1 |
| ოულუ-ჰონკა | 3:3 |
| ლაჰტი-მარიეჰამნი | დღეს |
| კტპ-ვიიკინგიტი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტამპერე | 13 | 9 | 2 | 2 | 20-14 | 29 |
| 2. ტურკუ | 14 | 7 | 2 | 5 | 25-19 | 23 |
| 3. მიუპა | 13 | 6 | 4 | 3 | 17-10 | 22 |
| 4. ჰაკა | 12 | 6 | 3 | 3 | 16-13 | 21 |
| 5. ჰონკა | 12 | 5 | 5 | 2 | 19-13 | 20 |
| 6. იარო | 13 | 5 | 3 | 5 | 17-15 | 18 |
| 7. ვაასა | 15 | 4 | 6 | 5 | 13-22 | 18 |
| 8. ჰიკ | 13 | 3 | 8 | 2 | 16-16 | 17 |
| 9. კტპ | 12 | 4 | 2 | 6 | 16-16 | 14 |
| 10. ლაჰტი | 12 | 4 | 2 | 6 | 15-15 | 14 |
| 11. ინტერი | 13 | 3 | 4 | 6 | 15-14 | 13 |
| 12. ვიიკინგიტი | 11 | 3 | 2 | 6 | 10-15 | 11 |
| 13. ოულუ | 13 | 2 | 5 | 6 | 12-22 | 11 |
| 14. მარიეჰამნი | 12 | 1 | 6 | 5 | 6-13 | 9 |

## ბრაზილია

XIII ტური

| | |
|---|---|
| ამერიკა-ატ. პარანაენსე | 2:1 |
| ჟუვენტუდე-ინტერნასიონალი | 2:0 |
| ვასკო და გამა-ატ. მინეირო | 4:0 |
| კორინთიანსი-ნაუტიკო | 0:3 |
| კრუზეირო-სან პაულუ | 1:2 |
| ფლუმინენსე-გოიასი | 3:0 |
| გრემიო-ფლამენგო | 1:0 |
| სანტოსი-ფიგეირენსე | *გვ. დასრულდა* |
| პარანა-პალმეირასი | *გვ. დასრულდა* |
| რესიფე-ბოტაფოგო | *გვ. დასრულდა* |

## სლოვენია

I ტური

| | |
|---|---|
| ფაქტორი-ნაფტა | 1:0 |
| პუბლიკუმი-პრიმორიე | 2:1 |
| კოპერი-ლივარი | 2:0 |
| დრავა-მარიბორი | 1:3 |
| გორიცა-დომჟალე | 1:1 |

## უნგრეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ვაშაში-ტატაბანია | 3:1 |
| ზალაეგერსეგი-პაქში | 3:1 |
| კაპოშვარი-სოპრონი | 1:1 |
| შიოფოკი-უიპეშტი | 2:4 |
| დიოშდიორი-დებრეცენი | 1:2 |
| რეაკ-ჰონვედი | 0:3 |
| მტკ-ვიდეოტონი | დღეს |

## დანია

II ტური

| | |
|---|---|
| ბრონდბიუ-ნორდშილანდი | 2:2 |
| ვიბორგი-ესბერგი | 0:5 |
| ლუნგბიუ-რანდერსი | 0:3 |
| ორჰუსი-ოდენსე | 0:2 |
| ჰორსენსი-მიდტიულანდი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესბერგი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. რანდერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 3. ნორდშილანდ | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. ოდენსე | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 5. ჰორსენსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6. ბრონდბიუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 7. მიდტიულანლ | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 8. ოლბორგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 9. კოპენჰაგენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 10. ორჰუსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 11. ლუნგბიუ | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 12. ვიბორგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |

## შვეიცარია

I ტური

| | |
|---|---|
| ლუცერნი-ქსამაქსი | 1:1 |
| არაუ-იანგ ბოისი | 1:1 |
| ბაზელი-ციურიხი | 1:0 |
| ტუნი-სიონი | *გადაიდო* |

### ჩელენჯლიგა

I ტური

გოსაუ-ვოლენი 1:4; ლოკარნო-ფონდსი 1:0; შაფჰაუზენი-კონკორდია 1:0; ვილი-ჩამი 2:2; ივერდონი-ლოზანა 1:0; დელემონი-ვინტერტური 2:3; სერვეტი-კრინსი 1:3; ლუგანო-ბელინცონა 0:4.

## ხორვატია

I ტური

| | |
|---|---|
| ინტერი-რიეკა | 0:1 |
| სიბალია-ვარტექსი | 1:0 |
| მედიმურიე-ზაგრები | 0:3 |
| დინამო-შიბენიკი | 5:0 |
| ზადარი-ჰაიდუკი | 0:0 |
| ოსიეკი-სლავენი | 1:0 |

## მსოფლიო ჩემპიონატი

### UNDER 20

მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| ავსტრია-ჩილე | 0:1 |

ფინალი

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-არგენტინა | 1:2 |

## ავსტრია

III ტური

| | |
|---|---|
| შტურმი-ლინცერი | 4:0 |
| ავსტრია (ვ)-ზალცბურგი | 2:2 |
| ავსტრია (კ)-რიდი | 0:3 |
| ტიროლი-მატერსბურგი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რიდი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 2. შტურმი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-2 | 5 |
| 3. ზალცბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| 4. ლინცერი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-5 | 4 |
| 5. რაპიდი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 6. მატერსბურგ | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 7. ავსტრია (ვ) | 3 | 0 | 3 | 0 | 5-5 | 3 |
| 8. ავსტრია (კ) | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| 9. ტიროლი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 10. ალტახი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-7 | 0 |

## ნორვეგია

XIV ტური

| | |
|---|---|
| სანდეფიორდი-ლინი | 3:1 |
| სტარტი-აალესუნდი | 1:2 |
| ბრანი-სტაბეკი | 3:0 |
| ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი | 0:0 |
| ოდ გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი | 0:1 |
| რუსენბორგი-ვიკინგი | 4:2 |
| ვოლერენგა-ტრომსიო | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრანი | 14 | 9 | 2 | 3 | 28-23 | 29 |
| 2. სტაბეკი | 14 | 8 | 4 | 2 | 22-16 | 28 |
| 3. ლილესტრიომ | 14 | 7 | 4 | 3 | 22-12 | 25 |
| 4. ვიკინგი | 14 | 7 | 3 | 4 | 25-21 | 24 |
| 5. რუსენბორგ | 14 | 6 | 4 | 4 | 28-21 | 22 |
| 6. ლინი | 14 | 6 | 3 | 5 | 27-22 | 21 |
| 7. სტრიომსგოდ | 14 | 6 | 3 | 5 | 18-21 | 21 |
| 8. ფრედრიკსტა | 14 | 4 | 6 | 4 | 21-21 | 18 |
| 9. ტრომსიო | 13 | 5 | 1 | 7 | 20-22 | 16 |
| 10. აალესუნდი | 14 | 4 | 3 | 7 | 19-27 | 15 |
| 11. ვოლერენგა | 13 | 3 | 4 | 6 | 9-14 | 13 |
| 12. სტარტი | 14 | 3 | 4 | 7 | 18-24 | 13 |
| 13. სანდეფიორ | 14 | 3 | 3 | 8 | 15-25 | 12 |
| 14. ო.გრენლანდ | 14 | 3 | 2 | 9 | 15-18 | 11 |

### II დივიზიონი

XV ტური

მიოლდე-ლოვ ჰამი 4:1; სკეიდი-მანდალი 2:2; კონგსვინგერი-ჰიონეფოსი 3:0; ჰაუგესუნდი-სიოგნდალი 3:1; ჰამარი-ნოტოდენი 3:1; ბრინი-რაუფოსი 6:0; ბოდო გლიმტი-სპარტა 2:0; ტრიომსდალენი-მოსი 5:1.

## რუსეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| დინამო-ამკარი | 0:0 |
| სპარტაკი-ზენიტი | 3:1 |
| სატურნი-ტომი | 0:0 |
| მოსკოვი-კრილია | 3:1 |
| როსტოვი-ლუჩ ენერგია | 1:1 |
| ლოკომოტივი-ცსკა | 1:2 |
| ნალჩიკი-ყუბანი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 17 | 9 | 5 | 3 | 23-16 | 32 |
| 2. ზენიტი | 17 | 8 | 6 | 3 | 27-22 | 30 |
| 3. მოსკოვი | 16 | 7 | 6 | 3 | 18-12 | 27 |
| 4. დინამო | 17 | 7 | 5 | 5 | 21-15 | 26 |
| 5. ცსკა | 17 | 6 | 7 | 4 | 20-16 | 25 |
| 6. ლოკომოტივი | 17 | 6 | 5 | 6 | 21-22 | 23 |
| 7. კრილია | 17 | 6 | 4 | 7 | 19-21 | 22 |
| 8. ნალჩიკი | 17 | 5 | 6 | 6 | 15-18 | 21 |
| 9. რუბინი | 15 | 6 | 2 | 7 | 15-16 | 20 |
| 10. ლ-ენერგია | 17 | 5 | 5 | 7 | 16-18 | 20 |
| 11. ტომი | 17 | 4 | 8 | 5 | 20-19 | 20 |
| 12. ამკარი | 17 | 4 | 8 | 5 | 15-15 | 20 |
| 13. ხიმკი | 17 | 4 | 7 | 6 | 18-18 | 19 |
| 14. სატურნი | 16 | 3 | 9 | 4 | 14-16 | 18 |
| 15. ყუბანი | 17 | 3 | 9 | 5 | 13-18 | 18 |
| 16. როსტოვი | 17 | 1 | 8 | 8 | 12-25 | 11 |

## პოლონეთი

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| ზაგლებე-ბელხატოვი | 1:0 |

## უკრაინა

II ტური

| | |
|---|---|
| ტავრია-კარპატი | 2:1 |
| ზარია-მეტალისტი | 3:2 |
| ნაფტოვიკი-შახტარი | 0:3 |
| ხარკოვი-დნიპრო | 1:2 |
| კრივბასი-მეტალურგი (ზ) | 0:1 |
| ზაკარპატია-ვორსკლა | 0:0 |
| დინამო-არსენალი | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დნიპრო | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. მეტალურ (ზ) | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 3. შახტარი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 4. ზარია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 5. ზაკარპატია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 6. მეტალურ (დ) | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 7. მეტალისტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 8. ტავრია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9. ხარკოვი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 10. დინამო | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 11. ვორსკლა | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 12. არსენალი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 13. ჩერნომორეც | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 14. კარპატი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 15. კრივბასი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 16. ნაფტოვიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

## შვედეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| იურგორდენი-ელფსბორგი | 2:1 |
| ბრომაპოიკარნა-ტრელებორგსი | დღეს |
| ჰელსინგბორგსი-აიკ | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელფსბორგი | 16 | 8 | 4 | 4 | 23:16 | 28 |
| 2. იურგორდენი | 15 | 8 | 3 | 4 | 21:13 | 27 |
| 3. ჰალმსტადი | 14 | 8 | 3 | 3 | 22:14 | 27 |
| 4. კალმარი | 14 | 8 | 1 | 5 | 21:13 | 25 |
| 5. ჰამარბიუ | 14 | 6 | 3 | 5 | 20:14 | 21 |
| 6. მალმიო | 14 | 5 | 5 | 4 | 17:13 | 20 |
| 7. გიოტებორგი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:19 | 19 |
| 8. ჰელსინგბორ | 14 | 5 | 4 | 5 | 21:19 | 19 |
| 9. გაის | 14 | 5 | 4 | 5 | 13:14 | 19 |
| 10. გეფლე | 14 | 4 | 5 | 5 | 14:16 | 17 |
| 11. აიკ | 14 | 4 | 4 | 6 | 11:16 | 16 |
| 12. ბრომაპოიკარ | 14 | 3 | 4 | 7 | 12:25 | 13 |
| 13. ერებრუ | 14 | 2 | 6 | 6 | 12:21 | 12 |
| 14. ტრელებორგ | 15 | 3 | 2 | 10 | 14:29 | 11 |

### II დივიზიონი

XV ტური

დეგერფორსი-სირიუსი 1:0; ატვიდაბერგსი-სუნდსვალი 3:1; მიალბიუ-ლანდსკრონა 1:1; დანარჩენი მატჩები გვიან დასრულდა.

## ევრო 2007

### UNDER 19

A ჯგუფი

| | |
|---|---|
| პორტუგალია-ავსტრია | 2:0 |
| ესპანეთი-საბერძნეთი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| 2. საბერძნეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| 3. პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| 4. ავსტრია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

B ჯგუფი

| | |
|---|---|
| გერმანია-სერბეთი | 3:2 |
| საფრანგეთი-რუსეთი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 7 |
| 2. საფრანგეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| 3. სერბეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 10:10 | 3 |
| 4. რუსეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |

### 1/2 ფინალი

ესპანეთი-საფრანგეთი

გერმანია-საბერძნეთი

დებიუტი

# ბექჰემმა მაინც ითამაშა

## მოურინიომ ჟურნალისტებთან მატჩში ტრავმა მიიღო



ასე დაიწყო ბექჰემის ამერიკული კარიერა

გასული უიქ ენდის მთავარი მატჩი ლოს ანჯელესის "ჰოუმ დეპოტ ცენტრში" გაიმართა. ადგილობრივი "გელაქსი" ლონდონის "ჩელსის" მასპინძლობდა.

ამ შეხვედრაში უნდა შემდგარიყო ამერიკულ გუნდში **დევიდ ბექჰემის** დებიუტი. მართალია, მატჩის წინ ინგლისელმა განაცხადა, რომ ტრავმის გამო ის, სავარაუდოდ, ვერ შეძლებდა მოედანზე გასვლას, ნახევარმცველის ფანები მაინც არ კარგავდნენ იმედს, რომ ბექჰემი შეცვლაზე მაინც გავიდოდა მინდორზე.

გულშემატკივართა იმედები გამართლდა. საფინალო სასტვენამდე 13 წუთით ადრე, ბექჰემი **გორდონის** ნაცვლად შევიდა მოედანზე და ასე დაიწყო ამერიკაში მისი ხუთწლიანი კარიერა. ინგლისელმა 66-ე წუთიდან დაიწყო გახურება და თვითმხილველთა თქმით, გადაჭედილი ტრიბუნების ყურადღება უფრო მეტად არა მინდორზე მიმდინარე მოვლენებმა, არამედ ბექჰემის მოთელვამ დაიმსახურა.

მისთვის გამოყოფილ 13 წუთში, დევიდმა თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. *"ფორმაში არ ვარ. მას შემდეგ, რაც აშშ-ში ჩამოვედი, ერთხელაც არ მივარჯიშია"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ ინგლისელმა ნახევარმცველმა.

"არისტოკრატების" მთავარმა მწვრთნელმა **ჟოზე მოურინიომ** აღნიშნა, რომ *"პუბლიკა ბექჰემის სანახავად მივიდა და მან ოცნება აისრულა. ვფიქრობ, ამერიკაში დევიდის ჩასვლით, აქ ფეხბურთის პოპულარობა გაიზრდება"*.

რაც შეეხება შეხვედრას, "ჩელსიმ" ამერიკულ ტურნეში თავისი მესამე შეხვედრა მოიგო და მესამედაც მინიმალური ანგარიშით. ლონდონელთა ფორვარდები ამჯერადაც პასიურნი იყვნენ და ისევე, როგორც მექსიკის "ამერიკასთან" შეხვედრაში, გამარჯვების გოლი "არისტოკრატთა" ცენტრალურმა მცველმა და კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** გაიტანა. სხვათა შორის, ტერის თამაშიც ეჭვქვეშ იყო, ვინაიდან წინა მატჩში მან მარჯვენა ფეხის ცერა თითი მოიტეხა, მაგრამ კაპიტანი მინდორზე გავიდა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

*"როგორც ინგლისელი, ვამაყობ იმით, რომ ამერიკაში ბექჰემი ითამაშებს. ის იმისთვის არის მოწოდებული, რომ აშშ-ში ფეხბურთი მაღალ დონეზე აიყვანოს. დარწმუნებული ვარ, რომ MLS-ში ასეთი ვარსკვლავის ჩასვლის შემდეგ, აქ მსოფლიო ფეხბურთის სხვა ვარსკვლავებიც დაიძრებიან სათამაშოდ"*, - განაცხადა ტერიმ.

ბუნებრივია, ამ ამხანაგურ მატჩს ბევრი საპატიო სტუმარი ესწრებოდა. მათ შორის იყო კალიფორნიის გუბერნატორი **არნოლდ შვარცენეგერი.** ის VIP-ლოჟაში **ვიქტორია ბექჰემთან** ერთად ადევნებდა თვალს შეხვედრას.

**გალაქსი-ჩელსი 0:1**

**გალაქსი:** კენონი, რობერტსი, აბელ შავიერი, გარდენი, იაჟიკი, ჯონსი (55. კირკი), გრეი, დონოვანი, მარტინო (71. გლინტონი), პავონი (60. ვაგინასი), გორდონი (77. ბექჰემი).

**ჩელსი:** ჩეხი (46. კუდიჩინი), პაულო ფერეირა (46. ობი მიკელი), რიკარდო კარვალიო, ტერი, ბენ ჰაიმი (46. ჯო კოული), რაიტ-ფილიპსი (46. შევჩენკო), ესიენი, ლემპარდი (73. სიდუელი), მალუდა (73. ჯონსონი), დროგბა (88. ჰათჩინსონი), კალუ (60. მაკელელე).

**გოლი:** 0:1 ტერი (48)

**მაყურებელი:** 27 000

■ ■ ■

ამ მატჩს წინ უძღოდა კიდევ ერთი ამხანაგური შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთს "ჩელსის" სამწვრთნელო შტაბისა და ტექნიკური პერსონალის წევრები ჟურნალისტთა ნაკრებს დაუპირისპირდნენ.

თამაშს ტრიბუნებიდან თვალს ადევნებდნენ ჯონ ტერი, **ფრენკ ლემპარდი, ეშლი კოული** და "ჩელსის" სხვა ლიდერები. მათ გასახარად, გამარჯვება "ჩელსიმ" მოიპოვა. მწვრთნელებმა პენალტების სერიით - 3:1 მოუგეს ჟურნალისტებს. მაგრამ, თავისიანების ტრიუმფს ვერ შეესწრო ლონდონელთა მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო. პორტუგალიელი სპეციალისტი ამ მატჩში მონაწილეობას იღებდა, მაგრამ მეორე ტაიმში მას ერთ-ერთმა მოწინააღმდეგემ ფეხი ჩაარტყა და ტკივილისგან შეწუხებული ჟოზე ჯერ გაზონზე იწვა კარგა ხანი, შემდეგ კი, სამედიცინო პერსონალმა ის სტადიონიდან გაიყვანა.

საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. "არისტოკრატების" მწვრთნელმა იმავე დღეს განაახლა თავისი პირდაპირი მოვალეობების შესრულება და თავისი გუნდი "გელაქსის" წინააღმდეგ სათამაშოდ გაიყვანა. სხვათა შორის, სანამ ტრავმას მიიღებდა, მოურინიო საუკეთესო იყო თავისი გუნდის რიგებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბერნდ შუსტერთან

# სესკისა და კაკას ყიდვა შეუძლებელია

## გერმანელი სპეციალისტი გულდაწყვეტილია, რომ მიატოვიჩმა ობიექტური მიზეზების გამო კატალონიელი და ბრაზილიელი ვარსკვლავების გადაბირება ვერ შეძლო, თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, გულშემატკივრებს კომბინაციურ ფეხბურთს ჰპირდება

**დღეს მადრიდის "რეალი" მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგება. ფეხბურთელები შვებულებიდან უკვე დაბრუნდნენ. შეკრებას მოგვიანებით მხოლოდ რობინიო შეუერთდება. მოგეხსენებათ, ახალგაზრდა ბრაზილიელმა კოპა ამერიკაზე იასპარეზა და დასასვენებლად დრო სჭირდება. დღეიდან სამეფო კლუბში ბერნდ შუსტერის ერა იწყება. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, გერმანელ სპეციალისტს "დიარიო ასის" კორესპონდენტი, ლუის ნიეტო შეხვდა და ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა. ობიექტური მიზეზების გამო, თქვენს სამსჯავროზე მხოლოდ ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს გამოვიტანთ.**

**- შუსტერ, თქვენი პრეზენტაციის შემდეგ გქონდათ საამისო შეგრძნება, რომ მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელი ხართ?**

- არდადეგების განმავლობაში დაუჯერებელ ატმოსფეროში ვცხოვრობდი. აქამდეც ცნობილი ადამიანი გახლდით, მაგრამ სამეფო კლუბთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ზედმეტად პოპულარული ვარ (იცინის). სადაც არ უნდა წავიდე, სადაც არ უნდა მოვხვდე, ყველგან მესალმებიან და მაჩერებენ. ამასწინათ, ერთი სასტუმროს მზარეული მომვარდა და ჩამეხუტა. არ დაგიმალავთ, ახალი ცხოვრებით დიდ სიამოვნებას ვიღებ, მაგრამ უკვე დროა, მუშაობას შევუდგე.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ კაპელოს მემკვიდრეობა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. იტალიელმა სპეციალისტმა გუნდს პრიმერა დივიზიონში გაამარჯვებინა, მაგრამ ის მაინც გაათავისუფლეს. არ ფიქრობთ, რომ სამეფო კლუბში მოთხოვნები გაიზარდა?**

- არა, მადრიდის "რეალი" ყოველთვის მაქსიმალურ მიზნებს ისახავს. ამ გუნდის ამოცანა ნებისმიერი ტურნირის მოგებაა. ჩემი აზრით, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იმუშავებს კაპელო, შუსტერი, თუ ვინმე სხვა. "რეალის" ვალია, ნებისმიერ შემთხვევაში წარმატებაზე იფიქროს.

**- სად გაიგეთ, რომ კაპელოს "რეალი" ესპანეთის ჩემპიონი გახდა?**

- სანტიაგო დე კომპოსტელას აეროპორტში. ვიგოდან ვბრუნდებოდით. გეახსოვრებათ, ბოლო ტურის შეხვედრაში "სელტას" დავუპირისპირდით. აეროპორტში Canal + არ ჰქონდათ და იძულებული ვიყავი, რადიო რეპორტაჟით დავკმაყოფილებულიყავი. ჩემთვის წარმოუდგენელი გახლდათ, "მალიორკასთან" საშინაო შეხვედრაში დიდი ხნის ნანატრი ტიტული დაგვეკარგა. საბედნიეროდ, სასწაული არ მოხდა. ბალეარელები დამარცხდნენ და პრიმერა დივიზიონში სამეფო კლუბმა გაიმარჯვა. როცა შევიტყვეთ, რომ შეხვედრა დასრულდა, "ხეტაფეს" ფეხბურთელებისა და ხელმძღვანელების ერთ ნაწილს "სიბელესზე" წასვლის სურვილი გაუჩნდა. გადარეკეს და "ბარახას" აეროპორტში ავტობუსი მიაყვანინეს. როცა დედაქალაქში ჩავფრინდით, აეროპორტიდან პირდაპირ მთავარი მოედნისკენ აიღეს გეზი. ცოტა საშიში გადაწყვეტილება იყო, რადგან "ხეტაფეს" ულტრასებს რომ დაენახათ, ქვებს დაუშენდნენ (იცინის).

**- "რეალის" მიერ გაჩარხული ტრანსფერებით კმაყოფილი ხართ?**

- დიახ, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა ჯერაც არ დაგვისრულებია. ორი, ან სამი ახალწვეული კიდევ გვჭირდება. სიმართლე გითხრათ, ტრანსფერები ახლა ყველაზე მეტად არ მაღელვებს. გაცილებით რთული და უსიამოვნო საქმე არასასურველი ფეხბურთელების გუნდიდან გაშვებაა. ამას მე ბინძურ სამუშაოს ვუწოდებ. აბა ახალი ხალხის მოყვანაზე სასიამოვნო რა არის? ფულს იხდი და მოთამაშეს დიად კლუბში პატიჟებ.

**- პირველ შეკრებაზე არასასურველ ფეხბურთელებს არ წაიყვანთ?**

- მადრიდში არავის დავტოვებ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგს მართლაც არ ვენდობი. გამორიცხული არ არის, პრეტემპორადის მსვლელობისას ბევრი რამ შეიცვალოს. შესაძლოა, მათი ტრანსფერები დიდ ხანს გახანგრძლივდეს და სამეფო კლუბში მოუხდეთ ვარჯიში.

**- ჟულიო ბაპტიშტა ერთ-ერთი მათგანია?**

- ვნახოთ. ცოტა უნდა მოვიცადოთ. ბაპტიშტას თვისებები ძალიან მომწონს. მას სამეფო კლუბისთვის სარგებლის მოტანა შეუძლია. ყოველ შემთხვევაში, მანამ ალტერნატივას არ დავინახავ, ბაპტიშტას არსად გავუშვებ.

**- სესკისა და კაკას შემცვლელის პოვნა შეუძლებელია?**

- ფაბრეგასი და კაკა, ჩვენი აზრით, "რეალს" ყველაზე მეტად სჭირდებიან, მაგრამ სამწუხაროდ, მათი გადმობირება შეუძლებელია. გულდაწყვეტით უნდა ავღნიშნო, რომ კატალონიელსა და ბრაზილიელს ალტერნატივა არ ჰყავთ.

**- რობინიო კოპა ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს წარმატება ახალგაზრდა ბრაზილიელს საკუთარი შესაძლებლობების რწმენას შემატებს და "რეალში" ტრიუმფალურ კარიერას გაიკეთებს?**

- რობინიოს სანაკრებო წარმატება ოდნავადაც არ გამკვირვებია. ის გაცილებით უფრო ძლიერი მოთამაშეა, ვიდრე ხალხს წარმოუდგენია. მის მენტალიტეტს უნდა იცნობდეთ. რობინიო იმ პატარა ბავშვს ჰგავს, რომელსაც აუღელვებლად და მშვიდად თამაში სურს. ის არ უნდა შეზღუდო, პირიქით, სრული თავისუფლება უნდა მიანიჭო. ბრაზილიელს შუძლია ჩათვალოს, რომ ამიერიდან ის აბსოლუტურად თავისუფალია.

**- კაპელო მას ზღუდავდა?**

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ რობინიოს სრული თავისუფლება უნდა მიანიჭო.

**- უნდა ვიფიქროთ, რომ რობინიო ფლანგზე აღარ ითამაშებს?**

- ჩემი აზრით, ფლანგზე ის ნაკლებად ეფექტურია, თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ რობინოს სრულ თავისუფლებას მივანიჭებ.

**- რას ელით რაულისგან?**

- იმ გოლებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ იტანდა. სამეფო კლუბის ისტორიიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე, შემტევ პოტენციალს განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობ. გოლების მექანიზმი უნდა შევქმნათ. სხვაგვარად გულშემატკივრების სიმპათიას ვერ მოვიპოვებთ. რამონ კალდერონს ვუთხარი, რომ საგოლე ალღოს მქონე ოთხი ძლიერი ფორვარდი დაგვჭირდება. რაული ერთ-ერთი მათგანია. გონსალეს ბლანკოსგან ძალიან ბევრს ველი. მჯერა, ის ჩვენს იმედებს გაამართლებს.

**- მახსოვს, შარშან რუუდ ვან ნისტელროის ტრანსფერს ბევრი სკეპტიკურად შეხვდა. საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ ჰოლანდიელ ფორვარდს ადაპტაციისთვის დიდი დრო დასჭირდებოდა, მაგრამ ის ფსიქოლოგიურ წნეხს იოლად გაუმკლავდა და საუკეთესო ბომბარდირი გახდა. რაულის მსგავსად, ვან ნისტელროიც შუსტერის ფავორიტი იქნება?**

- ფავორიტებზე საუბარი არ მიყვარს. უბრალოდ, იმას ვიტყვი, რომ შესაძლებლობის გამომჟღავნების შანსი ყველას მიეცემა. პირადად ვან ნისტელროის რაც შეეხება, წელს მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიო დონის ფორვარდია. რა თქმა უნდა, მასაც გრანდიოზულ იმედებს ვუკავშირებ. რუუდის ერთადერთი ღირსება გოლების გატანა არ არის. მას პასების მიწოდებაც შეუძლია. გარდა ამისა, მრავალსვლიან კომბინაციებშიც ეფექტურად მონაწილეობს.

**- გასული სეზონის მიწურულს, სამეფო კლუბმა მისთვის დამახასიათებელი სულისკვეთება და სტილი დაიბრუნა. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ამ გზით სიარულის გაგრძელებას?**

- სწორედ ეს არის ჩემი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა. ხელმძღვანელობამ არამარტო დადებითი შედეგების მისაღწევად, არამედ ლამაზი ფეხბურთის დასანერგად მომიწვია. შევეცდები, გაცემული ავანსები ბოლომდე გავამართლო.

**- პრედრაგ მიატოვიჩმა თქვენი მოთხოვნით ხავიერ სავიოლას გაუფორმა კონტრაქტი. სამუელ ეტოოსა და ეიდურ გუდიონსენის შემდეგ არგენტინელი "ბარსელონის" რიგით მესამე ფორვარდი იყო. არ გეჩვენებათ, რომ უცნაური გადაწყვეტილება მიიღეთ?**

- არ ვიცი, სავიოლაზე ვინ რას ფიქრობს, მაგრამ პირადად მე მისი ძალიან მჯერა. ვფიქრობ, მადრიდის "რეალის" სათამაშო სტილს ხავიერი კარგად შეეწყობა. ის აუცილებლად გაიბრწყენს, ისევე, როგორც რობერტო სოლდადო და რაული. რუუდ ვან ნისტელროის კარგი მეწყვილე დასჭირდება. "ბარსელონაში" სხვაგვარი სიტუაცია იყო. ეტოოს გვერდით ვერავინ გაიხარებდა. ჩვენ კი ყოველთვის ორი ცენტრ ფორვარდით ვითამაშებთ.

**- როგორ ფიქრობთ, გყავთ საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური ნახევარმცველები?**

- დიახ, მაგრამ ხარისხის გაუმჯობესება არასოდესაა ზედმეტი ფუფუნება. სამწუხაროდ, საშუალება არ გვეძლევა ჩვენთვის სასურველი ფეხბურთელები გადმოვიბიროთ. როგორც იცით, ფაბრეგასსა და კაკას მათი კლუბები ცოცხალი თავით არ უშვებენ. ისღა დაგვრჩენია, არსებული რესურსით დავკმაყოფილდეთ. მით უმეტეს, ამ რგოლში ძალიან კარგი ბიჭები მყავს. გუტი, გახო... და რა თქმა უნდა, დე ლა რედი. ადრე ეს ბიჭი არ იყო საკმარისად დაფასებული. ის დარმუნებული უნდა იყოს, რომ ბერნდ შუსტერი შანსს არაერთხელ მისცემს და მოთმინებით დაელოდება, როდის შეძლებს საუკეთესო თვისებების გამომჟღავნებას.

**- კანავაროზე რას გვეტყვით?**

- ფაბიომ ფანტასტიკური მუნდიალი ჩაატარა. ის მსოფლიო ჩემპიონთა საკვანძო ფეხბურთელი გახლდათ. წინასწარ ვიცოდი, რომ სამუნდიალო პერიპეტიებით გადაღლილს მომავალ სეზონში პრობლემები შეექმნებოდა. ეს სრულებით ლოგიკურია. გარდა ამისა, ისიც აღსანიშნავია, რომ "რეალმა" სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო. გუნდი საშინლად იცავდა თავს. უკანახაზელებს არ ეხმარებოდნენ. აქედან გამომდინარე, კანავაროს საკმაოდ გაუჭირდა. სასტიკად ცდება ვინც ფიქრობს, რომ ფაბიო დაბერდა და თამაში აღარ შეუძლია. მის შენარჩუნებას მთელი კატეგორიულობით ვითხოვ.

**- თქვენი მუშაობის წყალობით "ხეტაფემ" გასულ სეზონში პრიმერა დივიზიონის გუნდებს შორის ყველაზე ცოტა გოლი გაუშვა. დაცვას ახლაც დიდ ყურადღებას დაუთმობთ?**

- "ხეტაფეში" ჩინებულ მცველებთან მიწევდა მუშაობა. სიმართლე გითხრათ, თავდასხმა უფრო მაშინებდა. გასული სეზონის დაწყების წინ სამი ფორვარდი გავყიდეთ. არადა, მათ წინა ჩემპიონატში 20 გოლი ჰქონდათ გატანილი. "ხეტაფე" ცოტას უშვებდა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ გატანაც საკმაოდ უჭირდა. "რეალი" კი საშუალებას მაძლევს, ძლიერი თავდასხმისა და საიმედო დაცვის ჩამოყალიბებაზე ვიფიქრო. მჯერა, გაისად ყველას გავაოცებთ. ჩვენ ბურთების საუკეთესო ბალანსი გვექნება.

**- რობერტო კარლოსის "ფენერბაჰჩეში" წასვლით მარცხენა ფლანგზე ალბათ, პრობლემები შეგექმნებათ. როგორ აპირებთ მათ აღმოფხვრას?**

- "რეალის" მარცხენა ფრთაზე ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელები იასპარეზებენ. კერძოდ, მარსელო და დრენტი. დარწმუნებული ვარ, მიატოვიჩი მოლაპარაკებებს წარმატებით დაასრულებს და ჰოლანდიელს "ბერნაბეუზე" ჩამოიყვანს. რობერტო კარლოსი მის პოზიციაზე უდავოდ საუკეთესო გახლდათ, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ უსასრულოდ არაფერი გრძელდება. ბრაზილიელი დაბერდა და



გადაწყვიტა, კარიერის ბოლო წლები მშვიდ ატმოსფეროში გაატაროს. "რეალში" მან მთელი ეპოქა შექმნა.

**- მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ მაჰამადუ დიარა, ფაქტობრივად, მესამე ცენტრალური მცველის ფუნქციას შეასრულებს...**

- დიარას უდიდესი პროფესიონალიზმის მქონე პირად მცველს შევადარებდი. ასეთი ფეხბურთელების ყოლაზე ყოველთვის ვოცნებობდი. თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ მაჰამადუ დიდ სამუშაოს შეასრულებს. ის სამეფო კლუბის ხერხემალი იქნება.

**- კასილიასის დუბლიორად კანტერის მეკარე რატომ არ აიყვანეთ? დუდეკის შეძენა რა საჭირო იყო?**

- საამისო მიზეზი ძალიან მარტივია. კანტერის მეკარეებმა გამოცდილება არა მხოლოდ კასილიასისგან, არამედ მეორე მეკარისგანაც უნდა შეიძინონ. დუდეკის შეძენა საშუალებას მოგვცემს, მშვიდად ვიმუშაოთ. ის ძალიან გამოცდილი გოლკიპერია. მართალია, იკერს სერიოზული ტრავმა არასოდეს მიუღია, მაგრამ არავინ იცის, მომავალში რა მოხდება. "რეალი" ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს.

**- მხოლოდ შედეგი, თუ შედეგი და ლამაზი ფეხბურთი? რას გვპირდებით, ამ დებატს წერტილი დაესმება?**

- (იცინის) მოდით, პრობლემებს ხელოვნურად ნუ შევქმნით. ჩვენ კარგ ფეხბურთს ვითამაშებთ და ყველაფერს ვილონებთ, რათა მომავალი წლის მაისში ტიტულების მაქსიმალური რაოდენობით მოვიწონოთ თავი. სამეფო კლუბს ყველაზე მეტად გასული სეზონის დასაწყისში უჭირდა. ფეხბურთელებს საბრძოლო სულისკვეთება არ ჰქონდათ, მაგრამ ბოლოს ძალები მოიკრიბეს და ყველას დაანახეს, რომ ამ შემადგენლობას ნებისმიერი სირთულის ამოცანის გადაჭრის უნარი შესწევს.

**- "ბარსელონამ" უძლიერესი ფეხბურთელები გადაიბირა. მათ შორის, ტიერი ანრი...**

- იცით რა არის ჩვენი გუნდის მთავარი ღირსება და სიძლიერე? ის, რომ სამეფო კლუბში პრივილეგირებული მოთამაშეების ცნება არ არსებობს. არავის არანაირი უპირატესობა არ გააჩნია. უკლებლივ ყველა თანასწორუფლებიანია. გასულ სეზონში "ბარსელონას" ფეხბურთელების ეგოიზმთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა. კატალონიელებმა ჩემპიონობა სწორედ ამის გამო დაკარგეს. ჩემი აზრით, ტიერი ანრის მოსვლის შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება.

**- შეგიძლიათ, გარკვევით აუხსნათ ხალხს, როგორ ფეხბურთს ითამაშებს ბერნდ შუსტერის "რეალი"?**

- სწრაფი და კომბინაციური ფეხბურთი მიყვარს. ბურთს რაც უფრო მეტი ფეხბურთელი ეხება, მით მეტ სიამოვნებას ვიღებ. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი. შეტევიდან დაცვაში და დაცვიდან შეტევაში სწრაფად და დიდი ძალებით უნდა გადავიდეთ ხოლმე.

**- სამეფო კლუბის ფეხბურთელებს მკაცრი დისციპლინა ელით?**

- არის რაღაც წესები, რომელთა დარღვევასაც ვერ შევეგუები. ბიჭები ყველაფერს ჩემგან გაიგებენ. არ მგონია, განსაკუთრებულ სირთულეებს წავაწყდეთ.

**- ანხელ ტორესი თქვენით ძალიან უკმაყოფილოა. "ხეტაფეს" პრეზიდენტი აცხადებს, რომ კონტრაქტის გაწყვეტისთვის კიდევ 480 ათასი ევრო გაქვთ გადასახდელი. ის ხელშეკრულების პირობების დარღვევაში გადანაშაულებთ...**

- ტორესით ძალიან იმედგაცრუებული დავრჩი. მან პირობა მომცა, თუ რომელიმე გრანდი შემომთავაზებდა თანამშრომლობას, ულაპარაკოდ გამათავისუფლებდა. სამწუხაროდ, "ხეტაფეს" პრეზიდენტმა საკუთარი სიტყვა ორჯერ გატეხა. თუ სენიორ ანხელს ვინმესთან პრობლემა აქვს, დაე თავად მოაგვარონ ის, მაგრამ მე ნურაფერში გამხვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელგრადი 2007

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი

# 21-ე საუკუნეში გაზეთზე მელაპარაკები?

BELGRADE 2007



კახა ბერიძე
ბელგრადიდან

- შეგიძლია ბელგრადის თამაშების ვებგვერდის მისამართი მითხრა? - მეუბნება თბილისის აეროპორტში სერბეთში გამომგზავრებამდე ერთ-ერთი ძიუდოისტის მშობელი. ბუნებრივია, თხოვნა შევუსრულე და იქვე თავაზიანად შევახსენე, რომ გაზეთ "ლელოში" ყოველდღიურად შეეძლო ამ ფესტივალზე ქართველ სპორტსმენთა გამოსვლისა თუ სხვა პერიპეტიების და მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება. პასუხად კი-მისი გაოგნებული სახე და ის სიტყვები მივილე, რაც სათაურში გამოვიტანეთ. რა კომენტარი შეგვიძლია გავაკეთოთ? რა თქმა უნდა თანამედროვე ცხოვრებას ფეხი ყველამ უნდა ავუწყოთ, კომპიუტერი და ინტერნეტიც კარგია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ძველი დავივიწყოთ, რაც კარგია.

ფიცის დადებისა და შესანიშნავი გაცილების ცერემონიალის შემდეგ, რომელიც სეოკ-ის პრეზიდენტმა **ბადრი პატარკაციშვილმა** ჩვენს გუნდს საკუთარ რეზიდენციაში მოუწყო, საქართველოს 45 კაციანმა დელეგაციამ სპორტსმენების, მწვრთნელების, ადმინისტრაციის წევრებისა და ორი ჟურნალისტის შემადგენლობით სტამბოლის გავლით ბელგრადისკენ აიღო გეზი. დელეგაციის შემადგენლობაშია სეოკ-ის პირველი პრეზიდენტი **ნონა გაფრინდაშვილი**.

*"სერბეთს ჩემს მეორე სამშობლოდ ვთვლი. აქტიური სპორტული კარიერის დროს ბელგრადში ხშირად მიწევდა ჩასვლა და იქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. სეოკ-ის პრეზიდენტობის პერიოდში 1993 წელს ვალკენსვაარდსა და 1995 წელს ბათში მქონდა შეხება ამ შეჯიბრებასთან და უდავოდ სერიოზული დონის ასპარეზობაა. ესე რომ არ იყოს, ევროპის ყველა ქვეყანა მასში მონაწილეობას დიდი პასუხისმგებლობით არ მოეკიდებოდა. აქ წარმატებული გამოსვლა ქართული სპორტის, საერთოდ ქვეყნის პრესტიჟის ზრდას შეუწყობს ხელს. მჯერა, რომ ბელგრადი ჩვენი ნორჩი ოლიმპიელებისთვისაც ისეთივე იღბლიანი ქალაქი აღმოჩნდება, როგორც ჩემთვის არის."* - მეუბნება სტამბოლის აეროპორტში ნონა გაფრინდაშვილი.

მგზავრობა არცთუ ისე მომქანცველი გამოდგა. ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი **ზურაბ კახაბრიშვილი** თავისი იუმორით გვახალისებდა და ამასთანავე ათლეტებს აგულიანებდა, ნონა გაფრინდაშვილი სპორტსმენებს თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა და უშიშრად ასპარეზობისკენ მოუწოდებდა.

სერბეთის დედაქალაქის ცენტრალურ აეროპორტში შაბათს ადგილობრივი დროით საღამოს 11 საათზე ჩავფრინდით. გარეთ გამოსვლა და ცხელი ჰაერის სახეში შემოფეთება ერთი იყო. ბელგრადი აუტანელი სიცხით შეგვეგება. ღამით 30 გრადუსზე მეტია, ხოლო დღისით, როდესაც ეს სტრიქონები იწერება, ჰაერის ტემპერატურა 42 გრადუსს უკაკუნებს. აეროპორტში დაგვხვდა ოლიმპიურ სოფელში ჩვენი გუნდის მისიის ხელმძღვანელი **გიორგი ესაკია**, რომელიც ბელგრადს ორი დღით ადრე სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად ეწვია. ორგანიზატორებმა ოლიმპიური სოფელი ბელგრადის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის კორპუსში განათავსეს. საქართველოს დელეგაცია ავსტრიის, უკრაინის, ბელარუსისა და მონაკოს გუნდებთან ერთად ცხოვრობს. ჩვენი გუნდი 6-3 სართულზეა განთავსებული. უნდა ითქვას, რომ საცხოვრებელი პირობები აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებს. გარდა იმისა, რომ ოთახები ძალზედ პატარაა და არც კონდიცირება მუშაობს, შენობაში არ არის ლიფტი, დღეში კი რამოდენიმეჯერ მეექვსე სართულზე ასვლა-ჩასვლა აუტანელ ხვატში მიმზიდველი ნამდვილად არ არის.

ორგანიზატორები ვერც კვებით მოიწონებენ თავს. კვების რაციონზე რომ არაფერი ვთქვათ, დღისით სასადილოში შესვლა ნამდვილი ჯოჯოხეთია. ერთბაშად 1000-ზე მეტი ადამიანი ჩახუთულ სივრცეში და ესეც რომ არ იყოს ორი კერძის აღება სასტიკად აკრძალულია. მომსახურე პერსონალია აუცილებლად მიგითითებთ, რომ ერთით უნდა დაკმაყოფილდეთ. ოლიმპიურ სოფელში, რომელიც ქალაქის ცენტრიდან მანქანით 15 წუთის სავალზეა განთავსებული პრესცენტრი, კაფე-ბარი და შადრევანი, რომელიც სიცხისაგან თავდაცვის ერთადერთი საშუალებაა.

რიგით მე-9 ზაფხულის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად 48 ქვეყნის 2500-მდე სპორტსმენმა მოიყარა თავი 11 სახეობაში. ნიშანდობლივია, რომ სპორტსმენთა რაოდენობის მხრივ საქართველო (27) 11 ქვეყანას უსწრებს - მათ შორის ალბანეთს (15), სომხეთს (18), კვიპროსს (14), მაკედონიას (26), ჩერნოგორიას (23), მოლდოვას (19), შვედეთს (25) და აშ. ყველაზე დიდი ამქარი მასპინძლებს ჰყავთ (90), შემდეგ იტალიელები (76) და ფრანგები (75) მოდიან.

აქვე ერთ საინტერესო დეტალსაც აღვნიშნავთ. სეოკ-ის გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი** ეოკ-ის პრეზიდენტ **პატრიკ ჰიკს** შეხვდა. გადაწყდა, რომ ირლანდიელი მაღალჩინოსანი შემოდგომაზე თბილისს ეწვევა. საქმე იმაშია, რომ წლეულს ბაქოში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატზე ჭიდაობის სახეობებში ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ სომხეთიც დაყაბულდა მონაწილეობას. პატრიკ ჰიკი აზერბაიჯანის დედაქალაქში უშუალოდ სეოკ-ის პრეზიდენტის **ჟაკ როგის** წარმომადგენელი იქნება და ამ ორ ქვეყანას შორის ერთგვარი მშვიდობის გარანტი იქნება. ზენაიშვილის შეთავაზებას ბაქოში თბილისის გავლით წასვლას ჰიკი სიამოვნებით დათანხმდა.

ორშაბათს ასპარეზობის პირველ დღეს ქართველი ათლეტები ცურვასა და ჩოგბურთში ჩაებმებიან **გიორგი მთვრალაშვილი** 200 მეტრზე კომპლექსურ გაცურვაში ცდის ბედს. მწვრთნელ **გიორგი აბზიანიძის** თქმით პროგრამა მაქსიმუმი 16-ში, ხოლო მინიმუმი ოცეულში მოხვედრაა.

გატყდება ნავსი ჩოგბურთში? მოვიგებთ მედალს? ამის ყველანაირი წინაპირობა არსებობს. **ეკა გორგოძე** ევროპაში 16-წლამდე პირველი ნომერია და ბუნებრივია ორგანიზატორებმა ბელგრადში პირველ ნომრად განთესეს. *"არავის შიში არ მაქვს, პირიქით ყველა მე უნდა მიფრთხოდეს. შანსი მაქვს ისტორიაში შევიდე და ოლიმპიურ ფესტივალზე ჩოგბურთში საქართველოდან პირველი მედალოსანი გავხდე. ამ შანსს კი გამოყენება უნდა."* - მეუბნება ეკა გორგოძე. იგი პირველ დღეს ერთეულთა თანრიგში ისვენებს, შემდეგ ბელარუსი-უკრაინის წყვილში გამარჯვებულს ხვდება. **გიორგი ხმიადაშვილი** ბელგრადში 12-ე ნომრად არის განთესილი, მისი მეტოქე პირველ წრეში ესპანელი **რობერტო გარსია** იქნება. შეჯიბრება თიხის კორტებზე გაიმართება. მწვრთნელ **გელა ელერდაშვილის** თქმით გორგოძეს ჩემპიონობის რეალური შანსი აქვს, ხმიადაშვილი კი მებრძოლი ბიჭია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო!

## კობრამ ნოკაუტით წააგო



პროფესიული კრივი. შაბათს უელსის მთავარ ქალაქ კარდიფში WBO-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის სარტყლისთვის ბრძოლა შედგა. ზებუმბულის წონაში 34 წლის **კობა გოგოლაძე** ("კობრა") შოტლანდიელ **ალექს არტურს** შეხვდა. სამწუხაროდ, ჩვენი მოკრივე ბრძოლის ფავორიტმა მეათე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა. გოგოლაძემ უკეთ დაიწყო, თუმცა შემდეგში უპირატესობა არტურმა იგდო ხელთ და მან მეექვსე, მერვე და მეათე რაუნდებში დააგდო ქართველი. მეოთხე რაუნდში "კობრამ" ოპონენტს თავით ტრავმა მიაყენა (მარჯვენა თვალთან).

## მეცხრე ადგილზე

პლაჟბურთი. მარსელში დასრულდა პლაჟბურთის მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი. ქართულმა დუეტმა **გეორ-გიამ** შეჯიბრებაზე საბოლოოდ მეცხრე ადგილი დაიკავა. მეოთხედფინალში გამსვლელ შეხვედრაში ჩვენმა ფრენბურთელებმა მარცხი იწვნიეს ჩინელთა წყვილისგან (ლი-ჭოუ) 0:2 (18:21, 19:21). გეორ-გიამ სარეიტინგო მონაგარს 240 ქულა შემატა. ქისა კი 6 000 ამერიკული დოლარით შეივსო.

ხვალიდან გეორ-გია და საქა-რთველო შვეიცარიის საკურორტო ქალაქ გშტაადში მსოფლიოს ჩემპიონატის გათამაშებაში ჩაერთვებიან.

## ხვალიდან ვარშავაში

ჭიდაობა. ხვალ ვარშავაში ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი იწყება, რომელიც „თავისუფალთა" ტურნირით გაიხსნება. ხვალ ჩვენგან **ლაშა ლომთაძე** (42), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (50), **დავით ხუციშვილი** (58), **გიორგი გაბისიანი** (69) და **გიორგი ჩიტაშვილი** (85) იჭიდავებენ, ზეგ - **ავთანდილ ჯიოევი** (46), **ვასილ მამულაშვილი** (54), **გიორგი მელქაძე** (63), **დავით მარსაგიშვილი** (76) და **თორნიკე ხიდეშელი** (100).

26-27 ივლისს ჩემპიონატში ქალები იჭიდავებენ, 28-29-ში - „ანტიკოსები". ჩვენი „ანტიკოსთა" ნაკრების შემადგენლობა ასეთია: **მინდია ნულუკიძე** (42), **გიორგი დავითაია** (46), **ქემალ ხარაბაძე** (50), **საჩინო დავითაია** (54), **დავით ტაკაშვილი** (58), **პაატა ბაკურიძე** (63), **თორნიკე ნაჭყებია** (69), **ოთარ რამიშვილი** (76), **შალვა თოდრაძე** (85) და **ვასილ იმერლიშვილი** (100).

ხელბურთი



სერგო დათუკიშვილი



ვლადიმერ რუსია

# რუსია რუმინეთში, დათუკიშვილი ბუნდესლიგაში

**ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ვლადიმერ რუსიამ ახალი ნავსაყუდელი გამონახა. უკრაინიდან აბარგების შემდეგ, მან რუმინეთს მიაშურა, სადაც ბუქარესტის "დინამოსთან" გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი. რუსია ახალ კლუბს სამშაბათს შეუერთდება, იქამდე კი, რამდენიმე დღით სამშობლოში დაბრუნდა. ვისარგებლეთ ამით და დაწვრილებით გამოვკითხეთ ტრანსფერის დეტალები.**

- ბუქარესტის "დინამოსთან" დამაკავშირა ჩემმა მოლდოველმა აგენტმა ლეონიდმა. როგორც გავიგე, "დინამოს" ხელმძღვანელობას, ჩემი თამაში უნახავს საქართველო-რუმინეთის მატჩებში და როცა გაიგეს, რომ უკრაინიდან წამოვედი, ჩემს აგენტთან დაიწყეს მოლაპარაკება. რუმინელებმა დამიბარეს ბუქარესტში, სადაც ხუთი დღის განმავლობაში მაკვირდებოდნენ. როგორც ჩანს, იქ მათი საბოლოო მოწონება დავიმსახურე და ორწლიანი კონტრაქტი გამიფორმეს.

**- ახალმა გუნდმა როგორ მიგიღო?**

- საკმაოდ გულთბილად. ბუქარესტში ერთი კვირით ვიყავი და რაც ამ ხნის განმავლობაში დავინახე, "დინამო" ფრიად მეგობრული, შეკრული გუნდია. ხელბურთელებიც, მწვრთნელებიც და გუნდის შეფებიც კარგი ადამიანები ჩანან.

**- კონტრაქტის პირობებით კმაყოფილი ხარ?**

- დიახ, ყველანაირად მისაღები პირობები შემომთავაზეს - კვებით დაწყებული და ბინის საკითხით დამთავრებული.

**- ახალ სეზონში რა ამბიციები აქვს "დინამოს"?**

- შარშან, რუმინეთის ჩემპიონატში, მესამე ადგილი დაიკავა, წლეულს კი ჩემპიონობაა მისი მთავარი ამოცანა. ჩემ გარდა, ორი უკრაინელი ლეგიონერიც ჰყავთ. ამას გარდა, ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზეც ვთამაშობთ და იქაც კარგად გამოსვლა უნდათ.

**- როდის შეუერთდები გუნდს?**

- თბილისში პირადი საქმეების მოსაგვარებლად და ბარგის წასაღებად ჩამოვედი რამდენიმე დღით. სამშაბათს, ბუქარესტში გავემგზავრები და ახალ კლუბთან ერთად სამზადისს შევუდგები. რუმინეთის ჩემპიონატი 17 სექტემბერს იწყება, იქამდე კი შეკრებებს გავივლით და საკონტროლო მატჩებს გავმართავთ.

**- რუმინეთის გარდა, სხვა რა ვარიანტები გქონდა?**

- უკრაინიდან მეპატიჟებოდნენ ჩემპიონი "პორტოვიკი" და მესამეადგილოსანი "ზრავარი". ამას გარდა, პოლონეთის ჩემპიონი "ზაგლებიეც" მიწვევდა. ყველაზე რეალური ეს ვარიანტები იყო, მაგრამ რუმინეთი ვამჯობინე, რადგან იქ ყველაზე უკეთესი პირობები შემომთავაზეს. ამას გარდა, "დინამო" უკრაინულ და პოლონურ კლუბებზე უფრო ძლიერია და იქაური ხელბურთის სკოლაც საკმაოდ მაღალი დონისაა.

**- ახლახან გადაწყდა, რომ "ჩელენჯ ტროფის" ორიდან ერთი ქვეჯგუფის მატჩები თბილისში გაიმართება 25-27 ოქტომბერს. როგორ შეაფასებ საქართველოს ნაკრების შანსებს?**

- მოლდოვა წინა "ჩელენჯ ტროფის" ჩემპიონია, აზერბაიჯანი კი ფინალისტია. ეს გუნდები ამ ტურნირზე მუდამ კარგად გამოდიან და მათთან მოგება არც ისე ადვილი იქნება. თუმცა თუ უძლიერესი შემადგენლობით შევიკრიბებით, ჯგუფიდან გასვლა სავსებით რეალური იქნება. პირველ ადგილზე რომ გავიდეთ, ჩათვალეთ, რომ "ჩელენჯ ტროფი" მოგებული გვაქვს, რადგან მეორე ჯგუფში უფრო სუსტი გუნდები თამაშობენ.

**- "დინამოს" ხელმძღვანელობასთან ნაკრებში გამოშვების საკითხზე ხომ არ გისაუბრია?**

- დიახ, ვილაპარაკეთ ამ საკითხზე. სამწუხაროდ, რუმინეთის ჩემპიონატის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ სექტემბერ-ოქტომბერში, თავიდანვე ვხვდებით ხუთ ძირითად კონკურენტს. ამას გარდა, რუმინეთის თასზეც უნდა ვითამაშოთ. ასეთი გადატვირთული გრაფიკის გამო, შესაძლოა, ნაკრებში ჩამოსვლის პრობლემა შემექმნას. თუმცა "ჩელენჯ ტროფზე" თამაში ძალიან მინდა და ყველაფერს გავაკეთებ, რომ გამომიშვან. ისე, "ჩელენჯ ტროფი" ევროპის ხელბურთის ფედერაციის ოფიციალური შეჯიბრებაა და კლუბს არა აქვს უფლება, რომ ამ ტურნირზე თამაშის უფლება არ მომცეს.

**P.S. საქართველო ნაკრების კიდევ ერთი ლიდერი სერგო დათუკიშვილი, შვედეთიდან აიბარგა, სადაც მის ან უკვე ყოფილ კლუბ "ისტადს" ფინანსური პრობლემები შეექმნა. დათუკიშვილი არც მეტი, არც ნაკლები, გერმანიის სუპერჩემპიონატში ითამაშებს, რომლის დონეც დაახლოებით ისეთია, როგორიც ფეხბურთში იტალიის ჩემპიონატისა. დათუკიშვილი გახდა პირველი ქართველი, რომელიც ბუნდესლიგურ კლუბში ჩაირიცხა. მისი ახალი კლუბია ტუს-ნ "ლიუბეკი", რომელიც წინა სეზონში, 18-გუნდიან ბუნდესლიგაში, 16-ე ადგილზე გავიდა. წლეულს, ლიუბეკელებმა დათუკიშვილის გარდა, 5 ახალი ხელბურთელი დაიმატეს და ახალ სეზონში, გაცილებით დიდი ამბიციები ექნებათ. სამწუხაროდ, სერგოს გერმანული კოორდინატები ჯერ ვერ დავადგინეთ და შევეცდებით, უახლოეს ხანში შემოგთავაზოთ მისი ინტერვიუ.**

კობა ხატისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# საქართველოს ნაკრები ბულგარეთში გაემგზავრა




დღეს, საქართველოს ნაკრები 2007 წლის სეზონს ბულგარეთთან ამხანაგური მატჩით გახსნის. კენ შილდსის ნინამძღოლობით ქართველებმა 22 ივლისის ღამით თბილისი-მიუნხენის რეისით ჯერ გერმანიას მიაშურეს, შემდეგ ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ჩაფრინდნენ. ერთი დღე დასვენებისა და აკლიმატიზაციისთვის გამოიყენეს და დღეს, 20 საათზე, მასპინძლებთან სათამაშოდ სოფიის სპორტის სასახლეში გამოვლენ. აქვე გეტყვით, რომ ხვალ, თბილისის დროით 22 საათზე საქართველო-მაკედონიის დაპირისპირება შედგება, ხოლო 25 ივლისს, 18 საათზე - საქართველო-დანიის. ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე განაცხადი ისრაელსაც ჰქონდა შეტანილი, მაგრამ ბოლო მომენტში ებრაელები დანიელებმა შეცვალეს.

შესავალში ბულგარეთში საქართველოს ნაკრების გეგმა მოკლედ გაგაცანით. ახლა გავარკვიოთ, როგორ ემზადებოდა ამ შეჯიბრებისთვის კენ შილდსის გუნდი. ისევე როგორც პირველზე, სოფიაში გამგზავრებამდე ნაკრების ბოლო ვარჯიშზე მასმედიელებს კარი გაგვიღეს და საშუალება მოგვეცა, საკუთარი თვალით გვენახა, ვინ როგორ ფორმაშია და დავრწმუნებულიყავით, რომ კენ შილდსის სახით გუნდს ღირსეული მესაჭედ მოევლინა.

## შემადგენლობა

წვრთნის პირველი დღის შემდეგ შემადგენლობაში მხოლოდ ორი ცვლილება მოხდა: ნაკრებს შეუერთდნენ **ზაზა ფაჩულია** ("ატლანტა ჰოქსი") და **ლაშა გამყრელიძე** ("აზოტი"). ვარჯიშს ტრიბუნებიდან თვალს ადევნებდა ორი ყოფილი დიჟონელი -**ვახტანგ ნაცვლიშვილი** და **ვიქტორ სანიკიძე**. ამ უკანასკნელს მარცხენა ფეხის კოჭზე სისხლჩაქცევა ახლაც ეტყობა...

*"სოლტ ლეიკ სიტის კემპზე "ატლანტასთან" მატჩის მეათე წუთზე ფეხი დავიზიანე და კოჭზე ახლაც ფიქსატორი მიკეთია. შესიება ნელ-ნელა ცხრება, მაგრამ ბულგარეთის ტურნირს ვერ ვითამაშებ. ნაკრებთან ვარჯიშს სავარაუდოდ, ფრანგულ "პო ორტეზში" გადასვლის შემდეგ შევუდგები"*. - გვითხრა ვიქტორმა. დავძენთ, რომ ქართველები პოში სოფიადან გადაფრინდებიან და პორტუგალიის ტურნირისთვის მოემზადებიან.

ვატო ნაცვლიშვილსაც ფეხი აწუხებს, ოღონდ მუხლი. მას იმედი აქვს, რომ თბილისში გამართულ ბოლო ვარჯიშზე დასვენება საშუალებას მისცემს ბულგარეთის ტურნირს მწყობრში შეხვდეს.

ვარჯიშის საწყის ეტაპზე მოვლენების განვითარებას გვერდიდან უყურებდა კიდევ ერთი ტანმაღალი კალათბურთელი. მას "ჰოქსის" თეთრი ფორმა ეცვა, თავად კი გარუჯული იყო...

თუმცა, ზაზა ფაჩულია სკამზე დიდხანს არ დარჩენილა, გუნდური კომბინაციების დამუშავების დრო რომ დადგა, თანაგუნდელებს შეუერთდა. აქვე გეტყვით, რომ ზაზას ვარჯიშის შემდეგ ექიმმა ორივე ფეხის კუნთზე ყინულები დაადო. მაგრამ ატლანტელმა დაგვამშვიდა - ტრავმა სერიოზული არ არის, ბულგარეთში ვითამაშებო.

ნაკრების სასოფიე შემადგენლობას რეპორტაჟის ბოლოს ნახავთ. თუ უკვე გადაიკითხეთ, გაგიჩნდებოდათ სამი კითხვა: **ბოისა? ელისი? ცქიტიშვილი?**

ამ კალათბურთელების შესახებ მოედნის კიდესთან მდგომ ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანს** ვკითხეთ.

*"ნიკა ცქიტიშვილის გეგმების შესახებ ვერაფერს გეტყვით. იმედია, იგი მალე შემოგვიერთდება. ტაირონ ელისს 22 ივლისს ქორწილი აქვს. მან გვთხოვა, ერთი კვირა დამაცადეთო. ტაირონს შეკრებაზე 30 ივლისისთვის ველით. ვლადიმერ ბოისა კი ბავშვს ელოდება და მეუღლეს ვერ ტოვებს. თან საკონტრაქტო საკითხებს აგვარებს. ამიტომ, მისი დროულად ჩამოსვლაც ვერ ხერხდება"*. - გვითხრა ბესიკ ლიპარტელიანმა.

ისევე, როგორც ნიკასა და ვოვას, გაურკვეველია კიდევ ორი მწვრთნელის საკითხი: შილდსის თანაშემწეები **კენ ატკინსონი** და **გორდონ ჰერბერტი** (საბერძნეთის აეკ-ში გადავიდა) საკლუბო საქმეებით არიან დაკავებულნი.

## ვარჯიში

18 ივლისიდან 21-მდე კენ შილდსმა 7 ვარჯიშის ჩატარება მოასწრო. საწვრთნელი პროცესისას მწვრთნელი დიდ ყურადღებას ტაქტიკურ მომზადებას უთმობდა. დილმის დარბაზში ნაკრებელებმა იმუშავეს ბურთის მოედნის ერთი კიდიდან მეორესკენ სწრაფად გადატანაზე, პერიმეტრზე კაცის გამოთავისუფლებაზე, ფარქვეშ სატყორცნ პოზიციაზე, ცენტრის დატოვებაზე, ერთი წამის განმავლობაში ბურთის მოედანზე შეყვანასა და კალათში მოთავსებაზე (ეს საქმე ზაზას კარგად გამოსდიოდა)... მოკლედ, ყველა ის სქემა, რასაც შილდსი გვასწავლის, ხუთიანზე რომ ვიცოდეთ, ფინეთი კი არა, A დივიზიონის ფავორიტების დაშლაც შეგვეძლება.

TEAM! - შესძახეს ერთ ჯგუფად შეკრებილმა ნაკრების წევრებმა და გასახდელისკენ გაეშურნენ, სადაც ახალთახალი თეთრ-წითელი მაისურები ელოდათ.

ყინულები დასჭირდათ ლაშა გამყრელიძესა და **გიორგი მარკოიშვილსაც**. *"ორივე კოჭის მცირე ტკივილს ვგრძნობ და ყინულს ამიტომ ვიყენებ. ტრავმა სერიოზული არაა"*. - გვითხრა ლაშამ. გიორგი მარკოიშვილმა ფეხი ვარჯიშზე, **გიორგი ცინცაძესთან** შეჯახებისას დაიზიანა და მანაც მშვიდად მოგვიგო - ხვალამდე გამივლისო: *"თბილისური შეკრებიდან ბულგარეთში საბრძოლო განწყობით მივდივართ. გვინდა, კალათბურთის ქართველ ქომაგს ბოლოს და ბოლოს, დავუბრუნოთ ის სიხარული, რის ნაკლებობასაც ბოლო წლებში განიცდიდა - სანაკრებო წარმატებები..."*

ტრავმამოშუშებული **მანუჩარ მარკოიშვილი**, ვარჯიშისას ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო. ამიტომ მისი აზრიც არანაკლებ საინტერესოა: *"დინამოს" ბაზაზე ოთხი დღე ვივარჯიშეთ, თუმცა ტაქტიკური თვალსაზრისით, მეტად ნაყოფიერად ვიმუშავეთ. ახლა თეორიის პრაქტიკაში განხორციელების დრო დგება და ძალიან მაინტერესებს, ჩვენს ტაქტიკურ მონახაზებს ბულგარეთში გასამართი მატჩებისას როგორ განვახორციელებთ."*

...გულშემატკივრებსაც აინტერესებთ. ნაკრების ახალწვეული **ზვიად ბაბიაშვილი** კი სოფიაში წასვლის წინ დაგვპირდა, რომ მინიმუმ ორ მატჩს მოვიგებთ...

## პრესკონფერენცია

**ვარჯიშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მთავარმა მწვრთნელმა კენ შილდსმა გაცილებით "ძვირფასი" დაპირება მოგვცა...**

- ბულგარეთში გამგზავრების წინ ოთხდღიანი შეკრება მოვაწყვეთ. ბევრი ვიმუშავეთ დაცვასა და შეტევაზე, დავამუშავეთ არაერთი ახალი ტაქტიკური მონახაზი. ყველაფრით კმაყოფილი ვარ, გარდა ერთისა - ვარჯიშების შემდეგ ბიჭებს გამომეტყველებაზეც ეტყობოდათ, რომ ძალიან ილლებოდნენ.

**- ფიზმომზადების მხრივ ცუდი მდგომარეობაა?**

- ცუდი სიტუაცია არ არის, მაგრამ არც კარგია. შეკრება ახლა დავიწყეთ და ფორმაში ნელ-ნელა შევალთ, თუმცა, არის რამდენიმე მოთამაშე, რომელიც 18 ივლისს მომზადებული შეხვდა.

**- ბულგარეთის ტურნირისგან რას ელით?**

- ვეცდებით ყველა ის სქემა, რაზეც თბილისში ვიმუშავეთ, სისრულეში სოფიაში მოვიყვანოთ. შევხედავთ, სხვადასხვა ტაქტიკის მქონე ნაკრებებთან რა როგორ გამოგვივა. მინდა ბიჭების კარგი გარჯა და გამარჯვებისკენ ლტოლვა ვნახო, რასაც აქამდე დაღლილობა ფარავდა. სოფიაში პირველ მატჩამდე ერთი დღით ადრე ჩავდივართ და ვიმედოვნებ, სათანადოდ დასვენებას მოვასწრებთ.

**- ოფიციალური შეხვედრებისთვის 12 კაცს როდის შეარჩევთ?**

- ჯერ გუნდი სრულად შეიკრიბოს და გაფილტვრაზე მერე ვიფიქრებ. ჩემი აზრით, პორტუგალიის ტურნირისთვის ის შემადგენლობა გვეყოლება, რომელიც შესარჩევი მატჩებისთვის უნდა მოემზადოს. საკონტროლო შეხვედრებზე ბევრი იქნება დამოკიდებული: თუ ეს შემადგენლობა კარგად აეწყობა და გაამართლებს, აქცენტს მათზე გავაკეთებ, თუმცა, არც დაგვიანებულებზე ვიტყვით უარს.

**- ვლადიმერ ბოისა შეიძლება ოფიციალურ მატჩებამდე ვერ შემოგიერთდეთ...**

- ვლადიმერს დიდ პატივს ვცემ. იგი ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა. მისი მესმის, ბავშვს ელოდება და თან კონტრაქტი აქვს გასაფორმებელი. ყველაზე კარგი სცენარი ის იქნება, თუ იგი 5-6 დღით ჩვენთან ივარჯიშებს და შემდეგ შინ დაბრუნდება. თუ უშუალოდ ლუქსემბურგთან მატჩის წინ შემოგვიერთდება, არა ვარ დარწმუნებული, რომ თამაში მოუწევს.

**- როგორ ფიქრობთ, 2 სექტემბრისთვის ფინეთზე ძლიერი გუნდი გვეყოლება?**

- საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას იმიტომაც დავთანხმდი, რომ ფინეთზე გაცილებით უკეთესი გუნდი გვყავს. მიმაჩნია, რომ სუომელთა ძლევა შარშანაც შეგვეძლო და შარშანწინაც! B ლიგის გუნდში დიდხანს მუშაობას არ ვაპირებ - ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებთან ერთად A დივიზიონში ყოფნას ვიმსახურებ. ამის რესურსი რეალურად გაგვაჩნია. ფინეთთან მატჩამდე კი გაცილებით სერიოზული შეხვედრა გველის - ისლანდიელები შინ კარგად თამაშობენ და თუ რეიკიავიკში ვერ მოვიგეთ, შეიძლება 2 სექტემბერს ფინეთთან მატჩს აზრი აღარ ჰქონდეს. ჩემი მიზანი კი 15 სექტემბერს თამაშია!

**ვიდრე ბულგარეთში გამგზავრებულთა შემადგენლობას გაგაცნობდეთ, შეგახსენებთ, რომ 15 სექტემბერს B ლიგის ფლეი ოფის განმეორებითი შეხვედრებია. ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული A დივიზიონში ითამაშებს.**

ვაჟა სიმონიშვილი

| საქართველო | სმ | კლუბი |
|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | 210 | ატლანტა (NBA) |
| დავით უგრეხელიძე | 208 | აზოტი |
| ზვიად ბაბიაშვილი | 200 | ავიამშენი |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | 205 | დინამო (საფ.) |
| გიორგი შერმადინი | 214 | მაკაბი |
| ვიქტორ სანიკიძე | 203 | ესტუდიანტე (ესპ.) |
| მანუჩარ მარკოიშვილი | 196 | კიევი (უკრ.) |
| ანატოლი ბოისა | 192 | აზოტი |
| ლაშა გამყრელიძე | 183 | აზოტი |
| გიორგი ცინცაძე | 192 | ტარტუ (ესტ.) |
| კოტე ტუღუში | 193 | აზოტი |
| გიორგი მარკოიშვილი | 200 | აზოტი |

## ელისს კახა სან ფერნანდო ელის

გუშინ ესპანურმა გამოცემა "დიარიო დე სევილიამ" ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა - "კახა სან ფერნანდო" მოლაპარაკებებს აწარმოებს **ტაირონ ელისთანო**.

რამდენად წარმატებით დასრულდება ეს ტრანსფერი უახლოეს დღეებში გავიგებთ, ჩვენ კი დავძენთ, რომ "კახამ" საქართველოს ნაკრების მეორე წევრ **ნიკა ცქიტიშვილსაც** შესთავაზა ახალი კონტრაქტი.

სევილიელების პარალელურად ვალიადოლიდური პრესა ელისის "ვალიადოლიდში" შესაძლო გადასვლაზე საუბრობს, თუმცა, ამ შემთხვევაში საქმე გაცილებით ზოგად მსჯელობასთან გვაქვს: *"კლუბის ხელმძღვანელები ფრთის კარგ მოთამაშეს ეძებენ. სხვა ვარიანტებს შორის მოიაზრება ორი გაქართველებული ამერიკელი ტაირონ ელისი და მელვინ სენდერსი"*.

სადღეისოდ მეტს ვერაფერს დავამატებთ, მხოლოდ იმას დავძენთ, რომ სენდერსი ორი დღის წინ ფრანგული "პო ორტეზიდან" ბერძნულ "პანელინიოში" გადავიდა.

ვაჟა სიმონიშვილი



GEORGIA

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

### პირველი ტიტული დიდებში

ოქსანა კალაშნიკოვა 5 სექტემბერს 17 წლის გახდება. ის ახალგაზრდულ მსოფლიო კლასიფიკაციაში მეოცე ჩოგანია, დიდებში მას 773-ე პოზიცია უკავია, წყვილთა რეიტინგში კი ოქსანა საერთოდ არ არის. შაბათს საქართველოს ერთ-ერთმა პერსპექტიულმა ჩოგბურთელმა პროფესიულ კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა. ოქსანა კალაშნიკოვა გერმანიის ქალაქ გარხინგში საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) ასპარეზობდა. ეს მის პროფესიულ კარიერაში სულ მერვე ტურნირია, წყვილებს რაც შეეხება, კორტებზე კალაშნიკოვა მხოლოდ მეოთხედ გავიდა. უკვე მესამე ტურნირში (ანთალია, 25 ათასი) ოქსანა **სოფიო ქვაცაბაიასთან** ერთად დუეტში ფინალში გავიდა. გარხინგში კალაშნიკოვა ფინელ **კატარინა ტუოჰიმაას** შეუწყვილდა. მეოთხედფინალში კალაშნიკოვამ და ტუოჰიმაამ ტურნირის პირველ ნომრებს (**ბუიუქაქჩაი, ფერეირა**) აჯობეს - 6:2, 7:5. ნახევარფინალში მათ გერმანული დუეტი (**ობსტი, ჰოფმანი**) დაჩაგრეს - 6:3, 6:3. ფინალში ქართველისა და ფინელის მეტოქეები იტალიელი **ეველინ მაირი** და ავსტრიელი **ფრანცისკა კლოცი** იყვნენ. კალაშნიკოვამ და ტუოჰიმაამ 7:5, 6:3 იმარჯვეს.

### ორი ნაგებული ნახევარფინალი

**მაკა ჩახნაშვილი** ფრანგულ კონტრექსვილში საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი დოლარი) ნახევარფინალში გავიდა. ფრანგი **ორელი ვედისა** და ჩერნოგორიელი **დანიცა კრსტაიჩის** დამარცხების შემდეგ მეოთხედფინალში საქართველოს პირველი ჩოგანი მე-4 ნომრად განთესილ ფრანგ **სტეფანი ფორეცს** შეხვდა და მოუგო - 7:6, 3:6, 6:1. კონტრექსვილის ტურნირის ნახევარფინალში ჩახნაშვილი მეორე ნომრად განთესილ **ანდრეა პეტკოვიჩს** (გერმანია, 109) დაუპირისპირდა და დამარცხდა - 4:6, 6:2, 2:6. მაკა ჩახნაშვილისა და ესტონელი **მარეტ ანის** დუეტი წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში დამარცხდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ოქსანა კალაშნიკოვა

## იან ჰომერზე კოკა-კოლასთვის

იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში დაიწყო ტრადიციული ტურნირი, რომლის გენერალური სპონსორია კომპანია "კოკა-კოლა". ტურნირში მხოლოდ მამაკაცები თამაშობენ. სტატუსი მიმდინარე ტურნირს საკმაოდ მაღალი აქვს - ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) ეგიდით ტარდება და საპრიზო ფონდი ნორმალურია - 15 000 აშშ დოლარი.

სასიამოვნოა, რომ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ თბილისში მამაკაცთა ტურნირი იმართება - გულშემატკივარს კარგად ახსოვს ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემის კორტებზე წლების განმავლობაში მიმდინარე ტურნირები. ამჯერად შეჯიბრებამ დიღომში გადაინაცვლა, რაც კორტის საფარის ცვლილებასაც ნიშნავს: აკადემიაში თიხნარია, "იან ჰომერზე" კი - ჰარდი.

გუშინ დაიწყო და დღეს დასრულდება საკვალიფიკაციო ეტაპი, სადაც 32 ჩოგბურთელი 8 საგზურისთვის იბრძოლებს - სწორედ ამდენი გაალწევს ტურნირის ძირითად ბადეში.

საკვალიფიკაციო ეტაპზე 7 ქართველი გამოვიდა; კიდევ ორი ჩვენებური - ძმები **ალექსანდრე და ვლადიმერ გიგიტაშვილი** რუსეთის სახელით თამაშობენ. სამწუხაროდ ძმებმა პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა ვერ შეძლეს. უხვი მონაგარი არც დანარჩენ ქართველებს აქვთ: მეორე წრეში მხოლოდ **რევაზ ოსაძემ** მიაღწია, რომელმაც თანამემამულე **ლაზარე კუხალაშვილი** ორ სეტში - 6:2, 6:2 დაამარცხა. ნააგეს **ალექსანდრე თავხელიძემ** - მაკედონელ ვასკო ზდრავკინთან - 1:6, 4:6; **გიორგი კემულარიამ** ავსტრალიელ აიდან ფიჯერალდთან - 0:6, 0:6. **ბექა ბუჩუკური, დემეტრე თაქთაქიშვილი** და **გიო ნავროზაშვილი** დღეს ითამაშებენ.

აღსანიშნავია, რომ საკვალიფიკაციოში არცერთი ქართველი არაა განთესილი - ასეთი კი - 10 მონაწილეა; ჩვენებურთაგან ხუთი ჩოგბურთელი - დემეტრე თაქთაქიშვილი, გიორგი ნავროზაშვილი, ალექსანდრე თავხელიძე, რევაზ ოსაძე, ლაზარე კუხალაშვილი უაილდ ქარდით მოხვდნენ საკვალიფიკაციოში.

**ზვიად შათირიშვილი**

### გაზეთ ლელოს რედაქციას!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპორტის ნებისმიერ სახეობაში ჩვენი თანამემამულეების მიღწევები უდიდეს სიხარულს ანიჭებს ხალხს. ერთ-ერთი ასეთი სპორტსმენი, რომლის წარმატებებითაც მრავალი წლის განმავლობაში ვხარობდით ლეილა მესხი იყო - შესანიშნავი ქართველი ჩოგბურთელი. მაგრამ ლეილა მესხის დამსახურება კარგი სპორტსმენობით არ ამოიწურება, ის არის ადამიანი, რომელმაც შეიძლება თამამად ითქვას, საქართველოში ჩოგბურთის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ის სათავეში ჩაუდგა ჩოგბურთს იმ პერიოდში, როდესაც სპორტის ეს სახეობა უმძიმეს მდგომარეობაში იყო. მაგალითისთვის მის მიერ დაარსებული ჩოგბურთის აკადემია და უამრავი საერთაშორისო ტურნირების ორგანიზებაც კმარა.

ჩვენ, ვეტერანთა და მოყვარულ ჩოგბურთელთა ერთი ჯგუფი ათეული წლებია დაკავშირებული ვართ სპორტის ამ სახეობასთან. ჩოგბურთი სპორტის ძვირადღირებული სახეობაა და რომ არა ლეილა მესხი, ამ სიხარულს მოკლებული ვიქნებოდით. ის მეურვეობს ჩვენზე - ვეტერან ადამიანებზე, მრავალი წელია რაც უფასოდ გვითმობს კორტებს და გარკვეულ დახმარებასაც გვიწევს, რის გამოც ჩვენი მისი უდიდესი მადლიერები ვართ.

სინანულით გავიგეთ ქალბატონ ლეილასადმი დაპირისპირების შესახებ, სინანულით იმიტომ, რომ ეს ადამიანი თავისი საქმიანობიდან და ადამიანური თვისებებიდან გამომდინარე ასეთ უმადურობას ნამდვილად არ იმსახურებს. გვეყო ჩვენს ქვეყანაში ყოველ წვრილმანზე საზოგადოების ორად გახლეჩვა.

ჩვენ არ ვართ დეტალურად ჩახედული საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის "სამზარეულოში", მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ შექმნილი ვითარება სასარგებლოდ არ წაადგება ჩვენს ქვეყანაში ჩოგბურთის განვითარებას. მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე თავი უნდა შევიკავოთ ჩოგბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის ჩატარებისგან.

*ვაჟა ნადირაძე, გოგი ნატროშვილი, გია ნადირაძე, ალექსანდრე ლოლაძე, თენგიზ კერესელიძე, შალვა ლომჯანიძე, რევაზ ბერიძე, გივი ხაზარაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ალექსანდრე თავართქილაძე, თენგიზ კანდელაკი, თენგიზ ზედელაშვილი, მიხეილ კილასონიძე.*

**საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციაში წარმოქმნილ დაპირისპირებასთან დაკავშირებით, ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი სამშაბათს, 13 საათზე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქციო დარბაზში გამართავს პრესკონფერენციას.**

## თარიღი

**ვახტანგ ბლაგიძე.** დაიბადა 23.07.1954, ჩოჩხათი, ლანჩხუთი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (52 კგ). 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის (1978, 81), ევროპის ორგზის (1978, 80), სსრკ (1981) და მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1977), მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენების კავალერი.

**ჯუმბერ ლეჟავა.** დაიბადა 23.07.1939, თბილისი. გინესის 15-გზის რეკორდსმენი (ხელებზე აზიდვა, მუცლის პრესის ვარჯიში უწყვეტ რეჟიმში), მოგზაური. 1993-2002 წლებში, 3 333 დღე-ღამის განმავლობაში (9 წელიწადი და 3 თვე) ველოსიპედით მარტოდმარტომ მოიარა დედამიწის ყველა კონტინენტი, 232 ქვეყანა, 9-ჯერ გადაკვეთა ეკვატორი და განვლო 264 ათასი კილომეტრი. საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი.

**თენგიზ სულაქველიძე.** დაიბადა 23.07.1956, ქუთაისი. ფეხბურთი, ნახევარმცველი, მცველი. თამაშობდა ქუთაისის "ტორპედოში" (1974-78), თბილისის "დინამოსა" (1978-88) და "ჰოლმსუნდში" (შვედეთი, 1989) სსრკ ნაკრებში ჩაატარა 49 მატჩი (2 გოლი). ევროპის ჩემპიონატის მეორე (1988) და ოლიმპიური თამაშების მესამე (1980) პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე (1982). ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული (1981). სსრკ უმაღლეს ლიგაში ითამაშა 279 მატჩი (21 გოლი). სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1981), სსრკ თასის მფლობელი (1979) და ფინალისტი (1980). იყო საქართველოს 16 და 17 წლამდელთა ნაკრებების მთავარი მწვრთნელი (1994-95, 2000). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი.

## სუმო

## ძურიოს ორი ქართველი უახლოვდება

### კოკაი ზემოდან, ტოჩინოშინი ქვემოდან

იაპონიის ქალაქ ნაგოიაში დასრულდა წლის მეოთხე ბაშო, რომელშიც დიდმა ჩემპიონმა **ასაშორიუმ** 14-1 ბალანსით იმარჯვა. ასაშორიუმ იმპერატორის თასი 21-ედ მოიგო. ბოლო დღემდე უცნობი იყო, ვინ იმარჯვებდა ნაგოიას ბაშოზე, ადგილობრივ მკვიდრ სეკივაკე **კოტომიცუკის**, ასაშორიუს მსგავსად, 13 მოგება ჰქონდა. ასპარეზობის უკანასკნელ დღეს კოტომიცუკიმ ახალგაზრდა იაპონელ **კისენოსატოსთან** წააგო, რითაც ასაშორიუმ ისარგებლა, იოკოძუნათა ორთაბრძოლა მოიგო და თასიც დაისაკუთრა.

ნაგოიას ბაშო **ლევან ცაგურიასთვის (კოკაი)** წარმატებული ვერ გამოდგა. კოკაიმ ზედიზედ ხუთი მარცხი იწვნია და მხოლოდ ბოლო დღეს შეძლო გამარჯვება. ქართველის საბოლოო ბალანსი 6-9, იმაზე მეტყველებს, რომ მას რეიტინგში ჩამოქვეითება არ ასცდება. სავარაუდოდ, კოკაი აკი ბაშოზე მეთერთმეტე ან მეთორმეტე მაეგაშირა იქნება.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში ორი ქართველია, თუკი **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** დიდებულად იჭიდავა, **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** ბაშო უარყოფითი ბალანსით დაასრულა. მაკუშიტას მე-18 ნომერი ტოჩინიშინი 6-1 ბალანსის წყალობით შემდეგ ბაშოზე უკვე ძურიოს დივიზიონის საგზურისთვის იბრძოლებს. გაგამარუმ ნაგოიას ტურნირი 3-4 ბალანსით დაასრულა, ის 39-ე ნომერია, თუმცა ქართველს უკან დახევა მოუწევს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაგოიას ბაშო**
**ივლისის სუპერტურნირი**
**8-22 ივლისი, ნაგოია (იაპონია)**

XIV დღე. **კოკაი-კაიჰო 0:1 (უვატედაშინაგე), ჩიოტაიკაი-ჰაკუჰო 1:0, ასაშორიუ-ჰომაშო 1:0, კოტოოშუ-ამინიშიკი 1:0, ამატაკამისაკარი 1:0, კოტომიცუკი-ტოჩინონადა 1:0, ტოკიტენკუ-მიაბიამა 1:0, კისენოსატო-ასასეკირიუ 1:0, ვაკანოსატო-კოტოშოგიკუ 1:0, ტოიონოშიმა-დეჯიმა 1:0, რიუო-ტაკეკაძე 1:0, ტოიოჰიბიკი-კიტაძაკურა 1:0.**

XV დღე: **კოკაი-ოცუკასა 1:0 (ოშიტაოში), ასაშორიუ-ჰაკუჰო 1:0, ჩიოტაიკაი-ჰომაშო 1:0, ამა-კოტოოშუ 1:0, კისენოსატო-კოტომიცუკი 1:0, ტოკიტენკუ-ტაკამისაკარი 1:0, მიაბიამა-ამინიშიკი 1:0, ტაკეკაძე-კოტოშოგიკუ 1:0, ასასეკირიუ-ჰოკუტორიკი 1:0, დეჯიმა-ვაკანოსატო 1:0, ტოიონოშიმა-ტამანოშიმა 1:0, ტოჩინონადა-კაიჰო 1:0.**

საბოლოო მდგომარეობა. **14-1: ასაშორიუ (იოკოძუნა); 13-2: კოტომიცუკი (სეკივაკე); 11-4: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კისენოსატო (მაეგაშირა 6), ტოიოჰიბიკი (მ 14); 10-5: ტოჩინონადა (მ 9), ჰოკუტორიკი (მ 10), კაიჰო (მ 15); 9-6: ჩიოტაიკაი (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), ჰომაშო (მ 6), კაკურიუ (მ 8); 8-7: კაიო (ოძეკი), ამინიშიკი (კომუსუბი), ასასეკირიუ (მ 1), ტოკიცუუმი (მ 11), ტოსანოუმი (მ 13), ტამაკასუგა (მ 15); .. 6-9: კოკაი (მ 9).**

იმპერატორის თასი: **ასაშორიუ (21-ედ)**

ბრწყინვალე ასპარეზობა: **ამინიშიკი (მეორედ)**

მებრძოლი სული: **კოტომიცუკი (მეოთხედ), ტოიოჰიბიკი (პირველად)**

ტექნიკური რიკიში: **კოტომიცუკი (მეშვიდედ)**

ძურიოს ჩემპიონი: **ივაკიამა (მეორედ)**

## რაგბი

## სამი ერის და ბლედისლოუს თასიც

ახალი ზელანდიის ნაკრებმა შინ ავსტრალიას 26:12 მოუგო და ერთბაშად ორი თასი დაისაკუთრა, სამი ერის პირველობისა და ბლედისლოუსი, რომელიც ამ ორი ქვეყნის ნაკრებთა შორის თამაშდება. ოკლენდში გამარჯვებით "ოლ ბლექსმა" ზედიზედ მესამედ მოიგო სამი ერი, სულ კი სამი ერის მეთორმეტე გათამაშებაში ეს ზელანდიელთა მერვე ტრიუმფი იყო.

სხვათა შორის, ავსტრალიამ კარგად ითამაშა და არ წააგებდა, რომ არა ორი შეცდომა, პირველი რეფერისაა, რომლის წყალობითაც ზელანდიელებმა საჯარიმო დაარტყეს და პირველი ტაიმი მოიგეს. მეორე შეცდომა ავსტრალიელთა შერკინებას მოუვიდა, რის გამოც **ტონი ვუდკოკმა** მატჩის ერთადერთი ლელო გაიტანა (თავად ლელოც საეჭვო ჩანდა). ორივე გუნდში საუკეთესოი ზელანდიელთა ათი ნომერი **დენ კარტერი** იყო, რომელმაც ხელდახელაც კარგად ითამაშა და ექვსი საჯარიმოც აუღელვებლად გაიტანა. მატჩს სჯიდა უელსელი **ნაიჯელ ოუენსი**, რომელმაც მაისში აღიარა, რომ გეია. სხვათა შორის, მსოფლიო თასზე ოუენსის დებიუტი საქართველო-არგენტინის მატჩზე მოხდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ზელანდია-ავსტრალია 26:12**

ზელანდია: ლ (ვუდკოკი), გ, 6ს (კარტერი)
ავსტრალია: 3ს (მორტლოკი), ა (გიტო)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პრ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 4 | 3 | 0 | 1 | +41 | 1 | 13 |
| ავსტრალია | 4 | 2 | 0 | 2 | -4 | 1 | 9 |
| ს. აფრიკა | 4 | 1 | 0 | 3 | -37 | 1 | 5 |



ოლ ბლექსის კაპიტანი რიჩი მაკქოუ ნადავლით

სკანდალი

# საქმე სერიოზულადაა

## მსაჯი თამაშებს აწყობდა და ტექნიკურების რაოდენობაზე თამაშობდა!

ეს თუ დამტკიცდა, ურყევი იმიჯის მქონე NBA-ის პრესტიჟი ძლიერ შეილახება. საქმე სერიოზულადაა - ლიგის კომისარი **დევიდ სტერნი** ორშაბათიდან დაიწყებს გამოძიებას იმის თაობაზე, წინასწარი გარიგებით აწყობდა თუ არა მსაჯი **ტიმ დონაჰიუ** შეხვედრებს და რომელი გუნდები უკავშირდებოდნენ ამ გამოცდილ რეფერის მათთვის სასურველი შედეგის "დასმისთვის".

საქმეში თვით FBI არის გარეული და სწორედ ამ სამსახურმა მიაწოდა დევიდ სტერნს აუცილებელი დოკუმენტალური მასალა იმის თაობაზე, რომ დონაჰიუ გასვრილია, სტერნი კი გამოძიებას ამ ბიუროს თანამშრომლებთან ერთად შეუდგება.

შტერნი, რომელიც ლიგისთვის მსოფლიოში ყველაზე მოწესრიგებული და დალაგებული სპორტული ოჯახის სახელის დამკვიდრებისთვის სისხლსა და ოფლს ღვრის, ამ ფაქტებმა საშინლად კი აღაშფოთა, მაგრამ გამოცდილი მაღალჩინოსანი მაინც იმედოვნებს, რომ FBI-ს თანამშრომლები სადღაც შეცდნენ, სადღაც რაიმე გამორჩათ და დონაჰიუს, ისევე, როგორც მთელი ლიგის იმიჯი, ურყევი იქნება. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ამის დაჯერება ცოტა რთულია.

მასალების თანახმად, დონაჰიუ ბოლო ორი წლის განმავლობაში იმ მატჩების ჰანდიკაპებზე თამაშობდა, რომლებშიც ერთ-ერთ მსაჯად ინიშნებოდა. გამოცდილი და ავტორიტეტული არბიტრი ამას იმდენად შენიღბულად აკეთებდა, რომ ამ ხნის განმავლობაში მისდამი საფუძვლიანი პრეტენზია არავის წამოუყენებია.

მაგრამ საქმე მხოლოდ რომ იყოს, სტერნს დასასჯელთა სიაში მხოლოდ დონაჰიუს შეყვანა დასჭირდებოდა. არა, ყველაფერი გაცილებით რთულადაა - დონაჰიუ იმ მატჩების ჰანდიკაპებსა და "ფორებს" "ურტყამდა", სადაც სხვები მსაჯობდნენ, ანუ ეჭვქვეშ კიდევ რამდენიმე რეფერი აღმოჩნდა, თუმცა FBI-ის მათ წინააღმდეგ ამ ეტაპზე მყარი ფაქტები ხელთ არ უპყრია.

დონაჰიუ მსაჯთა სამყაროში სხვებისგან პირველად იმით გამოირჩა, რომ 2004 წლის რეგულარულში "დეტროიტ პისტონზისა" და "ინდიანა პეისერზის" სკანდალურ-ვანდალური შეხვედრის არბიტრთა შორის იყო. მაშინ, რეფერიმ ერთ-ერთი გულშემატკივარი გაავებული **სტივენ ჯექსონისგანაც** კი დაიცვა, რისთვისაც დევიდ სტერნისგან განსაკუთრებული, საჯარო მადლობა მიიღო.

სტერნი ჯერ არაფრის თქმას არ აპირებდა, მაგრამ როდესაც მასთან ოფისში საგამომძიებლო ბიუროს ორი წარმომადგენელი მივიდა და ჩაკეტილ კარს მიღმა საუბარმა თითქმის ორ საათს გასტანა, ლიგის კომისარმა და მსოფლიო სპორტში ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა პიროვნებამ შემდეგი განცხადება გააკეთა: *"მინდა დავარწმუნო ჩვენი ფანები, რომ ისინი მოტყუებულნი არ არიან. ლიგა კრისტალურად სუფთაა და თუ ვინმემ მაინც მოახერხა და ჩვენს დიდ ოჯახს იმიჯი შეულახა, იგი დაისჯება ისე რომ, არა მარტო ჩვენს ლიგაში, არამედ მოყვარულთა თამაშებშიც კი ველარასოდეს დაბრუნდება. თუ ვინმეს გამოძიებისთვის საინტერესო და აუცილებელი მასალები გაგაჩნიათ, ძალიან გთხოვთ, ნუ დაიზარებთ და ყველაფერი პირადად მე მომამწოდეთ. ნურაფრის შეგეშინდებათ, დევიდ სტერნი ყველა პატიოსან ადამიანს გვერდით დაუდგება და უსიამოვნებისგან დაიცავს".*

დაიცავს რისგან? ან ვისგან?

დასაცავი კი შეიძლება მართლა იყოს ვინმე, თუ დონაჰიუს ამ ბრალდების გარდა, ერთ-ერთ მაფიოზურ კლანთან თანამშრომლობაც დაუმტკიცდა.

FBI-ს აგენტებს მიუვიდათ ამანათი, რომელშიც დონაჰიუ და ერთ-ერთი "ოჯახის" წარმომადგენლები არიან აღბეჭდილნი. ეს ხალხი თურმე იმ მატჩებსაც ესწრებოდა, სადაც სამსაჯო ბრიგადაში დონაჰიუც იყო დაყენებული.

ტიმ დონაჰიუმ 2005-06 წლების რეგულარულში 68 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, შარშან კი ეს რიცხვი 63 გახლდათ. ასევე ტიმს უკანასკნელი ფლეი ოფის 5 შეხვედრა ამსაჯეს - 23 აპრილს "დეტროიტი"-"ორლანდო", 27 აპრილს "გოლდენ სტეიტი"-"დალასი", 29 აპრილს "ფინიქსი"-"ლეიკერსი", 4 მაისს "ნიუ ჯერი"-"ტორონტო" და 12 მაისს "სან ანტონიო"-"ფინიქსი".

NBA-ის მსაჯთა ასოციაციას არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტიმ დონაჰიუ უკვე მოიკვეთა სამსაჯო კომიტეტიდან და მას გამოძიების დასრულებამდე სამსაჯო ლიცენზია ჩამოერთვა.

თავად სკანდალში გარეული მსაჯი ამ ეტაპზე არაფერს ამბობს, მისმა მეგობარმა გოგონამ კი ჟურნალისტებს ცხვირწინ კარი მიუჯახუნა და "უკომენტაროდო", მიაძახა.

FBI-ს წარმომადგენელთა თქმით, დონაჰიუს თაობაზე ეჭვი თებერვალში გაჩნდა, როდესაც მან "ნიქსისა" და "ჰიტის' შეხვედრისას რამდენიმე ძალიან საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო.

"ნიუ იორკის" მოთამაშეებმა შეხვედრა 39 შესრულებული საჯარიმოთი დაასრულეს, ხოლო "მაიამიმ" კი მხოლოდ 8 იდენტური ტყორცნა განახორციელა. ამასთან ერთად, დონაჰიუმ უმიზეზოდ დასაჯა ტექნიკური ფოლით "მაიამის" მთავარი მწვრთნელი **პატ რაილი** და მისი ასისტენტი **რონ როთშტაინი,** "ნიუ იორკმა" კი შეხვედრა 6 ქულით თავის სასარგებლოდ დაასრულა. ტოტალიზატორებში "ნიქსის" მოგება 1/21-თან ფასდებოდა.

მომხდართან დაკავშირებით თავიანთი აზრი გამოთქვეს "პისტონზის" ლიდერმა **ჩონსი ბილაპსმა** და "კლივლენდის" სუპერვარსკვლავმა **ლებრონ ჯეიმსმა**.

**ჩონსი ბილაპსი:** *"არა მგონია, დევიდ სტერნმა ეს საქმე ბოლომდე რომ არ მიიყვანოს. ლიგაში ბოლო წლებში უამრავი საიამოვნო და სასიკეთო ნიუანსი დაინერგა, რასაც ყველა მოთამაშე მიესალმება. თუ ბრალდება უსაფუძვლოა, ვილაც-ვილაცეებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ბოდიშების მოხდა მოუწევთ."*

**ლებრონ ჯეიმსი:** *"თუ გავითვალისწინებთ, რომ მოთამაშეები ყველა შეხვედრაში სულს ვაქსოვთ, ეს ჩვენთვის უდიდესი დარტყმაა. მნიშვნელობა არ აქვს, დამნაშავეა თუ არა ტიმ დონაჰიუ. ბრალდებებიც კი აუფერულებს იმ დიდ და ლამაზ ოჯახს, რომელსაც NBA ჰქვია."*

აი, ასეთი ამბებია, დამნაშავე-უდანაშაულოს გარკვევას კი ლიგა და FBI დღეიდან, ორშაბათიდან უფრო მასშტაბურად შეუდგება.

**ზურაბ თალაკვაძე**



ტიმ დონაჰიუ

სიეტლ სუპერსონიქსი

# დიურანი და კოლისონი თანაკაპიტნებად

## ზებგერითებმა ფინიქსიდან გამოცდილება დაიმატეს



კევინ დიურანი

**რაშარდ ლიუისისა** და რეი ალენის დაკარგვის მიუხედავად, "სიეტლ სუპერსონიქსის" სამწვრთნელო შტაბი დარწმუნებულია, რომ დამდეგი რეგულარული მათი გუნდისთვის მინიმუმ, ფლეი ოფის პირველი წრით დასრულდება.

სიეტლელთა ბანაკიდან რამდენიმე ახალი ამბავი გავიგეთ.

დავიწყოთ იმით, რომ გუნდმა კაპიტანი, უფრო სწორად, კაპიტნები აირჩია. ეს პატივი წილად ხვდათ, ფორვარდ **ნიკ კოლისონსა** და "ზებგერითების" ვარსკვლავ მედრაფტე **კევინ დიურანს**. შარშანდელ სეზონში, გუნდს ასევე ორი კაპიტანი ჰყავდა, მაგრამ ეს მისია ლიუისსა და ალენს ეკისრათ, რომლებიც შესაბამისად, "ორლანდო მეჯიქსა" (თავისუფალი აგენტის სტატუსით) და "ბოსტონ სელტიქსში" (გაცვლით) აღმოჩნდნენ.

*"ჩემთვის ეს უდიდესი პატივია. ჩემამდე ხომ, ამ დიდი ტრადიციების მქონე გუნდში კაპიტნებად ჯეკ სიკმა, შონ კემპი და გარი პეიტონი იყვნენ. ვეცდები, ნდობა გავამართლო, თუმცა ჩემი კაპიტნად არჩევა ნამდვილად არ ნიშნავს, რომ უფროსი თანაგუნდელებისგან რჩევა-დარიგებას არ მივიღებ"*, - განაცხადა დიურანმა.

რაც შეეხება კოლისონს, მას პროფესიულ ზელიგაში 3 რეგულარული აქვს ჩატარებული. შარშანდელი სეზონი მისთვის საუკეთესო იყო - იგი ერთ მატჩში საშუალოდ 9.6 ქულასა და 8.1 მოხსნას აგროვებდა. კოლისონის დამატება "ლეიკერსს", "მემფისსა" და იმავე "სელტიქსს" სურდათ, თუმცა მოთამაშემ და კლუბმა წინასწარი კონტრაქტი უკვე გააფორმეს.

■ ■ ■

"სუპერსონიქსმა" "ფინიქს სანზიდან" გამოცდილი მძიმე ფორვარდი **კურტ ტომასი** აიყვანა და ამასთან ერთად, თანაკონფერენციელისგან 2008 და 2010 წლების დრაფტის მეორე წრეებში სასურველი მოთამაშეების აყვანის უფლება მიიღო. არიზონელები სანაცვლოდ მომდევნო დრაფტის პირველი წრის არჩევანსა და 9 მილიონ დოლარს მიიღებენ.

კურტ ტომასი ოქტომბერში 35 წლის კი ხდება, მაგრამ ჯერაც საკმაოდ პროდუქტიულია. "ფინიქსში" მას სათამაშო დრო მაქსიმალურად ეზღუდებოდა, რადგამ ძირითადად, **ამარე სტაუდმაიერისა** და **შონ მერიონის** შემცვლელად უწევდა თამაში. ახალ გუნდში კი მას მსგავსი პრობლემები არ უნდა შეექმნას. "სიეტლს" მაღლებიდან, ასე თუ ისე ნორმალური მოთამაშე მხოლოდ იმავე კოლისონის სახით თუ ჰყავს, სხვები კი ბევრი ვერაფრით გამოირჩევიან.

ტომასის შარშანდელი საშუალო სტატისტიკური მონაგარი მის კარიერაში ყველაზე დაბალია - იგი გუნდს ოდენ 4.6 ქულით შეეწია. 67 შეხვედრაში იგი მოედანზე საშუალოდ 17 წუთს ატარებდა.

შეგახსენებთ, რომ "სიეტლმა" შარშანდელი სეზონი 31 მოგებითა და 51 წაგებით დაასრულა, თუმცა ახალი, გაცილებით ათლეტური გუნდითა და კევინ დიურანით, "ზებგერითები" საფლეიოფოდ ბრძოლას რეალურად გეგმავენ.

კურტ ტომასს "ფინიქსთან" გაფორმებული კონტრაქტით, დამდეგ სეზონში 8.1 მილიონი დოლარი ეკუთვნის, ერთი წლის მერე კი იგი შეუზღუდავი უფლებების მქონე თავისუფალი აგენტი გახდება.

**ზურაბ თალაკვაძე**

ბლიც-ინტერვიუ მეჯიქ ჯონსონთან

# მომეცით სკოტი და დაიტოვეთ ეგ თქვენი ლებრონი

## ამერიკას მარტო კობი და შაკი ეყოფა

ლას ვეგასში ამერიკის ნაკრების შეკრება მიმდინარეობს. გუნდთან ერთადაა კობი ბრაიანტიც, რომელმაც მასმედიელებს ეგრევე მიახალა - სანამ ამერიკის ნაკრების კემპზე ვარ, "ლეიკერსზე" სიტყვასაც არ დავძრავ და შემეშვითო. ამერიკა კი წარსულის წარუმატებლობების მერე, დაკარგული პრესტიჟის აღდგენას ცდილობს, თუმცა ამას იქამდე ვერ გააკეთებს, სანამ გუნდი წამყვან ნაკრებებს, ისეთებს, როგორებიც ესპანეთი და საბერძნეთი არიან, მსოფლიო ჩემპიონატზე ან ოლიმპიადაზე არ მოუგებს.

ამერიკის ნაკრების თემას, ჩვენი ამერიკელი კოლეგები ლეგენდარულ **ერვინ "მეჯიქ" ჯონსონთან** საუბარში შეეხნენ. ყველა დროის უდიდესი გამთამაშებელიც ლას ვეგასშია და ერთ-ერთი კომერციული ტელეარხისთვის ანალიტიკოსად მუშაობს.

**- ერვინ, გვყავს თუ არა ის შემადგენლობა, რომელიც გუნდს წარმატებას მოუტანს?**

- ძალიან კარგი ბიჭები შევაგროვეთ, თუმცა მაინც მგონია, რომ ამ გუნდს ერთი მოთამაშე დააკლდება.

**- კევინ გარნეტი?**

- არა, გარნეტის არყოფნა იმდენად დიდი დანაკლისი არ არის, რამდენადაც შაკილ ონილის არყოფნა. თანაც, როგორც ვიცი, კევინის საქმე ჯერ დასრულებული არ არის. გარნეტს სურს ნაკრებში თამაში, ოღონდ იქამდე თავის კლუბში ბევრი ნიუანსი აქვს გასარკვევი.

**- რა რჩევას მისცემდით ამერიკის ნაკრების მთავარ მწვრთნელს მაიკ კრჟიჟევსკის?**

- მას არანაირი რჩევა არ სჭირდება. მაიკს კარგად ვიცნობ და ვთვლი, რომ მისი სახით ნაკრებს საუკეთესო სპეციალისტი ჰყავს, რასაც ვერ ვიტყვი შემადგენლობაზე. შეგვეძლო, გუნდის დაკომპლექტებისას, ძველი მოთამაშეების აზრიც გაგვეთვალისწინებინა.

**- თუნდაც თქვენი?**

- რატომაც არა? დამერწმუნეთ, ცუდ რჩევას არ მივცემდი. გასათვალისწინებელია ასევე ლარი ბერდის, დევიდ რობინსონის, პატრიკ იუინგის, ჯონ სტოქტონის, კიდევ სხვების აზრი. ჩვენ ხომ იმ ნაკრებში ვითამაშეთ, რომელმაც ყველა დროის საუკეთესო შედეგი აჩვენა. მართალია, 1996 წლის გუნდმაც დაუმარცხებლად მოიგო ოლიმპიადა, მაგრამ დამეთანხმეთ, 1992 წლის ნაკრები ხომ რაღაც არაჩვეულებრივი, მანამდე უნახავი მოვლენა იყო?

**- ნამდვილად გეთანხმებით, მაგრამ დღევანდელ საკალათბურთო სამყაროში აღარ არიან მეჯიქი, მაიკლი, ლარი, სკოტი, დევიდი და პატრიკი.**

- თაობათა ცვლა ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა არც ისე ცუდად გვაქვს საქმე. კარმელო ენტონი, დუეინ უეიდი, ლებრონ ჯეიმსი კარგი, ნიჭიერი ბიჭები არიან, თუმცა ჩვენგან განსხვავებით, ისინი მოედანზე თითქმის უემოციოდ გადიან, ჩვენ კი, პირველ რიგში, სანახაობის დადგმაზე ვფიქრობდით. როდესაც საკუთარ ძალაში იმდენად ხარ დარწმუნებული, რომ მხოლოდ კალათბურთის ესთეტურ მხარეზე ფიქრობ, სასურველი შედეგი, ანუ გამარჯვებაც გაცილებით იოლი მოსაპოვებელია. დამიჯერეთ, ასეა.

**- ლებრონი ამ გუნდის ლიდერად უნდა იქცეს? თუ თქვენ სხვა ფავორიტი გყავთ?**

- იცით რა? ლებრონს ზედმეტადაც ნუ შეაქებთ. ხომ ნახეთ, რა დღეში ჩავარდა ბიჭი სუპერფინალში, რომელიც თითქოსდა 6-7 მატჩისგან უნდა შემდგარიყო. ჯეიმსი უნიჭიერესი, მაგრამ დაუხვეწავი მოთამაშეა. თანაც, არა მგონია, იგი მეორე ჯორდანი იყოს. ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ტურნირზე არჩევანის საშუალება რომ მქონდეს, პირველ რიგში, უნივერსალებიდან სკოტი პიპენს ავიყვანდი.

**- მას ლებრონზე წინ აყენებთ?**

- მომეცით სკოტი და დაიტოვეთ ეგ თქვენი ჯეიმსი.

**- ...და თქვენი ფავორიტი ვინ არის?**

- დუეინ უეიდი, რომელიც ჯეიმსზე თამამი და უშიშარია. ნაკრების ბოლო გამოსვლისას გამოჩნდა, რომ გუნდში, სადაც ყველა გამოცდილი, ძლიერი მოთამაშეა შეკრებილი, ჯეიმსზე კომფორტულად თავს კარმელო ენტონიც გრძნობდა.

**- სელექციის არასწორი კურსი ახსენეთ. რა არ მოგეწონათ?**



მეჯიქ ჯონსონი

- კალათბურთი, პირველ რიგში, სანახაობრივი კუთხით უნდა განვიხილოთ და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბურთი კალათში უნდა ჩავაგდოთ. ჩვენ კი შეკრებაზე ვიწვევთ ბრიუს ბოუენს, შეინ ბეტიეს, რომლებიც ბურთს მხოლოდ სამქულიანიდან და ისიც, პერიმეტრის მარჯვენა კუთხიდან აგდებენ. კი, სხვაზე უკეთ თამაშობენ ერთი-ერთზე დაცვისას, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე ბეტიემ გუნდს ბევრი ვერაფერი შემატა. ასე რომ, შეინის ნაცლად იგივე ბებერი სემ კასელი რომ გვყოლოდა, გაცილებით რთული გახდებოდა ჩვენი დამარცხება.

**- ამ ეტაპზე?**

- ამ ეტაპზე ამერიკას ჰყავს კობი და თუ შაკსაც დაიმატებენ, მერე თუ გინდა, მთელი მსოფლიო გაერთიანდეს, მაინც ვერ მოგვიგებენ. ჩვენს გუნდს მარტო კობი და შაკი ეყოფა.

**ზურაბ თალაკვაძე**

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. ევროპის დიდი პრიზი

# ევროპული თრილერი ალონსომ მოიგო

ევროპის დიდ პრიზზე, მიმდინარე სეზონში რამდენიმე მოვლენა პირველად დაფიქსირდა: ბრიტანელმა **ლუის ჰემილტონმა** პირველად ვერ მოიპოვა ქულა და პირველად ვერ შეძლო კვარცხლბეკზე ასვლა. გუშინვე პირველად ინვიმა და ევროპის დიდი პრიზი ამ სეზონის პირველი რბოლაა, რომელიც შეწყდა. რბოლას პირველად ლიდერობდა ფორმულა ერთის გერმანელი დებიუტანტი **მარკუს ვინკელჰოკი**. დაკიდევ, კვალიფიკაციის მიწურულს, პირველი სერიოზული ავარია მოუვიდა ჰემილტონს.




ალონსოს გამარჯვება მიხაელ შუმახერმა მიულოცა

მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერს ავარია მაშინ შეემთხვა, როცა კვალიფიკაციის დასრულებამდე ხუთ წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა. იმ მომენტში ჰემილტონს მეხუთე შედეგი ჰქონდა. ავარია კი მარჯვენა წინა საბურავის გახეთქვამ გამოიწვია. თავის მხრივ, რეზინი მორგვის სამაგრის ქანჩმა დააზიანა, რომელიც არასათანადო ძალით იყო მოჭერილი და ვიბრაციის გამო, ადგილიდან მოძვრა.

საბურავი რომ დაზიანდა, ბრიტანელის "მაკლარენი" მარცხენა მოსახვევს გადიოდა. ამ დროს, ჰემილტონმა საჭეზე კონტროლი დაკარგა და უსაფრთხოების ზოლში გადავიდა, სადაც საბურავების დამცავ რიგს დაეჯახა. შეჯახება არ იყო ძალიან საშიში. თითქოს, ჰემილტონსაც არ უნდა ჰქონოდა პრობლემა - ის ფეხებს ინტენსიურად ამოძრავებდა. მერე მან თვითონვე დატოვა კოკპიტი, მაგრამ მანქანიდან გადმოსვლისთანავე ჩაიკეცა. ჰემილტონი ტრასიდან საკაცით გაიყვანეს და სანამ სასწრაფოს მანქანაში შეიყვანდნენ, ხელით გვანიშნა, კარგად ვარო.

სამედიცინო შემოწმებამ მას ტრავმის ვერანაირი კვალი ვერ აღმოუჩინა და შესაბამისად, ექიმებმაც რბოლაში მონაწილეობის უფლება მისცეს. სასტარტო რიგში მას მეათე ადგილი ერგო, რადგან კვალიფიკაციის დასკვნით ნაწილში, ყველა (ცხრავე) პილოტმა შეძლო მისი შედეგის გაუმჯობესება. პოული კი (კარიერაში მე-13, სეზონში კი მეორე), ფინელმა **კიმი რაიკონენმა** მოიპოვა, ვინც თითქმის სამი მეათედი წამით აჯობა ესპანელ **ფერნადო ალონსოს**.

რბოლის წინ, სინოპტიკოსები ირწმუნებოდნენ, რომ სტარტიდან რამდენიმე წუთში აუცილებლად გაწვიმდებოდა. მაგრამ ზუსტად როდის მოხდებოდა ეს, არავინ უწყოდა. მით უმეტეს, რომ ცა მთლიანად ღრუბლებით არ ყოფილა დაფარული.

სტარტი საინტერესო გამოდგა: ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ** პირველივე მოსახვევში გაასწრო ალონსოს, ჰემილტონმა კი ერთბაშად ოთხი მეტოქე მოიტოვა უკან და მას შემდეგ, რაც პირველივე წრის ერთ-ერთ მოსახვევში, "ბეემვეს" პილოტებმა გზა ვერ გაიყვეს, მეოთხე ადგილზეც გადაინაცვლა!

წვიმის წვეთები კი ტრასას პირველი წრის დასრულებამდე დაეცა. სანამ რაიკონენი ამ წრეს დაასრულებდა, უკვე კოკისპირულადაც წვიმდა. ფინელმა ბოქსებში შესვლისგან თავი შეიკავა და სულ ტყუილად. სამაგიეროდ, დებიუტანტ ვინკელჰოკის გარდა, მისი შეცდომა არავის გაუმეორებია. თუმცა, თუ კიმის ეს შეცდომა რამდენიმე პოზიციის დაკარგვად დაუჯდა, გერმანელმა იმავე შეცდომის წყალობით, რბოლის ლიდერობასაც კი გამოჰკრა ხელი. სწორედ ასე მოხდა, პილოტი, ვინც რბოლა ბოლო ადგილიდან დაიწყო, პელოტონის სათავეში აღმოჩნდა, ოღონდ იმ პელოტონისა, რომელმაც ერთდროულად მიაშურა ბოქსებს.

თუმცა, პილოტებს ვერც წვიმის საბურავები შველოდა. ძლიერი წვიმის გამო, ტრასის ზოგიერთ სექტორში ნამდვილი წყალდიდობა იყო. ჰოდა, პირველი მოსახვევის უსაფრთხოების ზონა მალე ტრასიდან გავარდნილი მანქანების სადგომს დაემსგავსა. ცოტა ხანში აქ ხუთი ბოლიდი გაჩერდა, რომელთა შორის, ჰემილტონის "მაკლარენიც" იყო.

ტრასის მომსახურე პერსონალმა სასწრაფოდ დაიწყო მანქანების ევაკუაცია. საბედნიეროდ, ბრიტანელის მანქანაზე ძრავი არ ჩამქვრალა, რის გამოც ის ამწემ ტრასაზე დააბრუნა. ჰემილტონმა რბოლა კი განაგრძო, მაგრამ "სადგომზე" ყოფნისას ორი წრე დაკარგა და ბოლო ადგილზე გადაინაცვლა. ის რომ რბოლას დაუბრუნდა, ცოტა ხანში (მეოთხე წრეზე) რბოლაც შეწყდა. ამ დროს ლიდერი ვინკელჰოკი იყო, ვისაც კვალში ედგნენ მასა, ალონსო, ავსტრალიელი **მარკ უებერი**, ბრიტანელი **დევიდ კულტჰარდი**, ფინელი **ჰეიკი კოვალაინენი** და რაიკონენი.

წვიმა დიდხანს არ გაგრძელებულა. რამდენიმე წუთში ასფალტმა შრობა დაიწყო და რბოლის ორგანიზატორებმაც პილოტებს კვლავ ტრასაზე უხმეს. რბოლას რესტარტი რომ მიეცა, პელოტონის სათავეში კვლავ პეისკარი იმყოფებოდა. სანამ ის პილოტებს მიუძღვებოდა, ტრასა საკმაოდ შეშრა და ჰემილტონმაც პირველმა გადაწყვიტა ფსევდოსლიკებზე გადასვლა. მაგრამ სანამ ის რბოლას დაუბრუნდებოდა, პეისკარმა ტრასიდან გასვლა მოასწრო და მეტოქეებსაც ტემპის აკრეფა მოესწროთ. მოკლედ, ჰემი წრითა და რამდენიმე წამით ჩამორჩა დანარჩენებს, რითაც, პრაქტიკულად, დაკარგა ქულის აღების შანსი.

ვინკელჰოკმა ლიდერის პოზიცია რესტარტისთანავე დაკარგა. მასამ და ალონსომ მას სწრაფად გაუარეს. მაგრამ მალე მათაც შეუხვიეს ბოქსებში და ცოტა ხნით, ლიდერობა კულტჰარდს გადაულოცეს. შუა რბოლაში მანქანამ უმტყუნა რაიკონენს, ვისთვისაც ნურბურგრინგის ავტოდრომი უიღბლოა - ფინელ პილოტს ამ ტრასაზე ორჯერ გაუშვია ხელიდან გამარჯვება და ორივე შემთხვევაში, ტექნიკის სიმუხთლის გამო.

რბოლას კი ალბათ მასა მოიგებდა, საქმეში კვლავ ამინდი რომ არ ჩარეულიყო. ფინიშამდე 11 წრე იყო დარჩენილი, როცა ისევ გაწვიმდა. პილოტებმა კვლავ ბოქსებს მიაშურეს და თავიანთი მანქანები საწვიმარ საბურავებზე გადაიყვანეს. სველ ტრასაზე კი ალონსო აშკარად მასაზე უფრო სწრაფი იყო. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა სწრაფად შეამცირა ლიდერთან შვიდწამიანი ჩამორჩენა და ფინიშამდე 6 წრით ადრე პირველად შეუტია. ბრაზილიელმა ერთხელ კი შეძლო თავისი პოზიციის დაცვა, მაგრამ მომდევნო წრეზე, როცა შიკეინს გადიოდა, ალონსომ გარე რადიუსზე, ხისტი მანვრით მაინც შეძლო გასწრება. ერთ მომენტში მათი ბოლიდები ერთმანეთს ბორბლებით შეეხნენ, მაგრამ ზიანს გადაურჩნენ და გზა განაგრძეს. ფინიშის ხაზი კი პირველმა ალონსომ გადაკვეთა, ვინც ამ გამარჯვების წყალობით, თანაგუნდელს საერთო კლასიფიკაციაში ორი ქულითღა ჩამორჩება. ფინიშზე მეორე მასა მივიდა, მესამე ადგილი კი უებერს ერგო.

*"წვიმაში რბოლა ძალიან მიყვარს, რადგან ამ დროს სიამოვნებას ვღებულობ. როცა გაწვიმდა, გავიფიქრე, რომ გასწრების შანსი მომეცა. თანაც, აშკარა იყო, რომ ფელიპეს საბურავები არ გამოადგა და მას აშკარად უჭირდა მანევრირება. ეს რბოლა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერაც ბევრი დროა და ბევრი შრომა დაგვჭირდება მოპოვებულის შესანარჩუნებლად. გარწმუნებთ, სეზონის ბოლოს ოთხივე პილოტს ექნება ჩემპიონობის შანსი და ეს ძალიან საინტერესო იქნება"*, - განაცხადა რბოლის შემდგომ პრესკონფერენციაზე ალონსომ, ვისაც კვარცხლბეკზე გამარჯვება მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა, გერმანელმა **მიხაელ შუმახერმა** მიულოცა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ევროპის დიდი პრიზი

ნურბურგრინგი (გერმანია). 308.863 კმ (5.148 კმ X 60 წრე)

| | |
|---|---|
| 1. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 2:06:26.358 |
| 2. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) | +00:08.155 |
| 3. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბულ-რენო) | 01:05.674 |
| 4. ალექსანდერ ვურცი (ავსტრია, უილიამს-ტოიოტა) | 01:05.937 |
| 5. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბულ-რენო) | 01:13.656 |
| 6. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, ბეემვე-ზაუბერი) | 01:20.298 |
| 7. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, ბეემვე ზაუბერი) | 01:22.415 |
| 8. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, რენო) | 1 წრე |
| 9. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენ-მერსედესი) | 1 წრე |
| 10. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, რენო) | 1 წრე |
| 11. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) | 1 წრე |
| 12. ენტონი დევიდსონი (ბრიტანეთი, სუპერ აგური-ჰონდა) | 1 წრე |
| 13. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) | 1 წრე |
| გ. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) | 26 წრე |
| გ. ტაკუმა სატო (იაპონია, სუპერ აგური-ჰონდა) | 41 წრე |
| გ. რალფ შუმახერი (გერმანია, ტოიოტა) | 42 წრე |
| გ. მარკუს ვინკელჰოკი (გერმანია, სპაიკერი) | 47 წრე |
| გ. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) | 58 წრე |
| გ. ადრიან სუტილი (გერმანია, სპაიკერ-ფერარი) | 58 წრე |
| გ. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა) | 58 წრე |
| გ. სკოტ სპიდი (აშშ, ტორო როსო-ფერარი) | 58 წრე |
| გ. ვიტანტონიო ლიუცი (იტალია, ტორო როსო-ფერარი) | 58 წრე |

*(შენიშვნა: გ - გამოეთიშა)*

**უსწრაფესი წრე: ფელიპე მასა - 1:32.853. 34-ე წრე**

პირადი კლასიფიკაცია

1. ლუის ჰემილტონი 70 ქულა; 2. ფერნანდო ალონსო 68; 3. ფელიპე მასა 59; 4. კიმი რაიკონენი 52; 5. ნიკ ჰაიდფელდი 36; 6. რობერტ კუბიცა 24; 7. ჯანკარლო ფიზიკელა 17; 8. ჰეიკი კოვალაინენი 15; 9. ალექსანდერ ვურცი 13; 10. მარკ უებერი 8; 11. დევიდ კულტჰარდი 8; 12. იარნო ტრული 7; 13. ნიკო როსბერგი 5; 14. ტაკუმა სატო 4; 15. რალფ შუმახერი 2; 16. ჯენსონ ბატონი 1; 17. სებასტიან ფეტელი 1

კონსტრუქტორთა პირველობა

1. მაკლარენ-მერსედესი 138 ქულა; 2. ფერარი 111; 3. BMW ზაუბერი 61; 4. რენო 32; 5. უილიამს-ტოიოტა 18; 6. რედ ბულ-რენო 16; 7. ტოიოტა 9; 8. სუპერ აგური-ჰონდა 4; 9. ჰონდა 1

## TV სპორტი

**23 ივლისი. ორშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნაიტედი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-ბორდო.
**15:55** ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-შენჟენი (ჩინეთი) (LIVE).
**17:55** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
**19:45** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:45** ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-შენჟენი (ჩინეთი).
**22:35** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:00** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბარსელონა.
**08:45** კრივი. რინგ-საიდი.
**09:40** მინი-მოედანი.
**10:00** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
**11:45** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კატანია.
**13:30** მინი-მოედანი.
**13:55** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. აშშ.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**16:25** მძლეოსნობა.
**16:50** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
**18:30** სპორტკლუბი.
**18:50** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბეტისი.
**20:40** ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ვანკუვერი-დალასი.
**22:25** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**22:55** პროფესიული კრივი. ვივიან ჰარისი-სტივ ჯონსტონი.
**01:25** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
**03:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. აშშ.
**05:15** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**05:45** სპორტკლუბი.
**06:00** ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კატანია.

**EUROSPORT**

**10:30** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**11:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ-ის გრან პრი.
**11:45** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთი.
**12:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XIV ეტაპი.
**13:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ფინალი. არგენტინა-ჩეხეთი. კანადა.
**21:30** მულტისპორტი.
**22:00** სუმო.
**23:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**00:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი.
**01:30** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**02:00** მულტისპორტი.
**02:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XV ეტაპი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). მე-3 ადგილისთვის. ავსტრია-ჩილე. კანადა.
**13:00** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). ფინალი. არგენტინა-ჩეხეთი. კანადა.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. ნიურნბურგრინგი. გერმანია.
**16:30** ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ნიურნბურგრინგი. გერმანია.
**17:00** კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ფინალი. სერბეთი.
**18:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთი.
**19:00** ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ედმონტონი. კანადა.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. პოლონეთი.
**21:00** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. პორტუგალია.
**23:30** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**02:15** ახალი ამბები.

## ჩოგბურთი

ტრავმები

# სერენა სტენფორდში ვერ ითამაშებს

### ანენი სან დიეგოში არ იქნება

მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის ტრავმის გამო **სერენა უილიამსი** მონაწილეობას ვერ მიიღებს სტენფორდის ტურნირში, რომელიც მომდევნო კვირას აიღებს სტარტს. ტურნირზე პირველ ნომრად რუსი **ანა ჩაკვეტაძეა** (რეიტინგით მერვე ნომერი) განთესილი, მოქმედ ფინალისტს, ფრანგ **მარიონ ბარტოლის** (11) მეორე ნომერი ერგო.



სერენა უილიამსი

შეგახსენებთ, რომ უმცროსმა უილიამსმა აღნიშნული ტრავმა უიმბლდონზე მიიღო, ტურნირი კი მისი დის, **ვენუსის** გამარჯვებით დასრულდა. უიმბლდონის მერე, სერენა უკვე მესამე ტურნირიდან მოიხსნა. სტენფორდის ტურნირს რაც შეეხება, მასში პირველი 50 ჩოგბურთელიდან 20 მიიღებს მონაწილეობას.

*"სერენას უარი დიდი დანაკლისია, მაგრამ წელს ტურნირზე იმდენად ძლიერი და დაბალანსებული სემადგენლობა გვეყოლება, რომ მაყურებელი მაინც არ მოიწყენს. მარიონ ბარტოლის სახელი უკვე ბევრს ნიშნავს, სხვებიც საკმაოდ ცნობილები არიან. იმედი გვაქვს, შემდეგ წელს სტენფორდში ორივე უილიამსი ითამაშებს"*, - ამბობს ტურნირის დირექტორი **ადამ ბარეტი**.

სერენას არასოდეს მოუგია სტენფორდის ტურნირი, ხოლო ვენუსი კი აქ ორჯერ გაჩემპიონებულა.

■ ■ ■

გასულ უიქენდზე ასევე გაირკვა, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ჟუსტინ ანენი** სან დიეგოს ტურნირში ვერ მიიღებს მონაწილეობას. ბელგიელ ჩოგბურთელს ზურგის ძველი ტრავმა აწუხებს.

ანენის კორტზე დაბრუნება 13 აგვისტოს, ტორონტოს ტურნირზეა დაგეგმილი. ჟუსტინისთვის ეს იქნება აშშ-ის ღია პირველობისთვის მზადების ბოლო ეტაპი.

რაც შეეხება სან დიეგოს ტურნირს, ის 30 ივლისს აიღებს სტარტს.

## ველოსპორტი



ალბერტო კონტადორი

ტურ დე ფრანსი

# რასმუსენმა ლიდერის პოზიცია გაიმყარა

ტურ დე ფრანსი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ველომრბოლებმა უკვე იასპარეზეს პირველ დროზე ინდივიდუალურ რბოლაში და პირენეის მთიან გზებსაც შეუდგნენ. პირველი პირენეული ეტაპის შემდეგ კი უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ გამარჯვებისთვის დანიელი **მიქაელ რასმუსენი**, ესპანელი **ალბერტო კონტადორი**, ავსტრალიელი **კეიდელ ევანსი** და შესაძლოა, გერმანელი **ანდრეას კლოდენი** იბრძოლებენ.

სამაგიეროდ, პარიზში ყვითელი მაისურით შესვლის იმედი ფაქტობრივად გადაეწურათ ყაზახ **ალექსანდრ ვინოკუროვს** და ესპანელებს **ალეხანდრო ვალვერდესა** და **იბან მაიოს**. არადა, დროზე რბოლის შემდეგ ისე ჩანდა, რომ თითქოს, ვინო პირველობისთვის ბრძოლაში კვლავ ჩაებმებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ყაზახური "ასტანის" ყაზახმა ლიდერმა მე-13 ეტაპზე შესანიშნავად იასპარეზა და თავის ფანებს იმედის ნაპერწკალი ჩაუსახა.

*"ბედნიერი ვარ, რომ კვლავ შევძელი გამარჯვება. იმ წაქცევის შემდეგ, ორივე მუხლი დამიზიანდა. მეშინოდა, ინფექცია არ შემჭროდა. მაგრამ ეს ორი დღეა თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ და ეს ჩემს შედეგზეც აისახა. ვიმედოვნებ, რომ ასევე გავაგრძელებ"*, - განაცხადა ვინოკუროვმა, ვისაც მეხუთე ეტაპზე დაცემის შემდეგ, ორივე მუხლი შეხვეული აქვს.

ალპებში, გალიბიერის მთაზე ასვლის შემდეგ, ვინოკუროვი კლასიფიკაციაში მე-19 ადგილამდე ჩამოქვეითდა, მაგრამ დროზე რბოლის მოგების შემდეგ, ათი ადგილით წინ წაიწია. თუმცა ლიდერ რასმუსენს მაინც ხუთ წუთზე მეტით ჩამორჩებოდა. ვინოს ძალიან გაუკვირდა, როცა გაიგო, რომ რასმუსენი მას მხოლოდ თითქმის სამი წუთით ჩამორჩა.

*"მიქაელმა ძალიან გამაკვირვა, მეგონა, უფრო მეტით მოვუგებდი. მაგრამ ეგ არაფერი, ტურის ბოლომდე ჯერაც ბევრი ეტაპია და ჩემი თანაგუნდელების წყალობით, პარიზში ყვითელი მაისურით შესვლის იმედი მაქვს"*, - განაცხადა ვინოკუროვმა, თუმცა გუშინდელმა ეტაპმა მის იმედებს მსხვილი წერტილი დაუსვა.

სამაგიეროდ, სერიოზული განაცხადი გააკეთა კონტადორმა, ვინც გუშინდელი, ურთულესი ეტაპის ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. სწორედ კონტადორი იყო ერთადერთი ველომრბოლი, ვინც პლატო დე ბეილის აღმართზე რასმუსენის შეტევებს გაუძლო. ამ ორმა ველომრბოლმა ერთად მიაღწია ფინიშს, ბოლოს კი ესპანელმა შეძლო მაილო ჟუნის (ყვითელი მაისურის) უკან მოტოვება. მესამეზე კი კოლუმბიელი **ხუან მაურისიო სოლერი** გავიდა.

*"ერთ მომენტში შევნიშნე, რომ ჩემს მეტოქეებს ძალიან გაუჭირდათ და ამ ფაქტორის გამოყენება ვცადე. ჩემს შეტევას მხოლოდ კონტადორი გამოეხმაურა. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, თუ რბოლასაც მოვიგებდი, მაგრამ ახლა მთავარი მომდევნო ეტაპებია, რომლებზეც არანაკლებ რთული მონაკვეთების გავლა მოგვიწევს"*, - განაცხადა ნარბოლევს 33 წლის რასმუსენმა.

დანიელთან გუშინ თითქმის ორი წუთი დათმო ევანსმა, ვინც დროზე რბოლის შემდეგ აბსოლუტურ კლასიფიკაციაში მეორეზე იყო და ყვითელ მაისურის მხოლოდ ნახევარი წუთით ჩამორჩებოდა. მაგრამ ის იხტიბარს არ იტეხს და იმედოვნებს, რომ დანაკარგს მომდევნო ორ ეტაპსა და დროზე რბოლაში აინაზღაურებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### მე-13 ეტაპი. ალბის შემოგარენი (54 კმ, დროზე ინდ. რბოლა)

1. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) 1:06.34 (48.661 კმ/სთ); 2. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 1.14; 3. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 1.39; 4. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) 1.44; 5. ბრედლი უიგინსი (ბრიტანეთი, კოფიდისი) 2.14; 6. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, დისქავერი ჩენელი) 2.16; 7. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 2.18; 8. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი) 2.38; 9. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 2.39; 10. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 2.42; 11. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 2.55... 46. იბან მაიო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 6.04; 47. ალეხანდრო ვალვერდე ბელმონტე (ესპანეთი,კაისე დ'ეპარნი) 6.08...

### მე-14 ეტაპი. მაზამეტიდან პლატო დე ბეილამდე (178.5 კმ)

1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 5:25.48 (36.28 კმ/სთ); 2. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) იგივე დროში; 3. ხუან მაურისიო სოლერი (კოლუმბია, ბარლოუორლდი) 0.37; 4. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 0.40; 5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 0.53; 6. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 1.52; 7. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 1.52; 8. ანტონიო კოლომი (ესპანეთი, ასტანა) 2.23; 9. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) 2.23; 0. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, დისქავერი ჩენელი) 3.06... 14. ალეხანდრო ვალვერდე ბელმონტე (ესპანეთი,კაისე დ'ეპარნი) 3.45... 35. იბან მაიო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 9.31... 81. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) 28.50...

### კლასიფიკაცია 14 ეტაპის შემდეგ

1. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 64:12.15; 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 2.23; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 3.04; 4. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 4.29; 5. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 4.38; 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 5.50; 7. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა) 6.58; 8. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 8.25; 9. ალეხანდრო ვალვერდე ბელმონტე (ესპანეთი,კაისე დ'ეპარნი) 9.45; 10. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, დისქავერი ჩენელი) 10.55...

## ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

# ნადალის მორიგი გასეირნება

## ვავრინკას როჯერის მესიჯმაც ვერ უშველა

შტუტგარტში **რაფაელ ნადალი** კარიერაში მორიგ სათიხნარო ტიტულს რომ მოიპოვებდა, ამაში ეჭვი თითქმის არავის ეპარებოდა. ესპანელი მერსედესის თასის ფინალში ისე გავიდა, რომ არათუ სეტი არ წაუგია, მისმა მეტოქეებმა ტაი-ბრეიკამდეც ვერ მიყვანეს საქმე.

მსოფლიოს მეორე ჩოგანი იოლად უსწორდებოდა მეტოქეებს. სავარაუდოდ, ფინალში შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკასაც** იგივე ბედი ელოდა. მატჩის საბოლოო ანგარიში იყო 6:4, 7:5 რაფაელის სასარგებლოდ, მაგრამ ისე ნუ იფიქრებთ, რომ ამჯერად ნადალმა იოლად მოიგო. მთელი ტურნირის განმავლობაში, ესპანელს ერთ მატჩში არცერთხელ არ წაუგია სამჯერ გეიმი თავის მოწოდებაზე. ამჯერად კი, ნადალმა ეს "მოახერხა" და მეორე სეტში თითქმის გადაუჭრელი პრობლემა შეიქმნა.

მეორე პარტიაში შვეიცარიის მეორე ჩოგანი 5:2 დაწინაურდა და თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, გამარჯვებულის გამოსავლენად მესამე სეტის ჩატარება გახდებოდა საჭირო. მაგრამ ნადალის გეგმებში კორტზე დიდხანს ყოფნა არ შედიოდა.

ესპანელმა ზედიზედ ხუთი გეიმი აიღო და ტაი-ბრეიკის შანსიც არ მისცა მეტოქეს. ამგვარად, რაფამ ამ სეზონში მეექვსე ტურნირი მოიგო, ხოლო თიხნარზე ჩატარებული ბოლო 94 მატჩიდან, 93-ე დაასრულა თავის სასარგებლოდ.

აღსანიშნავია ესპანელის კიდევ ერთი მიღწევა. მან კარიერაში 23-ე ფინალი მოიგო, ხოლო გადამწყვეტ მატჩებში მხოლოდ 5 წაგება აქვს. მას შემდეგ, რაც ჩოგბურთში პროფესიონალები და მოყვარულები გაერთიანდნენ, ფინალებში მოგება-წაგების ასეთი შეფარდება არცერთ ჩოგბურთელს არ ჰქონია.

*"ძალიან ბედნიერი ვარ ამ მოგებით. უიმბლდონზე ფედერერთან წაგების შემდეგ, ეს გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი იყო"*, - სიხარულს ვერ ფარავდა ნადალი.

ფინალის შემდეგ, არც ვავრინკა ჩანდა უკმაყოფილო. ის მუხლის ტრავმის გამო დიდი ხანი არ თამაშობდა და კორტზე მაისის ბოლოს დაბრუნდა.

*"ამ ტურნირზე ჩემი გამოსვლით კმაყოფილი დავრჩი. ფინალიც მომეწონა, ვინაიდან თიხნარის საუკეთესო მოთამაშესთან ძალიან კარგად ვითამაშე"*, - განაცხადა ვავრინკამ.

შვეიცარიელმა ჟურნალისტებს გაანდო, რომ ფინალის წინ, მან ტექსტური შეტყობინება მიიღო თანამემამულე **როჯერ ფედერერისგან**, რომელმაც წელს 20 მაისს, ერთადერთი მარცხი აგემა თიხნარზე ნადალს. რა ეწერა მესიჯში?

*"მას არაფერი მოუწერია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მომეგო ნადალისთვის"*, - თქვა ვავრინკამ.

■ ■ ■

ქალთა დაბალრეიტინგიანი ტურნირი დასრულდა იტალიის ქალაქ პალერმოში. მართალია, აქ მსოფლიო ელიტის წარმომადგენლებს არ უთამაშიათ, მაგრამ უნგრელი თინეიჯერის, **აგნეს შავაის** გამარჯვება მაინც ყველამ სიურპრიზად მონათლა.

გადამწყვეტ მატჩში 18 წლის შავაი გამოცდილ გერმანელ **მარტინა მიულერს** ხვდებოდა, მაგრამ ფინალის შემხედვარე ვერავინ მიხვდებოდა, ვინ იყო გამოცდილი და ვინ პროფესიულ ჩოგბურთში ახლადფეხადგმული მოთამაშე.

უკანა ხაზზე ბრწყინვალედ მოთამაშე უნგრელმა ორ სეტში მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო გერმანელს და კარიერაში პირველად მოიგო WTA-ს ტურნირი.

შავაიმ წლევანდელი წელი 154-ე ჩოგნის რანგში დაიწყო, დღეს კი, კლასიფიკაციაში 53-ე ადგილს იკავებს. დიდი სლემის ტურნირებზე უნგრელის მაქსიმალური შედეგი საფრანგეთის ღია პირველობაზე და უიმბლდონზე მეორე წრეში გასვლაა.





### ATP

#### მერსედესის თასი

შტუტგარტი (გერმანია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 642 750 ევრო

**1/4 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ხუან მონაკო (არგ, 8) 6:1, 6:3; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 6) 6:4, 3:6, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 7)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 2:6, 6:3, 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-ირჟი ვანეკი (ჩეხ) 6:1, 6:4.

**1/2 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:1, 7:5; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 7) 6:7, 6:4, 6:1.

**ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) 6:4, 7:5.

#### Countrywide Classic

ლოს ანჯელესი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 525 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 2)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 7:6 (2), 6:4; **ჰიუნ-ტაიკ ლი (კორ, 7)**-მარატ საფინი (რუს, 3) 4:6, 7:5, 6:4; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-ზაკ ფლიშმანი (აშშ) 6:4, 6:2; **ნიკოლას კიფერი (გერ)**-მიხაელ ბერერი (გერ) 7:6 (5), 6:1.

**1/2 ფინალი**

**ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 2)**-ჰიუნ-ტაიკ ლი (კორ, 7) 6:3, 4:6, 6:3; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-ნიკოლას კიფერი (გერ) კიფერის უარი.

**ფინალი**

**ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 2)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) გვიან დასრულდა

#### ჰოლანდიის ღია

ამერსფორტი (ჰოლანდია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 353 450 ევრო

**1/4 ფინალი**

**მიხაილ იუჟნი (რუს, 2)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 6:4, 6:3; **ვერნერ ეშაუერი (ავსტრია)**-კარლოს მოია (ესპ, 3) 6:7 (4), 6:4, 6:4; **სტივ დარცისი (ბელ)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:3, 6:4; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ფლორან სერა (საფ) 4:6, 7:5, 6:4.

**1/2 ფინალი**

**სტივ დარცისი (ბელ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 2) 4:6, 6:0, 7:5; **ვერნერ ეშაუერი (ავსტრია)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:4, 6:4.

**ფინალი**

**სტივ დარცისი (ბელ)**-ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 6:1, 7:6.

### WTA

#### Western & Southern

ცინცინატი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 175 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ანა ჩაკვეტაძე (რუს, 1)**-ელენა ვესნინა (რუს, 6) 6:7 (3), 6:0, 4:1 ვესნინას უარი; **აკიკო მორიგამი (იაპ, 7)**-პატი შნიდერი (შვეიც, 2) 6:3, 6:1; **სანია მირზა (ინდ, 3)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:1, 6:1; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-ლილია ოსტერლო (აშშ) 6:1, 6:4.

**1/2 ფინალი**

**ანა ჩაკვეტაძე (რუს, 1)**-სანია მირზა (ინდ, 3) 6:2, 5:7, 6:3; **აკიკო მორიგამი (იაპ, 7)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:7 (8), 6:4, 6:3.

**ფინალი**

ანა ჩაკვეტაძე (რუს, 1)-აკიკო მორიგამი (იაპ, 7)

#### Internazionali Femminili

პალერმო (იტალია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 145 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**მარტინა მიულერი (გერ, 2)**-ფლავია პენეტა (იტა) 6:3, 3:6, 6:4; **აგნეს შავაი (უნგ, 8)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3) 6:0, 6:3; **კარინ კნაპი (იტა)**-ემილი ლუა (საფ, 4) 6:3, 7:6 (6); **სარა ერანი (იტა)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:2, 6:0.

**1/2 ფინალი**

**მარტინა მიულერი (გერ, 2)**-კარინ კნაპი (იტა) 6:4, 4:6, 6:1; **აგნეს შავაი (უნგ, 8)**-სარა ერანი (იტა) 7:6 (2), 6:1.

**ფინალი**

**აგნეს შავაი (უნგ, 8)**-მარტინა მიულერი (გერ, 2) 6:0, 6:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა